WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№19 (253) ● 19-25.VI.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## შენ საქართველოს პრეზიდენტობა დაგშვენდებოდა...








თუ გიორგი მარგველაშვილმა ვერ „მოიცალა“, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება **პაატა ბურჭულაძე** იყოს?

## სანდრო ბრეგაძე:

დანამდვილებით ვიცი, ამერიკელებთან შეხვედრისას კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები თედო ჯაფარიძის თანდასწრებით ბატონ ბიძინას აქებდნენ, მაგრამ, როგორც კი მარტო დარჩნენ, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღეს ივანიშვილი



## სიყვარულისთვის განწირულნი



## ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის და თავად ბიძინა ივანიშვილისთვისაც სჯობს, თუ საქართველოს პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გახდება!



## ვახტანგ ხარჩილავა:

„მთელ ქვეყანას უჩინარი და უხილავი დამპყრობელი დაპატრონებია თურმე და ახლა იმას ცდილობს, საქართველო მისი დიდი ქირისუფლის და მოამაგის, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აამხედროს.

თავი არ დაიღუპოთ და არ წამოეგოთ ამ ანკესზე, **ქართველებო!**“

## როგორ დააყაჩაღეს კომპანია „მაგნატი“ ყაჩაღმა კეზერაშვილმა და სხვა ბანდიტებმა




## ბიძინა ივანიშვილის დაგოიმებას აპირებთ თქვენ, თქვე თავად **გოიმებო**?!



იმის გაკეთებას, რაც სააკაშვილმა ვერ მოახერხა, ახლა კალმოსანი აფერისტები აპირებენ?!



**ფარესაშვილო**, თუ იმ კადრებში შენ არ ხარ, მორალური ზიანისთვის კომპენსაციას რატომ ითხოვ, სხვისი საჯდომის ხარჯზე გინდა გააკეთო 300 000 ლარი?



ვახტანგ ხარჩილავა

არა მგონია, რომელიმე ერს აკადრონ ის, რაც ბოლო ხანებში ჩვენ, ქართველებს, გვაკადრეს.

თურმე ჩვენ უფლება არა გვაქვს ჩვენს ამაოხრებლებს, ჩვენს შეურაცხმყოფლებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს პასუხი მოვთხოვოთ და კანონის წინაშე პასუხი ვაგებინოთ.

ზოგიერთი უგნური და გულუბრყვილო ქართველი დღეს ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებს, სამართლიანობის აღდგენა სწრაფად და დროულად ვერ ხერხდებაო.

ერთმა ბიძინა ივანიშვილმა რა უნდა გააწყოს და რა უნდა მოახერხოს, როცა მთელ ქვეყანას უჩინარი და უხილავი დამპყრობელი დაპატრონებია თურმე და ახლა იმას ცდილობს, საქართველო მისი დიდი ჭირისუფლის და მოამაგის, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აამხედროს.

თავი არ დაიღუპოთ და არ წამოეგოთ ამ ანკესზე, ქართველებო!

სწორედ ამ თემას მიეძღვნა წერილი, რომელიც „საერთო გაზეთში“ ორი თვის წინ დაიბეჭდა და რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც ახლა გთავაზობთ.

# კოაბიტაცია —
## სადამსჯელო ოპერაცია საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

...ისეთი დიდი ავტორიტეტის, მაღალი რეიტინგის პოლიტიკური ფიგურის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, საერთაშორისო ძალების გარკვეული წრეებისთვის რისკების შემცველი ფაქტორია — ხომ შეიძლება ასეთმა ფიგურამ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშები წამოიწყოს და არ დაემორჩილოს „ცენტრის“ მითითებებს?

ამიტომაც აუცილებელია მისი „პროკრუსტეს საწოლში“ ჩაწვენა და „ზედმეტი“ რაღაცეების ამპუტირება.

ეს ზედმეტი რაღაცეები კი სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტეტი, მაღალი რეიტინგი, ხალხის ნდობა და სიყვარული.

**„ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაცია სპეციალურად ბიძინა ივანიშვილისთვის გამოჩორკნილი „პროკრუსტეს საწოლია“, თუმცა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს მივადგეთ კარზე და ჩვენი მოტყუებისთვის პასუხი მოვთხოვოთ.**

**როგორც კი ქართველი ხალხი ირწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ადამიანმა, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ქართველი ხალხისთვის, ზურგი შეაქცია საქართველოს და ქართველ ხალხს, აი, იმ დღეს დაიწყება საქართველოს რღვევა და უფსკრულშივარდნა, საიდანაც მისი ამოყვანა შეუძლებელი იქნება.**

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებით ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გააკეთა განაცხადი იმისა, რომ ის არ დათმობს თავისუფლებას და არ შეეგუება მარიონეტული ხელისუფლების თვითნებობას.

სწორედ ამ ურჩობისა და გაუტეხლობის გამო



**ნიშვილის წინააღმდეგ არ არის მიმართული ეს ქირურგიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება.**

**ივანიშვილთან ერთად ამ მზაკვრული ღონისძიების სამიზნე, რა თქმა უნდა, საქართველოცაა, რომელიც ოცწლიანი მუდმივი წნეხის მიუხედავად, მაინც არ გატყდა და — მამული, ენა, სარწმუნოებაო, — იმეორებს დღესაც.**

ახლა კი ამ კოაბიტაციით უნდათ ხერხემალში გადაგვამტვრიონ, სულში ჩაგვაფურთხონ, აბუჩად აგვიგდონ და ცინიკური ღიმილით გვითხრან: — **თქვენი მხსნელი, თქვენი გადამრჩენელი, თქვენ რომ ეროვნული გმირი გეგონათ, ნახეთ, როგორ კოაბიტაციობს თქვენს შეურაცხმყოფელებთან?**

**აი, ეს უნდათ, რომ დავიჯეროთ! აი, ეს უნდათ, რომ ვირწმუნოთ, რომ მერე გაბრაზებულები და გამწარებულები** ისჯება დღეს საქართველო იძულებითი კოაბიტაციით, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და დაცინვა.

**საქართველო დღეს ჰგავს ხომალდს, რომელიც მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში და მგზავრებს ხომალდის აფეთქებით ემუქრებიან, თუ მგზავრები მათთან მშვიდობიან თანაარსებობაზე არ დათანხმდებიან.**

* * *

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: — **ქართველ ხალხს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია, არ ჰყავს, ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ქართველი ხალხია.**

ქვეყნის გადარჩენის ფორმულა ამ ორი ძალის ერთობაში და მათ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაშია...

გამოჩენილ ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ

## გენო კალანდიას



ვულოცავთ რუსთაველის პრემიის ლაურეატობას და ვუსურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

უმრავლოს საქართველოს თქვენნაირი პოეტები და მამულიშვილები.

იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

## ბალადა საკუთარ გულზე

გულო, გეკითხები, როდის?
გულო, ახლოვდება მარტი,
გულო, სიყვარული მოდის
ცრემლით, სალამურით, ვარდით.

გულო, დარჩენილა ღია
შენი უსურვაზის კარი,
მინდვრად გამოსულა ია, —
ოცი გაზაფხულით მთვრალი.

გულო, შემოდგომის კოცონს
ჯობდა ნაპერწკალი წინა?!
ალბათ, სამოთხეში მოგცეს,
გულო, სამუდამო ბინა.

გულო, განიძარცვა შინდი,
გულო, არ მოგედოს ხავსი,
გულო, სიჭაბუკე მიდის —
ღვინით, ყვავილებით, ვალსით...

გულო, სასწაულებს ელი,
გულო, ამიჯანყდე ლამის,
გულო, მეგობართა ხელით
ასგზის მოწამლულო შხამით.

გულო, გაჩენილო ბავშვად,
ვარდებს ფიანდაზად შლიდი,
გულო, ჩატეხილა შარშან
შენი გადებული ხიდი.

გულო, მოგონებას უხმე,
თოვლი გარეული თმაში,
გულო, აჩეხილო წუხელ
სამი მუშკეტერის დაშნით.

გულო, აყვირებენ ბუკებს,
გულო, შებინდება მოდის...
გულო, გელოდება უკვე
შავი მარმარილოს ლოდი.

## მესამე თვალი

*ავტოპორტრეტი თბილისის ფონზე*

ვჩქარობ და ვჩქარობ,
ყოველდღე ვჩქარობ!

სიზმარში, ცხადში მტკივა და ვჩქარობ,
შინ დაბრუნებას ვჩქარობ და ვჩქარობ!

მანქანით, ფეხით, ხომალდით ვჩქარობ,
დღითა და ღამით ვჩქარობ და ვჩქარობ!

ბზიფის, ენგურის ზვირთივით ვჩქარობ,
ქვირითით სავსე თევზივით ვჩქარობ!

წყალსა და ხმელზე, — მთასა და ბარში,
მდედრთან, ვით ცეცხლთან ვჩქარობ და ვჩქარობ!

ცერზე შემდგარი მიმინოს დარად, —
დილას, შუადღეს, საღამოს ვჩქარობ!

ტრამალის რუხი მგელივით ვჩქარობ,
დოღის ცხენივით ვჩქარობ და ვჩქარობ!

ვუახლოვდები აბელის მაღლობს,
სადაც ორმოცი გვარ-ტომი სახლობს.

ჩემი სახელის, ანდერძის პატრონს
დღეიდან მარტო ვტოვებ და... ვჩქარობ!

ძე შეცთომილის, შვილმკვდარის დარად,
ჩემებრ ობოლი მკვდრებისკენ ვჩქარობ!

თქვენ გქონდეთ თქვენი ვარდი და დაფნა,
მე აფხაზეთში ვჩქარობ და ვჩქარობ!

ვჩქარობ და ვჩქარობ,
ყოველდღე ვჩქარობ!

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# შენ საქართველოს პრეზიდენტობა დაგშვენდებოდა...

# თუ გიორგი მარგველაშვილმა ვერ „მოიცალა“, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება პაატა ბურჭულაძე იყოს?

2013 წლის ოქტომბერი ქართველი ერის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი თვე იქნება, ოღონდ არა იმიტომ, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი მოევლინება, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს ძველი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად აღარ ეყოლება.

ადრე თუ გვიან ყველა უბედურება მთავრდება და ეს უბედურებაც, მადლობა ღმერთს, დამთავრდება.

ჯერ პრეზიდენტობის მხოლოდ ოთხი, კანდიდატი გვყავს ოფიციალურად, თუმცა ოქტომბრამდე დიდი დროა და ციფრი 4 ალბათ, გასამმაგდება, შეიძლება, გაოთხმაგდეს კიდევაც.









პრეზიდენტობა ხომ ის „პროფესიაა“, რომელზეც ჩუმის ნატვრით ნატრულობს თითქმის ყველა ქართველი და მათგან ყველას გულწრფელად სჯერა, რომ ეს საქმე ყველაზე უკეთ სწორედ მას გამოუვიდოდა.

**გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ნესტან კირთაძე, შალვა ნათელაშვილი** — აი, ის ოთხი ადამიანი, რომლებმაც უკვე ოფიციალურად განაცხადეს თანხმობა კენჭი იყარონ პრეზიდენტობაზე.

ამ ოთხს ახლო ხანებში აუცილებლად დაემატება მეხუთე —„ნაცმოძრაობის“ კანდიდატი, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება **დავით ბაქრაძე** იყოს, თუმცა **დავით ბაქრაძე კი არა ბისმარკი რომ წამოაყენონ, ნაციონალების მიერ დასახელებულ კანდიდატს ქართველ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ხმას არ მისცემს.**

რა შანსები აქვს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს?

მაგალითად, შალვა ნათელაშვილს დიდი შანსი აქვს მოუგოს ნესტან კირთაძეს ან პირიქით, ქალბატონმა ნესტანმა აჯობოს თავის ყოფილ ბოსს.

**რაც შეეხება მარგველაშვილს და ბურჯანაძეს, ორივე მართლაც სერიოზული ანდიდატია და სერიოზულ კონკურენციასაც გაუწევენ ერთმანეთს.**

ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, ალბათ, ამ ორ პოლიტიკოსს შორის დავაში გადაწყდება, თუ საქმეში არ ჩაერთო მესამე, გნებავთ, მეოთხე ან მეხუთე ასევე წონადი ფიგურები.

კულუარულ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, ინტერსიური მოლაპარაკებები მიდის პაატა ბურჭულაძესთან, რომელიც ჯერჯერობით უარზეა.

როგორც ამბობენ, ბურჭულაძე მხოლოდ მაშინ დასთანხმდება კენჭი იყაროს პრეზიდენტობაზე, თუ მის კანდიდატურას კოალიცია პრეზიდენტობისთვის ვერც „მოიცალოს“...

თუ ეს მოხდა, მაშინ სცენაზე აუცილებლად გამოჩნდება მომღერალი პაატა ბურჭულაძე და საპრეზიდენტო არიასაც გვიმღერებს.

**ფეხბურთელის გაპრეზიდენტება არ გამოვიდა, სამაგიეროდ, შეიძლება მომღერალი პრეზიდენტი გვეყოლოს...**

არის კიდევ ერთი ბევრი კარგი თვისებით შემკული პიროვნება, **ლევან ვასაძე** — პროფესიით ბიზნესმენი, მოწოდებით პოეტი და ფილოსოფოსი, რომელმაც კარგა ხანია ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია თავისი მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციით.

ბატონი ლევანი კატეგორიულად უარყოფს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილს და ამას იმით ხსნის, რომ გიორგი მარგველაშვილი მისი მეგობარია და მეგობარს კონკურენციას არ გაუწევს, მაგრამ მარგველაშვილმა



?



„ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი წარადგენს, რაც ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა არ გახლავთ — მოგეხსენებათ, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უკვე წარდგენილი ჰყავს თავისი კანდიდატურა გიორგი მარგველაშვილის სახით და მისი უკან გამოთხოვნა საკმაოდ უხერხულ სიტუაციას შექმნის, თუმცა იმდენი საქმეა დაგროვილი განათლების სისტემაში, არ არის გამორიცხული, მარგველაშვილმა თუ პრეზიდენტობისთვის ვერ მოიცალა, მაშინ შეიძლება ბატონმა ლევანმაც სხვა გადაწყვეტილება მიიღოს...

ასეა თუ ისეა, წინ ძალიან საინტერესო და დაძაბული მოვლენები გველის, მოვლენები, რომლის შედეგებზეც დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ქვეყანაში გამეფებულია არა საბაზრო, არამედ ბაზრული ეკონომიკა

*მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრებით საქართველოს ხელისუფლების ყოფილ ხელმძღვანელს ბატონ **ჯუმბერ პატიაშვილს**.*

**— ბატონო ჯუმბერ, ბოლო წლების განმავლობაში არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესები განვითარდა უკუ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში, არამედ ქვეყნის ეკონომიკაც დაინგრა. დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებდით ყოველივე ამას, იყო თუ არა მიზანმიმართული ქმედება გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებული ან ვის აწყობდა ის?**



— საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა დღეს, ვერ პასუხობს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რაც დამოუკიდებლობას სჭირდება. დამოუკიდებლობა მარტო სახელწოდება არ არის, უნდა გქონდეს შენი ეკონომიკა და მისი დარგები, რომლითაც მოსახლეობას დაასაქმებ. საქმე იმაშია, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, საქართველო ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ფაქტობრივად, ის როგორც ქვეყანა დაინგრა, სხვა რესპუბლიკებმა გამონახეს სხვა გზა. დამოუკიდებლობა არც იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად დამოუკიდებელი იქნება. თვით ზესახელმწიფოებიც კი ერთმანეთზე დამოკიდებულნი არიან გარკვეულწილად.

ქვეყნის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ნგრევის მიზეზებში რომ გავერკვეთ, უნდა განვიხილოთ ის მოვლენები, რომელ ვითარებაშიც ეს ყოველივე მოხდა. ჩვენს ქვეყანაში დაინგრა და განადგურდა ისეთი დარგები, რომლითაც საქართველო ყველასაგან გამოირჩეოდა და თავისი ადგილი, ნიშა ჰქონდა და სრულიად უნიკალური იყო.

**— რატომ მოხდა ეს ნგრევა?**

— მოხდა ჩვენი უთავბოლობით, დაუდევრობით და დანაშაულებრივი ქმედებებით, ყველა ამ მოვლენის შესწავლა და შეფასებაა დღეს საჭირო. **ამ მოვლენებს ჰყავდა თავისი ამბიციური გმირები რომელთა საქციელმაც ქვეყანა დაანგრია და გაანადგურა. თუ ჩვენ ამას არ ვიტყვით ან ვერ ვიტყვით, მომავალში არაფერი არ გამოგვივა.**

მთავარი ერთი რამ არის, ჩვენ დავივიწყეთ ჩვენი წარმომავლობა, მამის სახელიც კი და რას უნდა მივაღწიოთ? ყოველივე ქართული და ქართველობა პასუხისმგებლობაც გახლავთ, დღეს ეს დაიკარგა. ლაპარაკობენ ევროპელობაზე რომელ ევროპელობაზე ვდებთ თავს? მე, სამწუხაროდ აქ არ გახლით 17 მაისის ცნობილი მოვლენების დროს, მაგრამ ვფიქრობ, რომ რაღაცას უნდა გაეცეს პასუხი ქართულად;

**კომპლექსურად მოხდა ჩვენი ქვეყნის ნგრევა, მატერიალურად ხომ დაანგრიეს და ახლა სულიერებასაც შეეხნენ.** საერთოდ, ქვეყნის სიძლიერე, სოფლიდან მოდიოდა, რომელიც პირველ რიგში მიზანმიმართულად გაალატაკეს. ილიას სურათები კი უკიდიათ კაბინეტებში და ინგლისურიც იციან, მაგრამ იციან ამ ბრძენკაცის ღვაწლის შესახებ? ჟურნალი „გუთნის დედა", რომელიც ილიას თაოსნობით 1841 წელს **გამოვიდა დღეს იმით არის საინტერესო, რომ ის პრობლემები, რომელიც მაშინ იყო ჩვენს ქვეყანაში,** დღესაც მეორდება. ისევ იმ პრობლემებზე დავედით, თითქოს ისტორია მეორდება, უფრო მეტიც, ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაბლაც დავეცით. რამოდენიმე ციფრს გეტყვით და შეადარეთ. **საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანას 30 000 ტრაქტორი ჰქონდა სოფლის მეურნეობის საქმიანობაში გამოსაყენებლად. ყოველწლიურად 2500 ტრაქტორის განახლება ხდებოდა — ერთი ხელის მოსმით ეს ყველაფერი ჯართად აქციეს და ვინ იცის საით გაამწესეს. რატომ მოხდა ეს ყველაფერი და ვინ გააკეთა ჯერ ჩვენ არ ვიცით, რატომ?**

**— თქვენ იცით?**

— მე ვიცი, მაგრამ რა გინდათ რომ ვქნა, როცა საჭირო ადგილზე ვთქვი, ბევრ წინააღმდეგობას ავაწყდი.

**— ახლა ხომ შეიცვალა ხელისუფლება. პრემიერ-მინისტრი მხარს უჭერს რადიკალურ ცვლილებებს, შესთავაზეთ თქვენი გეგმა, სათქმელი...**

— სხვათაშორის ბიძინა ივანიშვილი იყოი ერთადერთი კაცი, რომელმაც **1994 წელს იმ დროს, როდესაც ქვეყნიდან ტრაქტორები ჯართად გაჰქონდათ, საკუთარი ხარჯით 500 ერთეული ტრაქტორი შემოიყვანა საქართველოში, მაშინ ასეთი საქციელი მართლაც განსაცვიფრებელი იყო!**

საქართველო მიწათმოქმედთა ქვეყანაა, მაგრამ მიძნელდება ამაზე საუბარი იმიტომ, რომ ასეთ **ქვეყანაში მიწათმოქმედების ინსტიტუტი დაანგრიეს, გაანადგურეს და დახურეს!** ამ ინსტიტუტში უდიდესი მეცნიერები, სელექციონერები მუშაობდნენ, რომელთაც უამრავი ახალი ქართული ჯიში შექმნეს სხვდასხვა კულტურებისა. დღეს ამ დარგში პერსპექტივა არ არსებობს. ანდა, ჩვენს ქვეყანას სინგაპურს რომ ადარებენ შეიძლება?

**— ფაქტებით რომ თქვათ, რა ეკონომიკური მიღწევები დაინგრა ქვეყანაში?**

— მიღწევები სოფლის მეურნეობაში იმდენად სერიოზული იყო, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ბევრი რამ ექსპორტზე არ გაგვქონდა მაგრამ ქვეყანა თავის თავს ინახავდა და შიმშილობა, რომელიც დღეს სუფევს, მაშინ არ ყოფილა. მთლიანად საქართელოს სჭირდება 2 მილიონამდე ტონა მარცვლეული აქედან 1 მილიონი ტონა სასურსათო ანუ საკვები დანიშნულების. გვქონდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ორი დიდი კომპლექსი გარდაბნისა და სიღნაღის რაიონებში თითოეულში 25 000 პირუტყვით. პატარა ქვეყნისათვის ეს საკმაოდ დიდი რაოდენობა გახლდათ მაშინ. ფრინველის ხორცს წელიწადში 35 000 ტონას აწარმოებდა საქართველო, ხოლო კვერცხს 1 მილიარდ ცალს. ამ ეტაპამდე მიყვანილი ეკონომიკა 90-იან წლებში სრულიად განადგურდა. 2 მილიონ 200 ათასი სული ცხვარი გვყავდა, სად გაქრა? ჩალის ფასად გაყიდეს რაც გაიყიდა!

მე დღეს წარსულის ნოსტალგია კი არ მალაპარაკებს, უბრალოდ ყოველივე ეს განადგურდა, გაქრა!

**— არ მიგაჩნიათ რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი გეგმის ნაწილია რომელიც მიზანმიმართულად განხორციელდა?**

— ცხადია ასეა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ **ეს გეგმა სადაც მუშავდება, ჩვენ მივილტვით იქითკენ,** ვერ ვგებულობთ რა გვინდა. ყველას კარგად ვიცნობ, ვინც ამ გეგმის განხორციელებას უწყობს ხელს, ვიცნობ ოჯახებით და სულ ვფიქრობ, სად მიიღეს ასეთი აღზრდა, რატომ არ აქვთ სამშობლოს სიყვარულის განცდა?

ორმა ამერიკელმა სენატორმა აღშფოთება გამოთქვა **ვანო მერაბიშვილის** დაკავების გამო, შინაურ პოლიტიკაში **ჩარევის გარდა, ეს გახლავთ შეურაცხყოფა ერის!**

მობილურის ქურდობაზე რომ არასრულწლოვნებს 14 წელ პატიმრობას უსჯიან და არჩევნების დროს ხმებს რომ იპარავენ, ასეთი ხალხი დღეს ტელეეკრანიდან ჭკუას რომ გვასწავლის, ეს არის ტრაგედია! ბოლოს ეს ხალხი მოგვიწოდებს, ამ სენატორმა ეს თქვა და დავუჯეროთო, ამ საკითხს მარტო შეფასება კი არ სჭირდება, **არამედ პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც სხვისი კარნახით მოქმედებს დღევანდელ ხელისუფლებაში!**

**— მიწების უცხოელებზე გაყიდვაზე რას იტყვით?**

— მე ამის მოწინააღმდეგე ვიყავი ყოველთვის, იმ დროსაც როცა პარლამენტში გახლდით. საინტერესო ის გახლავთ, **რომ ის ქვეყნები, რომელნიც ჩვენ ამის რეკომენდაციას გვაძლევენ, თავად არ ჰყიდიან მიწებს!**

ეკონომიკა საერთოდ აღარ გაგვაჩნია, ქარხანა-ფაბრიკები არ არის და რა უნდა გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე რაც არა გვაქვს? მძიმე მრეწველობა გვაქვს? მსუბუქი მრეწველობა გვაქვს? — არა, აბა რა გადავიდეს საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც დარგი? **ჩვენთან არის ბაზრული ეკონომიკა!** ის, ვინც 90-იან წლებში საქართველოდან გაიტანა და გაყიდა რაც გასაყიდი იყო, დღესაც ცოცხლები არიან და მშვიდად გრძნობენ თავს, ვინმემ პასუხი აგო რამეზე?

**თავაშვებულობამ დანგრია ჩვენი ქვეყანა.** საქართთველოში მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი. ახალი სიტყვა რომ შემოგვიგდეს **„კოჰაბიტაცია"** ის სულაც არ სჭირდება ჩვენს გლეხს, **მას უნდა საქმე და ქართული სულისკვეთება! რატომ იმ უცხოურ მაგალითებს არ განიხილავს ევროპა, რაც იქ ხდება, როცა ვანო მერაბიშვილის დაჭერაზე საუბრობენ? მაგალითისათვის ვეტყვი მათ, ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგა იმის გამო, რომ მისი მშობლები თავისი სამსახურებრივი ავტომობილით გაუშვა აგარაკზე — აი ეს არის დემოკრატია!** თავის ბებიებს რომ დაურიგეს ქონება, ამას მათ გასაგონად ვამბობ. მეორე მაგალითსაც გეტყვით, **კლინტონის დროს სოფლის მეურნეობის მინისტრი გადადგა იმის გამო, რომ ერთ-ერთმა ფირმამ ამ მინისტრს უფასოდ მისცა ფეხბურთის ბილეთი! ასევე კლინტონის მრჩეველი გადადგა იმის გამო, რომ ცარიელი თვითმფრინავით გაფრინდა სანადიროდ ადგილებში, სადაც ეს თვითმფრინავი ისედაც მიფრინავდა.** ასე ესმით მათ დემოკრატია, აქ, როგორც არ უნდა დააშავონ რამე, პასუხისმგებლობა არ უნდათ. საზღვარგარეთ რომ დაგრიალებენ ოჯახის წევრებთან ერთად — ეს პროტოკოლით არის გათვალისწინებული?



**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

## უსუფაშვილი: თუ რჩევა ასეთია, რომ მერაბიშვილს ვაპატიოთ, მაშინ გვჭირდება მეორე რჩევაც - რას ნიშნავს სამართლიანობა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, თუ რჩევა ასეთია, რომ ვანო მერაბიშვილს ვაპატიოთ, მაშინ გვჭირდება მეორე რჩევაც, რას ნიშნავს სამართლიანობა.

მან ამის შესახებ ევროპარლამენტის წევრ კრისტოფ ლისეკის იმ განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს ციხეში უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს.

„ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ქართველ ხალხს, რომელიც იყო მსხვერპლი. თუ რჩევა ასეთია, რომ ვაპატიოთ, მაშინ გვჭირდება მეორე რჩევაც - რას ნიშნავს სამართლიანობა. ვანო მერაბიშვილი 8 წელი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და რამდენიმე თვეა, უკავია პარტიის გენმდივნის თანამდებობა. ის იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად მთავარ მმართველ ძალას წარმოადგენდა ქვეყანაში. თუ ვინმემ ამის შესახებ არ იცის, შემიძლია ვუთხრა, რომ დღევანდელი დისკუსიიდან ერთი რამე ვისწავლე, ეს არის შერჩევითი პოლიტიკური სამართალი. შერჩევითი სამართალი არ შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოში და თუ ეს ასეა, მე ვილებ ამას, როგორც გაკვეთილს და ვურჩევ ჩემს კოლეგებს, ის არასოდეს გამოიყენონ", - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

„მედიანიუსი"

*გვესაუბრება მწერალი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის. „სახალხო კრებამ“ კანდიდატად ნინო ბურჯანაძე წარადგინეთ. როგორ ფიქრობთ, რა შანსები და უპირატესობა აქვს მას სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, როგორც კი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, მას იმთავითვე მხარს ვუჭერდით. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ უკვე წლებია ვიბრძვით. განსაკუთრებით, მაშინ ვიბრძოდით, როცა სააკაშვილი მძლავრობდა. თუმცა, სამწუხაროდ, იგი არც დღეს გახლავთ ისეთი ფრთამოტეხილი, როგორც ეს მავანს წარმოუდგენია. სააკაშვილი მზადაა კვლავ ათასი სისაძაგლე ჩაიდინოს, — საქართველოს დაზარალების ხარჯზე, კი თავად დემოკრატიის შუქურად წარმოჩინდეს. ამერიკა დემოკრატიის მაგალითად მოჰყავთ. ჩემი აზრით, ამერიკაში დღესაც ოლიგარქიული დემოკრატია ბატონობს, ანუ თუ ადამიანს ფული აქვს, შეუძლია ყველაფერი მოიმოქმედოს. ამერიკა ერთპოლუსიანი მსოფლიოსთვის იბრძვის. ამიტომაც იგი ცდილობს დემოკრატიის სახელით, ნიღბით, მთელი მსოფლიო დაიპყროს. ავღანეთის ბრძოლები, რომელიც თითქოს ტერორიზმის წინააღმდეგაა მიმართული, აბსურდულად მეჩვენება იმიტომ, რომ ტერორიზმის ბუდე გვერდით აქვთ. თუ საუბარი ბენ ლადენზეა, იგი მამა-შვილი ბუშების თანაკომპანიონი იყო. ბენ ლადენი მათ შექმნეს. არჩევნების წინ, ბენ ლადენი განცხადებას აკეთებდა ბუში უნდა მოვკლაო და ამით მისი ავტორიტეტი მაღლდებოდა. ტერორისტები, რომელთაც 11 სექტემბერს ცათამბჯენების აფეთქებას აბრალებენ, მათივე გაზრდილია. მთავარი შემდეგია — ბუში აცხადებდა — თუ დემოკრატია არ გინდათ, იარაღის ძალით მოვალო. ეს უკვე დაპყრობაა და არა დემოკრატია. პლატონს დემოკრატია ყველაზე საცდუნებელ სისტემად მიაჩნდა. დესპოტიზმი, ჩვენთან დღესაც გრძელდება. ბატონ ბიძინას დიდ პატივს მივაგებ იმ დამსახურებების გამო, რაც ქვეყნისთვის გააკეთა, ეს ჭირიც მოგვაშორა, მაგრამ იგი ბოლომდე ჯერ არ მოგვიშორებია. ივანიშვილმა თავის ფუნქცია შეასრულა, ახლა ხალხი არ უნდა მოდუნდეს და ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ივანიშვილი ორმხრივ დარტყმას განიცდის — ერთი, დასავლეთიდან, ამერიკიდან, რომელთაც არ უნდათ თავის გადაფურთხებული ალოკონ და გვეუბნებიან საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდაო. არადა, ყველამ კარგად ვიცით, როგორ დემოკრატიულადაც ჩატარდა არჩევნები. „ნაც. მოძრაობას“ 40 პროცენტი ხომ გაყალბებით აქვს აღებული? მთელი უბედურება ისაა, რომ შიდა ძალებიც, კერძოდ, „რესპუბლიკელებიც“, მჭიდრო კავშირში, კოაბიტაციაში არიან „ნაციონალებთან“. ჩემი და საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, კოაბიტაცია დამნაშავესთან არ შეიძლება. შეუძლებელია წესიერი კაცი უზნეოს შეეკრას. მკვლელს ვერ ვუთანაგრძნობ. „ნაციონალები“ სწორედ მკვლელები, ყაჩაღები, მძარცველები არიან. ამიტომ კოაბიტაციის პრობლემა თავსმოხვეულია. ივანიშვილი ევროპიდანაც და ქვეყნის შიგნიდანაც ზეწოლას განიცდის, მაგრამ, ვიცი, რომ მას შინაგანად ამ კოაბიტაციის არ სწამს. მან მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს.



# ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის და თავად ბიძინა ივანიშვილისთვისაც სჯობს, თუ საქართველოს პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გახდება!

**— კონკრეტულად, რას გულისხმობთ, რა უნდა გააკეთოს?**

— მაგალითად, ქართველი საზოგადოების მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაა. სამართლიანობა მერაბიშვილის ან ახალაიას დაჭერა არ გახლავთ. სამართლიანობა სამართლის აღდგენას ნიშნავს.

„ქართული ოცნება“ კი ზედმეტად ლოიალურია. „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ ყველა ფუნდამენტურ საკითხში ერთნი არიან. როდესაც პარლამენტში ეს კანონი გაიტანეს, „რესპუბლიკელებმა“ და კიდევ რამდენიმე მატრაკვეცამ შეგნებულად არ მისცა ხმა, მაგალითად, ელისო ჩაფიძემ, რომელსაც თავი დიდ ჟურნალისტად, მოაზროვნედ წარმოუდგენია, ამ დროს სრული სიცარიელეა. ეს ნაბიჯი ბიძინა ივანიშვილის და „ოცნების“ პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს. ესაა უბედურება. დღევანდელი დაპირისპირება სააკაშვილსა და პარლამენტს შორის, ორხელისუფლებიანობას ნიშნავს. პრეზიდენტი რასაც უნდა იმას აკეთებს. ცნობილი კადრები, რაზეც ახლა ერთი აჟიოტაჟია, აქაა გაკეთებული. ვინ აკეთებს ამას? ვინ გააკეთა „მოდელირებული ქრონიკა“? ვინ არის დარტყმის საშიშროების ქვეშ? — მხოლოდ სააკაშვილი. ე.ი. ვინ არის სააკაშვილი? — ის კაცი, რომელიც თურმე ტერორისტებს ებრძვის, რუსეთის წინააღმდეგია, ესაა უბედურება. ასეთ სიტუაციაში ვართ. ვიმეორებ, ივანიშვილმა ბევრი სიკეთე გააკეთა, ჭეშმარიტად უყვარს სამშობლო, მართლაც ოცნებობს ქართული ოცნების ახდენაზე, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, ქართული ოცნება არაა.

**— რა გამოსავალია, ამ მდგომარეობიდან?**

— ეს სისტემა უნდა დაინგრეს. ადამიანების შეცვლით, ეს ვერ მოხდება. ის, რომ სააკაშვილი ბოროტია და ივანიშვილი კეთილი, გამოსავალი არაა. ამ სისტემაში სიკეთე აღარ არსებობს. სისტემა თუ არ დაინგრა, კეთილი ვერაფერს გახდება. დღეს საქართველოს გადარჩენის შანსი დგება. ივანიშვილი, როგორც ვიცით პოლიტიკური კარიერის მიტოვებას აპირებს. იგი იმდენად კეთილია, ვერც კი წარმოიდგენს პოლიტიკაში რა სიბინძურეები ხდება, როგორ შეუძლიათ ამ ხალხს, მას ზურგში დანა ჩასცენ. ვის ხელში გვტოვებს —„რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“?! „ნაციონალებთან“ კოაბიტაცია საქართველოსთვის დამღუპველია. სანამ სააკაშვილი, კუბლაშვილი და სხვები არ დაისჯებიან, სანამ ისინი სასამართლოს სკამზე არ აღმოჩნდებიან, იქამდე არ მოისვენებენ. არ შეიძლება მორიელმა ბუნება შეიცვალოს, როგორც კი კისერზე შეისვამ მაშინვე გიკბენს. ამიტომ, ჩემი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, არ შეიძლება პრეზიდენტი ოპოზიციაში იყოს, ეს სისულელეა. მეორეც, ჩნდება საშიშროება — ვიცით, რომ პრეზიდენტის ძალაუფლება პრემიერ-მინისტრს გადაეცემა. მახსოვს, როცა შევარდნაძის ძალაუფლებას ზრდიდნენ, მაშინ პროტესტს მეც გამოვხატავდი. კანონმა იმდენი ქნა, სააკაშვილი ათჯერ უარეს შევარდნაძედ იქცა. ივანიშვილმა შეიძლება ეს ძალაუფლება არ გამოიყენოს, მაგრამ იგი სულ ხომ არ იქნება. სხვა, ვინც მოვა, იგივეს გააკეთებს, რასაც სააკაშვილი სჩადის. ამიტომ, პრეზიდენტი ის ნეიტრალური პირი უნდა იყოს, ვინც პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ერთგვარი მარეგულირებელი იქნება, რომელსაც შესაძლებლობა ექნება მეზობელსა თუ საერთაშორისო მეგობრებს, როგორც ტოლი-ტოლს ისე ესაუბროს და არა ისე, როგორც სააკაშვილი იქცეოდა — პუტინთან მონასავით წახრილი რომ ჩადიოდა.

**— ასეთი პოლიტიკოსი, თქვენი აზრით, ვინაა?**

— ასეთი უნარი ნინო ბურჯანაძეს აქვს. იგი ჩამოყალიბებული პოლიტიკოსია. იგი პრინციპულად მებრძოლი ადამიანია, რაც 26 მაისს კარგად გამოჩნდა, ყველაზე ბოლოს მან დატოვა ტრიბუნა, ხალხი არ მიატოვა. აქ მიდევს წიგნი — მსოფლიოში 100 სახელგანთქმული ქალი, რომელიც ნინო ბურჯანაძის ბიოგრაფიით სრულდება. ისტორიულად, წიგნში თამარ მეფეცაა შესული. ნინო ბურჯანაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის დემოკრატიული ინსტიტუტების ევროპულ სივრცეში შექმნისთვის. ამ დროს, მას პრორუსობას ვაბრალებთ და ესენი თურმე დემოკრატები არიან. აი, ესაა უბედურება. ნინო ბურჯანაძეს შეუძლია პუტინს ესაუბროს. მან ეს უკვე გააკეთა და არც დაუმალავს, რაც მას დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს. „ნაციონალებმა“, რომ გაიგეს რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ შეხვედრას, სულ გაგიჟდნენ და ბურჯანაძე მტრად გამოაცხადეს. ბურჯანაძეს ასევე წარმატებით შეუძლია ესაუბროს როგორც ევროპას, ისე ამერიკას. გარდა ამისა, ყველა მეზობელ ქვეყანას. როგორც პოლიტიკოსი, მოაზროვნე, ბურჯანაძე დღეს გამორჩეულია. რაც მთავარია და მხიბლავს, იგი ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, უაღრესად ზნეობრივი ქალბატონია. დღესაც დადის ბებიის, ბაბუის საფლავზე, დიდ პატივს მიაგებს დედ-მამას, უყვარს მეუღლე, შვილები. ბრძოლის დროს მეუღლეც ჩართული იყო და შვილებიც. ხომ გახსოვთ, ის სცენა, როცა შვილი მოსტაცეს, როგორ მუ ლომივით იბრძოდა. მახსოვს მისი ფრაზა — არაუშავს, სადაც სხვისი შვილებია, ჩემი შვილიც იქ უნდა იყოსო. იგი პრინციპული, შეუვალი მებრძოლია.



**— როგორ ფიქრობთ, მაინც რით იქნება გამორჩეული პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე?**

— გეტყვით. „ოცნებაში“ გარკვეული ძალები იბრძვიან, მეორე ძალა ჩაძირონ. „რესპუბლიკელები“ ცდილობენ შეუტიონ წულუკიანს, ღარიბაშვილს, ხადურს, ანუ ვინც კი ოდნავ ერთგული და გავლენიანია ყველას უტევენ, მაგრამ ნახეთ რა ხდება? — თვითონ „რესპუბლიკელები“ კი არ უტევენ, არამედ მათი ლეკვები — საია და სხვა არასამთავრობოები. ვინ ჰკითხავს საიას განათლების სისტემაში ჩარევას, რა ესმით მაგათ განათლების? მათი მთელი ძალაუფლება ისაა, რომ ამერიკის დოლარებით ფინანსდებიან, მოღალატეების პოზიციაზე არიან. რასაც „რესპუბლიკელები“ ხმამაღლა ვერ აცხადებენ, მერე ესენი ახმოვანებენ, ესაა მთელი უბედურება. „რესპუბლიკელების“ დაწყებულია განათლების რეფორმა, რომელიც სინამდვილეში დეფორმაცია იყო — აზროვნების სტრუქტურა, განათლება მთლიანად მოსპეს, დღევანდელი სკოლის პროგრამა ამერიკიდან, ოღონდ დაუნების სკოლიდანაა გადმოღებული. უნივერსიტეტები დააქციეს. ილიას უნივერსიტეტი თევზაძემ „თავისუფლების ინსტიტუტის“ აკვნად აქცია. მთელი უბედურება ისაა, რომ ამათ პროფესორობა თეა თუთბერიძეზე დაიყვანეს. სადაც თეა თუთბერიძე პროფესორის წოდებით მოღვაწეობს, იქ ყველაფერი დამთავრებულია. უცოდინარობის გარდა, იგი უზრდელიცაა — თავის ყოფილ მინისტრს, შაშკინს, თქვენთან ბოდიში და მამაკაცის ასო უწოდა, ოღონდ იმ სიტყვებით, რითაც ამას ქუჩაში ახალგაზრდობა გამოხატავს. ასეთი პროფესორებით უნდათ სწავლა-განათლების გაზრდა? ამ ყველაფერს ნინო ბურჯანაძე, როგორც პრეზიდენტი თავის ადგილას დააყენებს. იგი ქართული ტრადიციების მიმდევარია და ამბობს კიდეც, რომ ქვეყანა ქართულ ტრადიციებზე უნდა დააფუძნოს, ხოლო ევროპიდან ის უნდა ავიღოთ, რაც ჩვენი კულტურისთვის მისაღებია. ჩემი აზრით, ქვეყნისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის და თავად ხალხისთვის ნინო ბურჯანაძის პრეზიდენტობა ქვეყანას ეროვნულ ფესვებზე დააყენებს. ის ევროპა, სადაც მამა-შვილთან და შვილი — დედასთან ცხოვრობს, ჩვენთვის მიუღებელია. კულტურას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი იდეოლოგიის, აზროვნების საფუძველია. დასავლეთის, აშშ-ს მიზანი კი ქართველი კაცის აზროვნების სტრუქტურის შეცვლაა.

**— რას იტყვით, ნინო ბურჯანაძის მთავარ კონკურენტზე გიორგი მარგველაშვილზე. რატომ უნდა შეაჩეროს ერმა არჩევანი ბურჯანაძეზე და არა მარგველაშვილზე?**

— მარგველაშვილი ამბობს — ივანიშვილმა დამასახელა და ამიტომ კონკურსს გარეშე ვარო. სწორია, ივანიშვილი თავად არის კონკურსს გარეშე. მაგრამ ივანიშვილის კაცობით კაცობა, ვერაფერი დიდი ამბავია. შენ თუ კაცი იმით ხარ, რომ ივანიშვილმა წარგადგინა, ავტორიტეტი არ გქონია. გარდა ამისა, მან თქვა, პლასტელინი ვარო. პლასტელინიდან ვაზელინამდე ერთი ნაბიჯია. ეს საკუთარი თავის მოჭრაა. იგი სხვებზე იძახის — რა პოლიტიკოსები არიანო. პოლიტიკოსობა, პირველ რიგში, პრინციპების გამოხატვა, სწორი პოზიციის არჩევაა, როცა სამშობლოსთვის სიკეთე მოგაქვს. მარგველაშვილის ერთადერთი ჩადენილი სიკეთე ისაა, რომ „ოცნების“ რჩეული ადამიანი გახდა. სხვა მხრივ, მისი სახელი არაფერს მეუბნება, დადიოდა და

7 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# სიყვარულისთვის განწირულნი

## „ნაციონალებს“ და „რესპუბლიკელებს“ სხვა გზა არ აქვთ — უნდათ თუ არა ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ, რომ ერთმანეთი გადაარჩინონ...

— შენთვის უსვრია, ძმაო „ავრორასო“ — ქუდბედიან და იღბლიან კაცს ეტყვიან ხოლმე.

1917 წლის ოქტომბერში „ავრორამ“ ლენინისთვის ისროლა, ხოლო 2012 წლის ოქტომბერში — „რესპუბლიკელებისთვის“.

ჩვენს „რესპუბლიკელებს“ ვგულისხმობ — ცოლ-ქმარ უსუფაშვილ-ხიდაშელს, ძმები ბერძენიშვილების და კიდევ ზაქარეიშვილის პარტიას, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ახლახან დაბადებიდან 35 წელი შეუსრულდა, 2-პროცენტიან რეიტინგს ვერა და ვერ გადააბიჯა.

თუმცა რეიტინგი რა შავ ჭირად გინდა, თუ ლენინივით იღბალი გაქვს და ძალაუფლებაც ქუჩაში გდია — საკმარისია, დაიხარო და ხელში აიღო.

ამათ, ამ „რესპუბლიკელებს“ დახრაც არ დასჭირვებიათ, სხვის მხრებზე შემოსკუპულნი არხეინად შეგრიალდნენ პარლამენტში და უმრავლესობაში საპატიო ადგილი დაიკავეს.

მართალია, მანამდე მთელი ქვეყნის გასაგონად გაჰყვიროდნენ: — ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის პროექტია, არ ენდოთ მაგ კაცსო, მაგრამ როგორც კი ივანიშვილმა თავისთან იხმო, იმწამსვე დაავიწყდათ თავიანთი ნათქვამი და პირველსავე დაძახებაზე ისე შეცქრიალდნენ შუშის სასახლეში, ბოდიშიც კი არ მოუხდიათ ივანიშვილისთვის: — უკაცრავად, რაღაც მოგველანდა და მოგვეჩვენა, თორემ თქვენ სააკაშვილის პროექტი კი არა ქვეყნის მხსნელი ყოფილხართო.

* * *

ქართველი ხალხი, როგორც ჩანს, დიდხანს არ აპირებს მოითმინოს ის უსამართლობა, რაც 1 ოქტომბრის არჩევნებზე მოხდა.

კერძოდ, 1 ოქტომბერს „ნაცმოძრაობამ“ მაინც მოახერხა არჩევნების შედეგების ტოტალური გაყალბება და თავის სასაგებლოდ ხმების 40 პროცენტი მიიწერა, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალობას.

ისმის კითხვა — ვის მოპარა დანარჩენი 20 პროცენტი „ნაც. მოძრაობამ“ და როგორ მოახერხა ეს საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრის თვალწინ?

თუ კარგად გავიხსენებთ არჩევნების დღეს განვითარებულ პროცესებს, ეს არ იყო ქურდობა — ეს იყო ხაზგასმული ძალადობა და ყაჩაღობა „ნაციონალების“ მხრიდან, რომელსაც ლეგიტიმურობის ბეჭედს ურტყამდა ცესკო, მისი თავმჯდომარის, აწ უკვე საგულდაგულოდ გადამალული ზაზა ხატიაშვილის თაოსნობით.

1 ოქტომბერსვე, დღის მეორე ნახევარში მიხეილ სააკაშვილმა აღიარა დამარცხება და „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება მიულოცა, რაც საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის მიერ დემოკრატიისკენ გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯად მოინათლა, ხოლო სააკაშვილს ლამის დემოკრატიის შუქურის ჩამორთმეული წოდება დაუბრუნეს.

ამ აღიარებას დღემდე აყვედრიან ქართველ ხალხს და დღემდე უფრიალებენ ცხვირწინ, როგორც 1 ოქტომბრის არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარების დამამტკიცებელ საბუთს.

სინამდვილეში ამ „გულწრფელი“ აღიარებით „ნაცმოძრაობას“ საშუალება მიეცა გადაეფარა დიდი ძალადობის და გაყალბების ფაქტი, დაემკვიდრებინა დემოკრატიული ღირებულებებისთვის თავდადებული მებრძოლის იმიჯი და კიდევ ერთხელ გაეცურებინა მის მიერ ბევრჯერ გაცურებული და თვალში ნაცარშეყრილი მსოფლიო.

რაც უფრო მეტი დრო გადის 1 ოქტომბრიდან, მით უფრო ნათელი ხდება, რომ არსებობდა მოვლენათა განვითარების პუნქტობრივად გაწერილი გეგმა, რომელიც საქართველოში კი არა საზღარგარეთ დაიწერა და რომლის მიხედვითაც ჩატარდა ოქტომბრის არჩევნები.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს გეგმა ციხის ცნობილი კადრების გამოჩენამდე, რომელმაც შეძრა მთელი საქართველო და ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურად დაასამარა, სულ სხვანაირი იყო და ამ კადრების ეთერში გასვლის შემდეგ მასში სერიოზული კორექტივები იქნა შეტანილი.

ეს კადრები რომ არა, შეიძლებოდა ისე მოახდარიყო, რომ „ნაც. მოძრაობას“ ხმების 50 პროცენტზე მეტი რგებოდა, „ქართულ ოცნებას“ კი მხოლოდ 40 პროცენტამდე მიელო.



გეგმის ეს ვარიანტი ციხის კადრების გამოჩენამ ჩაშალა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ამ კადრების ნახვის შემდეგ იმდენად დიდი იყო ქართველი ხალხის საყოველთაო აღშფოთება და განრისხება, რომ არჩევნებში კვლავ „ნაცმოძრაობის“ „გამარჯვებას“ შეიძლებოდა უმართავი პროცესები მოჰყოლოდა და ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაწყებულიყო.

როგორც გითხარით, გეგმის ავტორები იძულებულნი გახდნენ სცენარი შეეცვალათ, თუმცა ამ გეგმაზე მთლიანად უარი მაინც არ უთქვამთ და აბსოლუტურად სახედაკარგული და პოლიტიკურად გაკოტრებული „ნაცმოძრაობა“ 40 პროცენტით ხელდამშვენებული პარლამენტში შებრძანდა.

* * *

„დემოკრატიულად და სამართლიანად არჩეული“ დღევანდელი ქართული პარლამენტის შემადგენლობას თვალი რომ გადავავლოთ, ადვილად დარწმუნდებით, რომ ის მიახლოებითაც კი არ გამოხატავს ქართველი ამომრჩევლის ნებას.

**არამარტო საპარლამენტო ოპოზიციად დანიშნული „ნაცმოძრაობის“, არამედ კოალიცია ქართული ოცნების კვოტით წარმოდგენილი უმრავლესობის წევრთა უმრავლესობა არც ქართველი ხალხის რჩეულია და არც ქართველი ხალხის მიერ არჩეული.**

საქმე ის არის, რომ ქართველმა ხალხმა ერთ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, დაუჭირა მხარი და მასვე მიანდო საპარლამენტო სიის შედგენა, ეს სია კი, სამწუხაროდ, ქართველი ხალხის გემოვნებას არ დაემთხვა.

ფაქტია, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები ქართველი ხალხის მხარდაჭერას ვერ მიიღებდნენ და პარლამენტში ვერ მოხვდებოდნენ.

თუმცა ამ სუბიექტებს ვერც ივანიშვილის ავტორიტეტმა უშველა და იმის გამო, რომ ისინი ივანიშვილის სიაში მოხვდნენ, ქართველ ხალხს მათ მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობა არ შეუცვლია და მათ მიმართ სიყვარულით და ტრფიალებით არ გამსჭვალულა.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ საქართველოს ამჟამინდელი პარლამენტი ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს კი არა უფრო ყანის გასამარგლად მოწვეულ ნადს ჰგავს.

ნადი კი იმის ნადია, დღისით რომ მასპინძლის ყანაში იმუშავებს, საღამოს საკუთარ სახლში უნდა წავიდეს.

საქართველოს მოსახლეობაში, პოლიტიკურ წრეებში, თვით „ქართულ ოცნებაშიც“ კი სულ უფრო დ უფრო მწიფდება აზრი, რომ ეს პარლამენტი, თავის უმცირესობიან-უმრავლესობიანად სახლშია გასაშვები.

ქართველი ამომრჩეველი შეურაცხყოფად და მისი ღირსების შელახვად თვლის, როცა კრიმინალურ ბანდად შერაცხული „ნაცმოძრაობა“ მორალს უკითხავს საპარლამენტო ტრიბუნიდან, თუმცა მას „ნაცმოძრაობაზე“ ნაკლებ არც „რესპუბლიკური პარტია“ აღიზიანებს, რომელმაც ძალიან შეიფერა და შეიშნოვა პარლამენტში მოხვედრა და „ნაცმოძრაობისა“ არ იყოს, ისიც საიდანღაც ზემოდან ესაუბრება ქართველ ხალხს.

უნდა აღინიშნოს, რომ „რესპუბლიკური პარტია“ დიდი ხანია მიიჩნევს, რომ ის ინტელექტუალურად დიდად აღემატება საქართველოს მოსახლეობას და ამ პარტიის დაბალი რეიტინგი იმით აიხსნება, რომ ნაკლებად განათლებული ქართველი ხალხი ვერ უგებს და ვერ წვდება ამ ინტელექტუალური პარტიის აზროვნების სიმაღლეებს და სიღრმეებს.

რაც ახლა ვთქვით, სულაც არ გახლავთ ჩვენი მოგონილი. ამის შესახებ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში თავად ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა.

ძნელი სათქმელია, რატომ აქვთ ასეთი მაღალი წარმოდგენა საკუთარ თავზე „რესპუბლიკელებს“, თუმცა, ფშუტე თავთავისა არ იყოს, ქედმაღლობა სულაც არ არის დიდი ინტელექტის დამამტკიცებელი უტყუარი საბუთი.

ინტელქტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „რესპუბლიკური პარტიის“ ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, ერთადერთი, რაშიც მათ ბადალი არ ჰყავთ, არის მონური მორჩილება იმ უცხოური ძალების იდეოლოგიური ინსტრუქციებისა, რომლებიც საძირკველს ურყევენ ქართულ სახელმწიფოს, ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებს.

**„რესპუბლიკელები“ იგივე „ნაციონალები“ არიან — მათ ერთი და იგივე პატრონები, ერთიდაიგივე ინსტრუქტორები, ერთი და იგივე მასწავლებლები და ერთი და იგივე დამრიგებლები ჰყავთ, თუმცა მათ შორის მაინც არის განსხვავება —„რესპუბლიკელებს“ „ნაციონალებზე“ უფრო მეტად სძულთ სამშობლო.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— მთავარია, ჩემი შვილი თავისუფალი ადამიანი გაიზარდოს, მერე კი ვინც უნდა, ის შეიყვაროს — გინდა სამშობლო, გინდ — ქალი! — ასეთია „რესპუბლიკელების“ თავკაცის, აწ უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ბრძნული მოსაზრება, რომელშიც უფრო მეტია ცინიზმი, ვიდრე სიბრძნე.

**„რესპუბლიკელებს“ არ უყვართ ბიძინა ივანიშვილი ან როგორ შეიძლება გიყვარდეს მევალე, რომლის უზარმაზარი ვალი გაქვს?**

**ალბათ არც ბიძინა ივანიშვილს უყვარს „რესპუბლიკელები“ ან როგორ შეიძლება გიყვარდეს ისინი, რომელთა გამოც შეიძლება ათიათასობით ადამიანმა გადაგიყვაროს და ზურგი შეგაქციოს?**

ბულნი არიან ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლონ, რომ არ დაუშვან ახალი საპარლამენტო არჩევნები და ბიძინა ივანიშვილს არ მისცენ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის საშუალება.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ განსაკუთრებით რეგიონებში, შესანიშნავად ურთიერთობენ ერთმანეთთან და გაერთიანებული ძალებით ერთად უტევენ „ქართული ოცნების“ ადგილობრივ ორგანიზაციებს.

არსებობს ეჭვი, რომ სწორედ „რესპუბლიკელები“ აფერხებენ ბიძინა ივანიშვილის პარტიის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ სტრუქტურების ჩამოყალიბებას და გაძლიერებას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრომ გაიარა, მაინც ვერ იქცა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად.

**არ არის გამორიცხული, რომ „რესპუბლიკელები“ ეჭვს უღვივებდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ბოლომდე ერთგული არ არის ქვეყნის დასავლური ორიენტაციისა და ამიტომ მისი ნდობა და მისთვის მძლავრი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის საშუალების მიცემა სახიფათოა.**



„რესპუბლიკელებმა“ იციან, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩამოკრავს „ქართულ ოცნებასთან განშორების ზარი და გამალებული ემზადებიან ამ შავი დღისთვის — ისინი ცდილობენ თავიანთი კადრები ჩასვან ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან სტრუქტურაში, გააძლიერონ და ახალი წევრებით შეავსონ პარტიის რიგები, გააძლიერონ მათ კონტროლს დაქვემდებარებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომ საჭირო დროს სწორედ ისინი მიუსიონ ბიძინა ივანიშვილს. („რესპუბლიკელები“ ამას ახლაც აკეთებენ...).

როგორც ზემოთ ვთქვით, „ნაცმოძრაობა“ და „რესპუბლიკელები“ ყველაფერს ილონებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი რაც შეიძლება დიდხანს ამყოფონ კოაბიტაციის ჩარჩოებში, არ მისცენ მას

მაქსიმალურად ისარგებლონ ხელისუფლებაში ყოფნით, დაასუსტონ ბიძინა



ივანიშვილი და გაძლიერდნენ თვითონ — ასეთია „რესპუბლიკელების“ პროგრამა-მინიმუმი.

მათ იციან, რომ ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია და ამ არჩევნებში თუ მათ ცალკე მოუწევთ მონაწილეობის მიღება, მათი დამარცხება გარდაუვალია.

ახალ არჩევნებში ასევე გარდაუვალია „ნაცმოძრაობის“ დამარცხებაც.

ამიტომ ეს ორი ძალა „რესპუბლიკური პარტია“ და „ნაცმოძრაობა“, უნდათ მათ ეს თუ არ უნდათ, შექნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულე-

იქიდან გამოსვლის და თავისუფლად მოქმედების საშუალება, მერე კი როცა დიდი ღალატის დრო მომწიფდება, ერთად დაარტყან და აიძულონ იგი პოლიტიკური ასპარეზიდან წავიდეს, რის შემდეგაც სცენაზე, ორი „მთავარი მოთამაშე დარჩება — „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“.

ისე, როგორც ამერიკაშია...

ჩვენც ამერიკაში ვართ, ოღონდ ჯერჯერობით ამის შესახებ არაფერი ვიცით...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის და თავად ბიძინა ივანიშვილისთვისაც სჯობს, თუ საქართველოს პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გახდება!

5 gv.

„ვაკრუგ ი ოკოლა“ ლაპარაკობდა. ნინო ბურჯანაძის მრჩეველი თუ იყო და ახლა მას ტრადიციებს უწუნებს, მაშინ მრჩეველი რატომ იყო?! გამოდის, კარიერისტია?! — ასეთი ადამიანები, თუ მკითხავთ, საერთოდ არ უნდა იყვნენ პოლიტიკაში. სამწუხაროდ, დღევანდელი პოლიტიკა ასეთია — თითქმის ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს და არა ქვეყანაზე.

**—ექსპერტების ნაწილი საუბრობს, რომ მარგველაშვილი უალტერნატივოა და დანარჩენ კანდიდატებს შორის ბრძოლა მეორე ადგილისთვის მიდის. რა შანსები აქვს ბურჯანაძეს — იგი იბრძვის პირველი თუ მეორე ადგილისთვის?**

— არ არის ეგრე. რაიონებში დავდივარ და ვიცი ხალხის განწყობა. ერთ-ერთ გადაცემაში კითხვა დაისვა — ხელისუფლების კანდიდატი გაიმარჯვებს თუ ოპოზიციისო. თავდაპირველად, წინ ხელისუფლების კანდიდატი იყო. მერე სტუდიაში ნინო ბურჯანაძემ დაიწყო საუბარი, შედეგად ხელისუფლების მომხრე 26 პროცენტზე დარჩა, ოპოზიციის პროცენტულმა მაჩვენებელმა კი — 72 შეადგინა. აი, ესაა მთავარი. ეს განწყობა ხალხში არსებობს. ჩვენ ივანიშვილს არ ვებრძვით, არამედ სისტემას. ივანიშვილს აცდუნებენ, ქვეყანა ერთპარტიულ სისტემად არ უნდა იქცეს. „ქართული ოცნებისთვის“ დღეს ზედგამოჭრილია ნინო ბურჯანაძის მოღვაწეობა, რომელიც თავისი მოქმედებით ქვეყანას წაადგება. სხვათა შორის, როცა ნინო ბურჯანაძე და ბიძინა ივანიშვილი ერთმანეთს შეხვდნენ, საბოლოო დასკვნა ორივესი ასეთი იყო — ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ქვეყანას, სახელმწიფოს გამოადგებაო. ამ აზრზე იყო ბატონი ბიძინა. მერე გარკვეულმა ძალებმა, მათ შორის „რესპუბლიკელებმა“ ამ პროცესს ხელი შეუშალეს. „რესპუბლიკელები“ ბურჯანაძეს ებრძვიან იმიტომ, რომ მასში კონკურენტს ხედავენ. ბატონ ბიძინას ვეუბნები — გაცილებით უფრო ერთგული ვარ მისი, ვიდრე მის გვერდზე მდგომნი, რომელთაც დიდად აფასებს. იგი „რესპუბლიკურ პარტიაზე“ ამბობს, რომ ეს ჩვენი გამოცდილება, წარსული, სიამაყეა. ივანიშვილმა „რესპუბლიკელების“ წარსული უნდა იცოდეს. პარტიის დაფუძნებისთანავე, დამფუძნებელმა — ლევან ბერძენიშვილმა თავისი თანამებრძოლები ჩაუშვა და ყველა დააჭერინა. ამას ყურადღებას არ აქცევენ. თუ კაცი მრწამსს ერთხელ ულალატებს, მისგან სიკეთეს აღარ უნდა მოელოდე.



**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ქვეყანას და ყველას გვეშველება თუ პრეზიდენტი ბურჯანაძე და არა მარგველაშვილი გახდება?**

— ბურჯანაძეს არათუ მხარს ვუჭერ, მის გასამარჯვებლად ვიბრძოლებ. ხალხში გარკვეული ავტორიტეტი მაქვს, თანამდებობისთვის „სახალხო კრების“ წარმომადგენლებს არასდროს გვიბრძოლია, არამედ ქვეყნის გადარჩენის სურვილი გვაქვს. და თუ ეს მართლა გვინდა, მხარი ნინო ბურჯანაძეს უნდა დავუჭიროთ. ჩემი მიზანი ეროვნების, ერის გადარჩენაა. ღამეები არ მძინავს, მეუბნებიან ავადმყოფი ხარო. დიახ, ავადმყოფი ვარ, სამშობლოს სიყვარულით ვარ დაავადებული და ამისგან ვერავინ განმკურნავს. ეს თანდაყოლილი გრძნობაა, რაც ჩემი ცხოვრებით დავამტკიცე. დღეს თუ ვინმეს უჭირს, ტკივა ერთ-ერთი მეც ვარ, მაგრამ პირად ტკივილზე უფრო მეტად სამშობლო მტკივა.

**— ახლახან ახსენეთ, ჩვენ ივანიშვილს არ ვუპირისპირდებითო. ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა — თუ ბურჯანაძე ივანიშვილს დაუპირისპირდება, კრებას დავტოვებო. რას ნიშნავს ეს განცხადება?**

— ნონამ თქვა — თუკი გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე ივანიშვილს დაუპირისპირდება, მაშინ დავტოვებ კრებასო. ასეთ შემთხვევაში, მეც დავუპირისპირდები. ნინო ბურჯანაძე ისეთი ჩამოყალიბებული მრწამსისაა, რომ იგი კი არ უნდა დაუპირისპირდეს, არამედ თანამებრძოლი უნდა გახდეს და ბატონმა ბიძინამ ხანდახან კრიტიკაც უნდა მიიღოს თუკი ეს სამშობლოს კეთილდღეობიდან ამოზრდილი კრიტიკა იქნება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის მერე ივანიშვილის ფაქტორი არჩევანის გაკეთებისას გადამწყვეტ როლს არ ითამაშებს?**

— გარკვეულწილად ითამაშებს, მაგრამ სხვა რამის მეშინია — გაყალბება არ მოხდეს ისე, როგორც ეს ნაძალადევში კახა კუკავას შემთხვევაში მოხდა. ბატონ ბიძინას აქვს იმის სინდისიერება, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდეს და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს.

**— რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ივანიშვილის კანდიდატის გასვლის შემთხვევაში რამდენად დაინიშნება იგი, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ „ნაცებს“ და „რესპუბლიკელებს“ ეს არჩევნები არ აწყობთ.**

— ივანიშვილის კანდიდატი რომც გავიდეს, არსებობს 1 მილიონი ადამიანის ხელმოწერა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ. ძალიან ნუ გავლენ თავს, თორემ ხალხია ყელაფრის გადამწყვეტი. ბოლოს და ბოლოს ისინი ცოცხებს აიღებენ და „ნაციონალებს“ „რესპუბლიკელებსაც“ ზედ მიაყოლებენ. ხალხი ხვდება, რომ ჯერჯერობით, ის რისთვისაც იბრძოდნენ, განუხორციელებელია. არცერთი ობიექტი, ჯიხურიც კი, მანქანა, რომელიც „ნაციონალებმა“ მოსახლეობას წაართვეს, არ დაბრუნებულა. ჩვენ შვიდი მანქანა წაგვართვეს და არცერთი არაა დაბრუნებული. სად წაიღეს? — არ იციან, რომ ეს მანქანები ჩვენია? ე.ი. „ნაციონალები“ ართმევდნენ, „ოცნება“ ყიდის?! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთი კაცი ამ ყველაფერს ვერ გაწვდება. სამწუხაროდ, მას ინფორმაციას არ აწვდიან — ვაითუ, რამე დაუშავდესო. ასეთი მზრუნველობა უარესია. უცებ სიმართლე რომ გადაიშლება, იგი არავის დაინდობს. საგარეჯოში შვიდი ხელმძღვანელი დააპატიმრეს, რომელიც ხიდაშელთანაა დაკავშირებული. ხიდაშელი გამობრძანდა და თქვა — დამკითხეთო. თორემ, ეგეც რუსუდან მეფე არ მყავდეს და არ უნდა ვაკადროთ დაკითხვა. დიახაც, იგიც უნდა დაიკითხოს და გაირკვეს სად წავიდა ეს ფული.

ხალხის იმედი გვაქვს. ორი მილიონი კაცი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს რომ მოითხოვს, თუ მათ აზრს არ გაითვალისწინებენ, მერე უკვე სხვა პროცესები დაიწყება.

**— ბურჯანაძე პარლამენტიდან ყვავ-ყორნების გაფანტვაში ალბათ დადებით როლს ითამაშებს?**

— დიახ, რასაკვირველია. იგი წერტილს დაუსვამს „რესპუბლიკელების“ და „ნაციონალების“ კოაბიტაციას და ვადამდელი არჩევნების დანიშვნით ყვავ-ყორნებიც თავის გზას გაუდგებიან.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



## გაზეთებიდან:

● „პრემიერ-მინისტრის სიცოცხლე საფრთხეშია!!!“

● ივანიშვილის ბიზნესცენტრიდან ევაკუაცია უნდა დაიწყოს!!!

# ბიძინა ივანიშვილის დაგოიმებას აპირებთ თქვენ, თქვე თავად გოიმებო?!

## იმის გაკეთებას, რაც სააკაშვილმა ვერ მოახერხა, ახლა კალმოსანი აფერისტები აპირებენ?!

დიდი განგაში და დიდი ვიშვიშია ატეხილი. – ვინმე ია გიგიბერიას ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან რადიაციული ფონი იმდენად მაღალია, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ევაკუაცია.

ერთ ლიტრ წყალზე რადაციის დასაშვები ნორმა 0,1 ბეკერელია, სოლოლაკში, ბიზნესცენტრის მიდამოებში კი 1 ლიტრ წყალზე რადიაციის დონე 100 ბეკერელს აღწევს. ეს უკვე კატასტროფაა, – აცხადებს გიგიბერია.

**ივანიშვილის ბიზნესცენტრიდან სასწრაფოდ ევაკუაცია უნდა დაიწყოს, თორემ პრემიერ-მინისტრის სიცოცხლე საფრთხეშია!!! – იუწყება ერთი გაზეთი და მას მეორე, ამ გაზეთის გარე ბიძაშვილი გაზეთი აძლევს ბანს – ურანის საბადოზე ზიხართ, ბატონო ბიძინა და ჩქარა წადით მაგ ბიზნესცენტრიდან, თავს ნუ ილუპავთ და ქვეყანასაც ნუ დაღუპავთ.**

ისე ქოთქოთებენ და ისეთ წივილ-კივილში არიან, თითქოს მათზე დიდი გულშემატკივარი ბიძინა ივანიშვილს ქვეყნიერების ზურგზე არ ჰყავდეს.

არადა, ზუსტად ესენი იყვნენ ბიძინა ივანიშვილს ლაფს და ტალახს რომ ესროდნენ მთელი ორი წლის განმავლობაში, ცილს სწამებდნენ, უბინძურეს ჭორებს უყრიდნენ, რუსეთის აგენტს ეძახდნენ.

ახლა გაგისკდათ სიყვარულის ბუშტი, თქვე ფარისევლებო და დღედაღამ იმაზე ფიქრობთ, ჩვენს საყვარელ პრემიერს რაიმე არ მოუვიდესო?

თქვენ რა გგგონიათ, ბიძინა ივანიშვილი იმდენად მიამიტი კაცია, რომ თქვენს უეცარ ფერისცვალებას უცებ დაიჯერებს და გულაჩვილებული მკერდში ჩაგიკრავთ – რავა გყვარებიხართ, ჩემო ძვირფასებო, თქვენ რომ არ მყავდეთ, ვინ დამიცავდა მე და ვინ მიხსნიდა რადიაციული მოწამვლისგან, „ნაცმოძრაობის“ მიერ მოსყიდული მზარეულებისგან, სააკაშვილის მიერ ჩანერგილი აგენტებისგან, საერთოდ, ყველა ჯურის ჯადოქრებისგან და ავსულებისგან? ჰა, თქვენ თითო-თითო მილიონი ქეშად და ეგრე გააგრძელეთ მომავალშიც. თქვენი იმედი მაქვს მხოლოდ, მხოლოდ თქვენ გენდობით და სხვას არავისო?

**ბიძინა ივანიშვილის დაგოიმებას აპირებთ თქვენ, თქვე მართლა გოიმებო?**

– კისერი მომაჭერი, თუ ეგენი „ნაციონალებთან“ არ იყვნენ შეკრულნი და მათ საიდუმლო დავალებებს თუ არ ასრულებდნენ! – მითხრა უშიშროების ერთმა ყოფილმა ოფიცერმა, რომელიც კარგად ერკვევა სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკაში. ძველიძველი, ნაცადი მეთოდია – ადამიანს გამუდმებით უნდა უჩიჩინო, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რომ მის გარშემო მხოლოდ მოღალატეები და გამყიდველები ტრიალებენ, რომლებსაც მისი მოკვლა აქვთ დავალებული და ხელსაყრელ მომენტს ელოდებიან, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანონ.

ადამიანთა უმრავლესობა, 100-დან 98 ვერ უძლებს ამ ფსიქოლოგიურ წნეხს და იჯერებს, რომ მის ირგვლივ მხოლოდ მკვლელები და მოღალატეები ტრიალებენ.

როცა ამას ირწმუნებს ადამიანი, უჩნდება პარანოიდული სიმპტომები, იმსჭვალება სრული უნდობლობით ყველას მიმართ, კარგავს მოწოდებული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების უნარს, ერთდროულად იჯერებს თუნდაც ერთმანეთის გამომრიცხავ ინფორმაციებს, ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ იმპულსურად იღებს რადიკალურ გადაწყვეტილებებს, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე იჯერებს სპეციალურად მისთვის შეთითხნი ჭორებს.

შედეგი, ადამიანი მიჯაჭვული ხდება იმ პირზე თუ პირთა ჯგუფზე, რომლებიც სისტემატიურად ამარაგებენ მას მისი სიცოცხლისათვის, მისი ძალაუფლებისთვის ხიფათის შემცველი საგანგაშო ინფორმაციებით, რომელთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, შეთხზული და მოგონილია.







**აი, ამ თამაშს ეთამაშებიან ვილა-ვილაცები დღეს ბიძინა ივანიშვილს, ის კი ავიწყდებათ, რომ ივანიშვილი თავად არის შესანიშნავი ფსიქოანალიტიკოსი და მსგავს იაფფასიან ცულლუტობებს ადვილად შიფრავს,** თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ მსგავსი პროვოკაციები შეფასებისა და ყურადღების გარეშე უნდა დარჩეს.

**ნახეთ, რა მზაკვრული ჩანაფიქრია – დაარწმუნონ ბიძინა ივანიშვილი, რომ მისი ბიზნესცენტრი, ფაქტობრივად, ურანის საბადოზე დგას და იქ მყოფნი, ივანიშვილის ჩათვლით, ყოველდღე კატასტროფულად დიდი დოზის რადიაქტიული ზემოქმედების ქვეშ არიან.**

თუ ეს ირწმუნა, რა უნდა მოიმოქმედოს ბიძინა ივანიშვილმა? რა უნდა მოიმოქმედოს და სასწრაფოდ უნდა მოახდინოს ბიზნესცენტრის ევაკუაცია, რისკენაც მას ღიად და პირდაპირ მოუწოდებენ მის სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე გულდაკალამატკივებული პერსონალიები.

**კი, მაგრამ, ეს ხომ ზუსტად ის არის, რაც ასე ძალიან უნდოდა და უნდა დღესაც მიხეილ სააკაშვილს?**

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მან ვერ მოახერხა და ბიძინა ივანიშვილი თავისი „ციხე-სიმაგრიდან“ ვერ გამოიტყუა, ვერ გამოდევნა, ახლა კი იმის გაკეთებას, რაც სააკაშვილმა ვერ გააკეთა, სააკაშვილთან შედარებით ეს დაწყებითი განათლების მქონე ვირეშმაკები აპირებენ?

დავუშვათ, გაბრიყვდა ივანიშვილი და ბიზნესცენტრის ევაკუაციის ბრძანება გასცა.

რა ხდება ამის შემდეგ?

რა ხდება და ბიზნესცენტრშიც და მის მიმდებარე ტერიტორიაზეც აუცილებლად უნდა ჩატარდეს ფართომასშტაბიანი კვლევითი სამუშაოები, რა დროსაც სულაც არ არის გამორიცხული, ბიზნესცენტრის შენობაში ან მის მახლობლად მართლაც „აღმოაჩინონ“ სიცოცხლისათვის საშიში ნებისმიერი ნივთიერება, ჯერ თვითონ დადონ და მერე თვითონ „აღმოაჩინონ“, თუმცა რისი დატოვებაც სჭირდებათ, იმას საიმედოდ დამალავენ და დატოვებენ.

აი, ასეთი, ერთი შეხედვით ცოტა უცნაური და ძნელად დასაჯერებელი ვერსია გაგვიზიარა უშიშროების სამსახურის გამოცდილმა ოფიცერმა, თუმცა დაუჯერებელი ამ ვერსიაში რა არის, თუ ის არის დასაჯერებელი, რომ ცეზიუმი თურმე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა გერმანე ფაცაციამ შემოიტანა და ზუგდიდში კონსპირაციულ პირს გადასცა.

საქმე ის არის, რომ გერმანე ფაცაცია დიდი ხანია მძიმე ავადმყოფია და, რამდენადაც ვიცით, სახლიდან ვერ გამოდის.

**რაც შეეხება ქალბატონი ია გიგიბერიას მოსაზრებას, რომ სოლოლაკში შეიძლება ურანის საბადო არსებობდეს. ჩვენი ვარაუდით, ურანის საბადო სოლოლაკში არა, მაგრამ ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციის ქვეშ არის უხვად გაფენილი და ასხივებს... ასხივებს...**

**გია ბურდული**
551 71 27 07

# დანამდვილებით ვიცი, ამერიკელებთან შეხვედრისას კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები თედო ჯაფარიძის თანდასწრებით ბატონ ბიძინას აქებდნენ, მაგრამ, როგორც კი მარტო დარჩნენ, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღეს ივანიშვილი

*გვესაუბრება მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი*
***სანდრო ბრეგაძე***



**— ბატონო სანდრო, რამდენიმე დღის წინ აშშ-ის კონგრესმენებმა მკაცრი უკმაყოფილება გამოთქვეს ნაცმოძრაობის წევრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით, მათ პოლიტიკური ტუსაღები უწოდეს და მიგვითითეს, დემოკრატიას საფრთხეს უქმნითო. რას ნიშნავდა ეს, ჩვენი, სუვერენული ქვეყნის შიდა საქმეებში ასე აქტიურად რატომ ერევიან?**

— თქვენს შეკითხვას კითხვითვე ვუპასუხებ: როგორ ფიქრობთ, მმართველი პარტიის, ხელისუფლების მეორე პირი — პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის დამნაშავეთა გაერთიანება და მეტიც, ამ ჯგუფის გადარჩენა არის ქართული დემოკრატიის ძირითადი ამოცანა. თქვენ რომ იყოთ უცხოელი დიპლომატი და გაიგოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი დააპატიმრეს, რას იფიქრებთ — ეს პოლიტიკური ანგარიშსწორება ხომ არ არისო, არა?! ასე ფიქრობენ ისინიც, მაგრამ პრობლემა ჩვენშია.

არსებობს ორი ფაქტორი, რამაც განაპირობა აშშ-ის კონგრესის განცხადება.

პირველი ოქტომბრის არჩევნებში ჩვენ ვიბრძოდით „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ნაციონალური რეჟიმის დასამარცხებლად.

მოსახლეობის „შეკვეთა“ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება და მერე მათი გასამართლება და არა ის, რომ მიგვენიჭებინა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლიტიკური ოპოზიციის სტატუსი, გვეზრუნა მათ გადარჩენაზე, ვითომდა დემოკრატიის დასაცავად.

ეს ხელოვნური კოჰაბიტაცია, რაც თავს მოგვახვიეს, იმის საფუძველი გახდა, რომ მერაბიშვილი და მისი ტიპის სხვა ავაზაკები დასავლეთის თვალში წარმოგვეჩინა, როგორც პოლიტიკოსები. როცა პოლიტიკოსს აპატიმრებ, რა თქმა უნდა, რეაქცია იქნება მძიმე.

ყოველივე ეს გამოიწვია პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებამ, რაც არაერთხელ გააკეთა ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

მეორე ასპექტი ისაა, რომ ჩვენი საგარეო უწყებები და დიპლომატიური წრეები ორი ტიპის ადამიანებისგან შედგება. ერთნი ნაცნობმეგობრობით არიან დიპლომატიაში, გართობით და უცხოეთის კურორტებზე დასვენების მეტს არაფერს აკეთებენ, ცხოვრებით ტკბებიან და არ მუშაობენ იმისთვის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ახალი მთავრობის შესახებ დეზინფორმაციები არ გავიდეს. არსებობს მეორე კატეგორიაც, ე.წ. ჩანერგილები და ნაცმოძრაობის მიერ დატოვებულები დიპლომატიურ სამსახურში. საინტერესო ისაა, რომ ივანიშვილზე არც მისი პოლიტიკური პარტნიორები საუბრობენ დადებითად.

ამის ნათელი დადასტურებაა თედო ჯაფარიძის ამერიკაში ვიზიტი,როდესაც მისმა თანმხლებმა პოლიტიკოსებმა ბატონ ჯაფარიძის თანდასწრებით დადებითად ისაუბრეს ახალი ხელისუფლების ლიდერზე,ხოლო ერთი ერთზე შეხვედრებისას ამერიკელი კონგრესმენები გააოცეს პრემიერის კრიტიკით.

ქაოსია, ბატონებო, საგარეო პოლიტიკაში. სრული ქაოსი და ეს პირდაპირ წყალს ასხამს სააკაშვილის წისქვილზე. ეს არის კლასიკური პოლიტიკური კრახი და პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს შესახებ სწორი ინფორმაციის გატანა ევალება.

ამერიკის კონგრესის განცხადებების ფონზე ჩვენ ნელ-ნელა მივექანებით საერთაშორისო იზოლაციისკენ. სასწრაფო ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

გაგვაგებინონ ერთი, რა უნდა საერთაშორისო წრეებისთვის იმის განმარტებას, რომ ვანო მერაბიშვილი და ბაჩანა ახალაია არიან კრიმინალები და უდიდესი ბრალი მიუძღვით ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე... ამას აკეთებენ ან უცოდინრობის გამო, ან იმიტომ, რომ „შეკრულნი“ არიან ნაციონალებთან“.

„ნაცმოძრაობა“ დღესაც სერიოზულად მუშაობს დასავლეთში და შედეგებიც აქვთ, მაგრამ, დავუშვათ, „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა და აუხსნა დასავლეთს, რომ ესენი არიან კრიმინალები, მაშინვე დასვამენ კითხვას — თუ კრიმინალები არიან, რატომ ამბობთ, რომ „ნაცმოძრაობა“, როგორც პარტია უნდა გადარჩეს?! თუმცაღა, ისიც სათქმელია, რომ ბევრი უცხოელი დიპლომატი იყო კავშირში „ნაცმოძრაობასთან“ წლების განმავლობაში, ბევრი მათგანი საქართველოში გამდიდრდა, მაგრამ ჩვენ მცდელობა მაინც არ უნდა დავაკლოთ, **დავით უსუფაშვილი** როცა ლაპარაკობს „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გადავარჩინოთო, ან ის უნდა გააჩუმო, ან მერაბიშვილი და სხვები არ უნდა დაიჭირო.

**— რესპუბლიკელები რომ ამ განცხადებას აკეთებდნენ, როგორც ჩანს, დემოკრატიას ეკეკლუცებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვი გაჩნდება; ხომ არ შეთანხმდნენ რაიმეში ნაციონალებთან?**

— ვფიქრობ, ეს ორი ძალა ბევრად უფრო კოჰაბიტირებულია ერთმანეთთან, ვიდრე საქართველოს მოსახლეობასთან. მათ ერთი იდეოლოგიური მამა ჰყავთ და წლების განმავლობაში ერთი ხელიდან იკვებებოდნენ. დღეს შეკრულები არიან თუ არა, ამაზე მსჯელობა ჩემთვის ძნელია, რადგან ხელთ არ მაქვს დამამტკიცებელი საბუთები. საქმით კი რესპუბლიკელები „ნაციონალების“ საქმეს აკეთებენ. კერძოდ, განათლების კანონპროექტში ცვლილებებს „ნაცმოძრაობის“ და „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერთა ნაწილმა არ დაუჭირა მხარი. ფაქტობრივად, ეს ორი პარტია გამოვიდა ბიძინა ივანიშვილის ინიციატივის წინააღმდეგ. ესენი რაღაცნაირ თემატურ თანხვედრაში აღმოჩნდნენ. ამას კოჰაბიტაცია უკვე აღარ ჰქვია. ეს კოჰაბიტაციაზე უფრო ახლო ურთიერთობაა, რაც მომავალში, შესაძლოა, პოლიტიკურ პარტნიორობაში გადაიზარდოს.

**ყველამ ვიცით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი გახლავთ ელისო ჩაფიძე, ანუ ბიძინა ივანიშვილის მოადგილე, მან პარლამენტში განათლების კანონთან დაკავშირებით კენჭისყრისას ბიძინა ივანიშვილის ინიციატივის წინააღმდეგ მისცა ხმა. ასეთი რამ პოლიტიკაში არ ხდება — ერთი პარტიის წევრი პარტიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდის. მოადგილე უპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს. კენჭისყრის შედეგები ამოიღეთ და ნახავთ, რომ არაფერს ვიგონებ.**

**— ბიძინა ივანიშვილს გუნდი აღარ ემორჩილება? ასე თუ გაგრძელდა და ბატონმა ბიძინამ რესპუბლიკელების ჭკუაზე თუ ატარა მთელი ქვეყანა, მისი რეიტინგი დაეცემა. ამის ნიშნები იკვეთება უკვე.**

— მე ვერ ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ მართავს პროცესებს, ან ძალა არ აქვს. რეცეპტი ძალიან მარტივია. ეს არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ყველა პარტიისთვის საშუალების მიცემა დამოუკიდებლად აწარმოოს საარჩევნო კამპანია და მოსახლეობამ გადაწყვიტოს, რომელი სურთ იხილონ პარლამენტში.

გარწმუნებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს, ეს პროცესი, როცა, რამდენიმე ცარიელი ვაგონი ჰყავს გამობმული და ეს ვაგონები თანდათან რელსებიდან მთავარ ვაგონს ასწრებენ, კარგს არაფერს მოუტანს.

არჩევნების შედეგად მოხდება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ — **ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა მთლიანად განადგურდება. მას არავითარი შანსი არ აქვს თუნდაც 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს. ეს ნიშნავს, რომ მათი საქმე დამთავრებულია. ეს ყველამ იცის, მაგრამ ვადამდელ არჩევნებს ყველა ეწინააღმდეგება. თუკი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა, ნაცმოძრაობა გადარჩება, სხვა პოლიტიკური ორგანიზმები აღარ იარსებებენ და თვითონ ბიძინა ივანიშვილს შეექმნება უდიდესი პრობლემა და კრიზისი, რომლის გადალახვა შეუძლებელი იქნება.**

**— რა მთავარი მოტივი უნდა გაცხადდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დასანიშნად?**

— ჯერ ერთი, დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი არ წარმოადგენს ქართველი მოსახლეობის ნებას. ყველამ კარგად ვიცით, „ნაცმოძრაობამ“ თავის დროზე შანტაჟის და გაყალბების შედეგად მიიღო ხმების 40 პროცენტი.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებლად უნდა გაიმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღრმა პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალია. წინასწარ ვაფრთხილებ საზოგადოებას.

**— ხომ არ არსებობს „უჩინარი ხელი“, რომელიც ჯერ შევარდნაძეს მართავდა, მერე მიშას და ახლა ახალ ხელისუფლებას?**

— ვერავინ ვერ დააძალებს, ვერც აშშ-ი, ვერც რუსეთი და ვერც, ვთქვათ, ჩინეთი ვერავის, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა გადაარჩინოს, თუ მხარდამჭერები არ ეყოლება ქვეყნის შიგნით. ასეთი პოლიტიკური ძალა დღეს არის საქართველოში და ესაა „რესპუბლიკური პარტია“.



**— ნაციონალები ამბობდნენ, კონგრესის წევრების შენიშვნა გარდამტეხი შეიძლება იყოს მმართველი გუნდისათვისო, ამის შემდეგ რაღაც უფრო რადიკალურს უნდა ველოდოთ დასავლეთიდან?**

— კონგრესი არ გახლავთ ისეთი ტიპის ორგანო, რომელიც უმიზეზოდ ისვრის ფრაზებს, არც „ვაშინგტონ პოსტია“ ხელწამოსაკრავი გამოცემა. „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაზე სერიოზული რეაგირება უნდა ყოფილიყო, რადგან ის შეერთებული შტატების წამყვან პოლიტიკოსთა აზრის გამომხატველი ორგანოა.

კონგრესმენთა განცხადების შემდეგ ყველამ ვნახეთ, რომ სააკაშვილი იყო ბედნიერი. 1 ოქტომბრის შემდეგ ამაზე ბედნიერი მიშა არც მინახავს და ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები პრობლემებს მოხსნის. თუ არა კრიზისი ამ ხელისუფლების ხვალინდელი დღეა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ბატონო ირაკლი, არ დაუჯეროთ არავის და არ გაანადგუროთ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები!

ბოლო პერიოდში, გასული წლის სექტემბრიდან დღემდე იმდენი შემაძრწუნებელი კადრი გავრცელდა საინფორმაციო საშუალებებით, რომ საზოგადოებამ მძიმე ფსიქოლოგიური შოკი მიიღო.

სწორედ ამ გარემოებამ მოამწიფა აზრი, რომ აუცილებელია ამ კადრების სასწრაფოდ განადგურება.

განზრახვა კეთილშობილური და მისასალმებელია, თუმცა ამ საკითხს აქვს მეორე, სამართლებრივად უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეტექსტი, რომელზეც არც საზოგადოება, არც შინაგან საქმეთა სამინისტრო, არც არასამთავრობო ორგანიზაციები სათანადოდ არ დაფიქრებულან.

**საქმე ის არის, რომ ამ კადრების განადგურებით, ფაქტობრივად, ნადგურდება ის სამხილი, რომელიც ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის თუ რომელიღაც სახელმწიფო სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნივთმტკიცებად შეიძლება ჩაითვალოს.**

ჯერ ერთი, ნივთმტკიცების განადგურებით დამნაშავე პირებს საშუალება ეძლევათ თავი დააღწიონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მეორეც — ნივთმტკიცების, სამხილის შეგნებულად, წინასწარგანზრახვით განადგურებაც თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონით ისჯება.

როგორც ცნობილია, სააკაშვილის რეჟიმის და შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც მუშაობდა კარგად გამართული და კარგად ორგანიზებული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ადამიანების პირადი ცხოვრების საიდუმლობებში შეღწევა, მათი აუდიო თუ ვიდეოჩანაწერების გაკეთება, რომლებსაც მერე ამ ადამიანების დასაშანტაჟებლად იყენებდნენ.

სააკაშვილის რეჟიმის დროს ეს სისტემა გაფართოვდა და ლამის ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდა, რომელიც თავის ქსელში არა მარტო ძალოვანი სტრუქტურების, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს აერთიანებდა.

ამ სისტემაში ჩართულნი იყვნენ პროფესიონალი მეძავები, არატრადიციული სექსის წარმომადგენლები — გეები, ლესბოსელები, ტრანსსექსუალები, მამაშები, სუტენიორები, რომლებიც ამა თუ იმ სტრუქტურის დაკვეთით ყველაზე ბინძურ დავალებებს ასრულებდნენ.

ამ უშტატო (ზოგჯერ შტატიანი) „თანამშრომლების“ ვინაობა რა თქმა უნდა, შესანიშნავად იციან შსს შესაბამისმა სამსახურებმა.

პირველ რიგში, საჭიროა ამ კონტინგენტიან თანამშრომლობაზე და მათ სამსახურზე უარის თქმა, თორემ შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ ძველი მასალა განადგურდეს, მაგრამ მას ახალი ჩაენაცვლოს.

როდესაც შსს მინისტრი ამბობს, რომ უწყებაში მოსვლისას ადამიანთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიო ჩანაწერების უზარმაზარი არქივი დახვდა, ეს იმასაც ხომ ადასტურებს, რომ ამ მდიდარი არქივის შექმნაზე ადამიანთა დიდი ჯგუფი მუშაობდა.



**სანამ ამ არქივის განადგურების გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, უპრიანი იქნება, ჯერ ამ მასალების შემქმნელი ადამიანების გამოვლენაზე ვიფიქროთ,** დამნაშავეები ვამხილოთ, ეს მახინჯი, ყოვლად ამაზრზენი სისტემა დავშალოთ და მასალები მერე გავანადგუროთ.

როგორც ვთქვით, ამ ვიდეოთეკის მთავარი შემოქმედი „ნაცმოძრაობა“ იყო.

**ვინც შსს მინისტრს აგულიანებს, რომ ეს მასალები დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს, ის ნებსით თუ უნებლიეთ, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ყველაზე ანტიადამიანური დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალის გაქრობას და ამით „ნაცმოძრაობის“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ცდილობს.**

ასე რომ, არ დაუჯეროთ, ბატონო ირაკლი, არავის და სანამ ყველაფერს დაწვრილებით არ გამოიძიებთ, ამ კადრებს ნუ გაანადგურებთ...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ეს სასამართლო რეფორმა კი არა მგლების „სხადნიაკია“

სამწუხაროდ, მოსამართლეთა კონფერენციის შედეგებმა, რომელსაც სრულიად საქართველო ასე ელოდებოდა, ჩვენს მოქალაქეებს სამართლიანობის აღდგენის რწმენა შეურყია და, რბილად რომ ვთქვათ, ეს ძალიან ცუდია...

რა მოხდა რეალურად? ჩატარდა თუ არა დემოკრატიული არჩევნები? ან შეიძლება თუ არა, დემოკრატიული უწოდო არჩევნებს, როდესაც მეთაურად მგელი მგელს ირჩევს, კრიმინალი - კრიმინალს, ქურდი - ქურდს, მეძავი - მეძავს?..და ასე “დემოკრატიულად” არჩეულმა მეთაურმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოში კანონიერების აღდგენის პროცესი!

ყველა ვხედავთ, თუ რა დიდი გულმოდგინებით ცდილობს ნაციონალური მოძრაობა და მისი სახელით დღევანდელი ე.წ. მართლმსაჯულების მეთაური კოტე კუბლაშვილი ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების ხარვეზების კომისიის შექმნას პარლამენტში, რათა არ მოხდეს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა.

სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება, ნებსით თუ უნებლიეთ, ან რაღაცა ძალების ფარული ჩარევის შედეგად, ხელს უწყობს თავიანთი საკანონმდებლო პასიურობით კუბლაშვილებისა და მისთ. სურვილების განხორციელებას.

მოგეხსენებათ, იმისათვის, რომ პარლამენტში შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისია, მინიმუმ, საკანონმდებლო დონეზე უნდა გადაწყდეს მისი სექმნის საკითხი. ვერ გეტყვით, არის თუ არა შესაბამისი კანონპროექტი განსახილველად შეტანილი პარლამენტის იურიდიულ კომისიაში, მაგრამ ხალხმა ის კი ნამდვილად იცის, რომ მისი განხილვა არ დაწყებულა. ასევე, ბოლოს და ბოლოს თუ შეიქმნება ეს სანატრელი კომისია, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაშიც უნდა იქნას შეტანილი დამატება ან ცვლილება იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის დასკვნა კონკრეტულ სისხლის, ასევე, სამოქალაქო საქმეზე ჩაითვალოს ახლად გამოვლენილ გარემოებად და ამ საქმის განხილვა სასამართლოში კანონის მიხედვით იყოს შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში, თავს ნურავინ მოიტყუებს, სასამართლო ვერ მიიღებს განსახილველად წარმოებაში ვერცერთ საქმეს, რადგან, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი ამ საქმეთა განსახილველად.

რატომ ჭიანურდება ხსენებული კანონისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიღების საკითხი? იმიტომ ხომ არა, რომ ამით წყალი ნაციონალური მოძრაობის წისქვილს დაესხას? რა ხდება, “ქართულ ოცნების” ნაბიჯებს ნაციონალური მოძრაობის ფარული მოკავშირეები ხომ არ აკონტროლებენ? ახალს არაფერს ვიტყვი, თუ გავიმეორებ, რომ ეჭვის ჭია რესპუბლიკელებისკენ მიღოღავს...

2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე 8 თვეა გასული. გაკეთდა, როგორ არ გაკეთდა ამ მხრივ ბევრი კარგი რამ. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, გამოიცა ამნისტიის აქტი, მაგრამ იმ პირთა ბედი, რომლებიც არ არიან პოლიტპატიმრები და რომელთაც არ შეეხო ამნისტიის აქტი / გარდა ერთი მეოთხედისა/, მაგრამ იხდიან სასჯელს დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩაუდენიათ, დამოკიდებულია ამ საკანონმდებლო ცვლილებებზე... და თუ დროულად არ განხორციელდება ამ ცვლილებების მიღება, ეს ნიშნავს, რომ გრძელდება უკანონობის ჯაჭვი და უკანონო პატიმრის უკანონო სასჯელს ყოველდღე ახალი უკანონო პატიმრობის დღე ემატება..



დღევანდელმა მართლმსაჯულების მესვეურებმა თავგამოდებით დაიწყეს უკანონო გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეთა დაცვა. ამ მიზანს ემსახურება მათი თავგამოდებული ბრძოლა ამ საკანონმდებლო ცვლილებების არმიღების შესახებ. ჯერჯერობით ის ჩანს, რომ მათი მონდომება სულაც არ არის უშედეგო და სამართლებრივად ნამდვილად აღწევენ იმას, რაც სურთ: შერჩეთ ხახვივით ამდენი ადამიანის გაუბედურება!

ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა ასეთი რამ მითხრა: „ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ უნდა შეხვედროდა კოტე კუბლაშვილს და მასთან, შეცოდებისა თუ თანაგრძნობის მოტივით, დათმობებზე არ უნდა წასულიყო. ბატონ ბიძინას, როგორც ჩანს, ბოლომდე არ სჯეროდა, რომ კოტე კუბლაშვილი ისეთივე სისხლმოწამლულია, როგორც სხვა დანარჩენი მათი გუნდიდან. ამ გუნდის ძირითადმა ბირთვმა არ იცის მეგობრობის, კაცობისა და სიტყვის ფასი. ისინი თავიანთი მიზნის მისაღწევად ძალიან ადვილად ჩასცხებენ ხანჯალს ზურგში იმას, ვისაც მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. ღალატი მათი სისხლხორცეული და ბუნებრივი თვისებაა. სხვანაირად ისინი ვერ შეძლებდნენ ქართული მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლას!”

როდესაც მოსამართლეთა კონფერენციის შედეგები გახდა ცნობილი, ამ ჭკვიანი კაცის ეს სიტყვები გამახსენდა. ეს შედეგები იყო სწორედ მოწინააღმდეგისათვის ზურგში ხანჯლის ჩაცემა... და ამის შემდეგ ყველამ დაინახა, ხმათა უმრავლესობით არჩეულმა ზაზა მეიშვილმა, რომელსაც ქალბატონმა თეა წულუკიანმა იდიოზური ფიგურა უწოდა, მომენტალურად მოსამართლეთა დაცვაზე დაიწყო საუბარი... აქ საუბარია შეგნებულად უკანონო გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეებზე, თორემ ღმერთმა დამიფაროს, ზოგადად, მოსამართლის დაცვის წინააღმდეგი ვიყო! ზაზა მეიშვილის ეს განცხადება სრულებითაც არ იყო გასაკვირი იმ იურისტებისათვის, ვისაც პროფესიული შეხება აქვთ სასამართლოსთან, რადგან სწორედ ზაზა მეიშვილის მიერ შედგენილი “ გაიდლაინებით” ხელმძღვანელობდნენ მოსამართლეები!.. ხალხს არ აინტერესებს, რამდენად პროფესიონალია ზაზა მეიშვილი და მისთანანი, ხალხს აინტერესებს, რამდენად ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები... და რამდენად “სამართლიანი” იყო ეს გადაწყვეტილებები, ეს ცხადად დაგვანახა ამდენმა პოლიტპატიმარმა, საქმის გადასინჯვის მოტივით, პროკურატურაში შეტანილმა ურიცხვმა განცხადებამ, სტრასბურგში საქართველოს მოქალაქეების მიერ გაგზავნილმა საჩივარ-განცხადებების რაოდენობამ და ა. შ...

იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან! იქნებ არსებობდეს გამოსავალი და საქართველოში ნამდვილად ჩატარდეს სასამართლო რეფორმა! არ მინდა, ჩვენი მოქალაქეები ეროვნულ სასამართლოებში სამართლის უპოვნელობით გამწარებულებები იმედს ისევ სტრასბურგის სასამართლოზე ამყარებდნენ!

**ანა ბირთველიშვილი**

# „საქმით იცნობთ ღვთის მორწმუნეს“...



რამდენიმე დღის წინ ახლობელმა ქირურგიული ოპერაცია გაიკეთა. ძალიან შეწუხებული მივედი გლდანის ეკლესიაში, იქედან ავადმყოფის სანახავად უნდა წავსულიყავი. ღამდებოდა, მაღაზიაშიც უნდა გამევლო და მოკლედ, ძალიან მეჩქარებოდა და წამოსვლა დავაპირე.

— დამელოდე, — მითხრა მოძღვარმა. მე წაგიყვან ჩემი მანქანით, მაღაზიაშიც შეხვალ და მერე წყნარად მოინახულე ავადმყოფიო.

ჩავჯექი მოძღვრის გასული საუკუნის 70-იანი წლების გაზ-24-ში და 15 წუთში ხრიგინ-ხრიგინით მივედით ნათესავის სახლთან.

— სად ნახე ეს დანგრეული მანქანა? — მკითხა ჩემმა 21 წლის დეიდაშვილმა. მამაოები ჯიპებით დადიან და ეს კაცი სად იპოვე? — სიცილს ვერ იკავებდა.

ეს „კაცი“, ანუ მამა ბასილ მკალავიშვილი ათეული წლების წინ არ „მიპოვია“, მაგრამ მან კარგა ხანია იპოვა ღვთის რწმენა საკუთარ თავში, რაც ქართველებისთვის უკვე 16 საუკუნეა სამშობლოსთან ასოცირდება.

უცნაურად მეჩვენება ახლა მე რომ მამა ბასილზე ამ წერილს ვწერ. ამას, ალბათ, ის ადამიანები გააკეთებდნენ უკეთესად, რომლებიც 20 თუ 25 წელიწადია მოძღვრის გვერდით დგანან და არა მხოლოდ სარწმუნოებას იცავენ, არამედ თვით საქართველოს იმ ძნელბედობებისას, რაც გამოიარა და რა ცეცხლშიც ტრიალებს დღეს საქართველო.

ქრონოლოგია ზედმეტად მეჩვენება იმის მოსათხრობად, რაც გადაიტანა მამა ბასილმა აქამდე, მაგრამ მისი მოძღვრობის დაწყებიდან დღემდე არ დარჩენილა არც ერთი საჭირბოროტო მოვლენა ქვეყნის ისტორიაში, მამა ბასილი რომ არ გამოხმაურებოდა. იგი გახლდათ ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი მაშინ, როცა ქართულმა ეკლესიამ გარკვეულ ხანს ზურგი შეაქცია გამსახურდიას ეროვნულ იდეებს...

ჰოდა, მამა ბასილის ერთადერთი ძლიერი თანამოაზრე ამ და სხვა მიწიერ ბრძოლებში ბატონი გურამ შარაძე გახლდათ, რომელიც, როგორც გამოასალმეს სიცოცხლეს, ყველამ კარგად იცის.

დღესაც ოხვრით იგონებს მას მამა ბასილი...

ახლა ხშირად ამბობენ, რომ ბასილ მკალავიშვილი არაა მოძღვარი, იგი განკვეთილია იმ ურჩობისთვის, რაც მან ჩაიდინა — არ შეურიგდა იელოველთა სექტის მომძლავრებას და თავპირი დაალეწა წმინდა სამების უარმყოფელებს. მავანნი, ალბათ, დაამტკიცებენ (რაკიღა ამბობენ!), რომ მამა ბასილი მღდვლობიდან მოხსნილია, მაგრამ ვინ ანიჭებს ადამიანს მოძღვრის სახელს — ცალკეული ადამიანები, გარკვეული იერარქია თუ თვითონ ხალხი?!

ქრისტეს მცნებების განუხრელ დამცველს, მართლმადიდებლური რჯულის მადიდებელ-მქადაგებელს, გაჭირვებულთა შემწეს, მოუწყინარ მლოცველს, ქვრივ-ობოლთა განმკითხველს, დაუღალავ მშრომელს, მართლმადიდებლური ტაძრების ჩუმად ამშენებელს (და არა ისე, ტელევიზიებით რომ აცხადებენ და ფულის ჩასაყრელი ყუთებით რომ დადიან) არა ცრუს, არა ავაზაკს, არა მრუშს, არა მპარავს, პატიოსან კაცს თუ არ ჰქვია მოძღვარი, მაშინ მამა ბასილსაც არ ჰქვიებია...

* * *

მოგვიანებით გავიგე, მამა ბასილს თავისი გაზ-24 გზაში გაფუჭებია და ძლივს ჩაუგორებია ტრასამდე... „ჯიპი“ ასე ადვილად არ ფუჭდება... არც ალაგ-ალაგ დახეული კაბის კალთაზე გამთხვევინებს, არც იმას გაგრძნობინებს, 5 წელიწადი სააკაშვილის ციხეში რომ იჯდა და იმ პერიოდის ციხის სიმწარე და უსამართლობა მდუმარედ რომ აქვს გადატანილი...

ვანო მერაბიშვილის, ახალაიების, ადეიშვილის, ბოკერიას და ბარამიძის პირადი სამიზნე იყო წლების განმავლობაში. „ქრისტიანობის ბუდე“ რომ არ ყოფილიყო გლდანში მამა ბასილის აშენებული ტაძარი, ეს მსხვილი ბაღლინჯოები არ დაესხმებოდნენ თავს ათასობით სპეცრაზმელთან ერთად, არ შელეწავდნენ ქრისტეს სადიდებელ ტაძარს და წვერით თრევა-თრევით არ ჩაამწყვდევდნენ მას ციხეში ნაციონალები „ვარდების რევოლუციიდან“ სამ თვეში...



მერე ამ ვანდალიზმის „გამპრავებელი“ გამოჩნდა ზოგიერთი გაზეთი და მისი რედკოლეგია, ახლა ბევრი მათგანი ახალ ხელისუფლებაში შეძვრნენ, ზოგს ექსპერტიც ჰქვია, მაგრამ ზოგადსაკაცობრიო, ზოგადეროვნული, ტრადიციული ღირებულება-ფასეულობები ურყევი და შეუცვლელია და ამას იცავს ეს მოძღვარი, ამას შეალია ჯანმრთელობა, ოჯახური კეთილდღეობა და ფუფუნება და ასე ცხოვრობს დღემდე...

ასე იქცევიან სახელმწიფო მოღვაწეები... ამას აკეთებს ერთი უბრალო მღვდელი — მამა ბასილ მკალავიშვილი თავისი ხელით აშენებულ უზარმაზარ ეკლესიაში გლდანში...

ამას წინათ ფეისბუკით ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, სადაც, არ მახსოვს, რომელიღაც ტელევიზიის სტუდიაში მამა ბასილი სექსუალური უმცირესობების აქტიურობებს გმობდა... მამაო ტელეკამერებს შეჩვეული არაა და დაბნეულობისგან და სექსუმცირესობების აღვირახსნილობების შემხედვარეს აღელვებისგან უცხოეთის ქვეყნების სახელები აერია და სწორად ვერ წარმოთქვა. მერე ფეისბუკში ზოგი ქირქილებდა — მამა ბასილმა გეოგრაფია არ იცისო...

თევდორე მღვდელმა, შეიძლება, სულაც არ იცოდა სად იყო სკანდინავიის კუნძულები, შოტლანდია და არც სავონაროლაზე სმენოდა რამე, მაგრამ მან იცოდა, რომ თავი უნდა გაეწირა ქრისტესთვის, ქვეყნისთვის, ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად... მეცნიერება სხვა რამეა, სულიერი მოძღვრობა — სხვა, სხვათა შორის, დამეთანხმებით, მეორე უფრო ძნელია, ხოლო დაცინვა და განკითხვა ყველაზე ადვილი...

— ახლა ბრძოლაა საჭირო ქრისტესთვის და საქართველოსთვის, — ბევრჯერ უთქვამს მამა ბასილს.

*„დიახ, ომი გრძელდება, მაგრამ ახლა იგი ხმლითა და ზარბაზნით კი არ მიმდინარეობს, არამედ საიდუმლო და უხილავი ბრძოლა მიდის ადამიანთა სულების გადასარჩენად. ვიღაც ავადმყოფებებს ებრძვის, ვიღაც ცდუნებებს, ზოგი სინდისისა და პატივისცემისთვის იბრძვის. ზოგი კი სუსტების თუ უმწეოების და მათ მსგავსთათვის... ხოლო სადაც ბრძოლაა, იქ გმირებიც არიან. თუკი ეს გმირები ყველასთვის და ყველგან არ ჩანან, იმას არ ნიშნავს, რომ არ არსებობენ. ისინი არიან და თანაც ბევრნი. ისინი არიან სახლებში, ქუჩებში, საავადმყოფოებში, მინდვრებში, რამეთუ გმირობა ცხოვრებაში მარტოოდენ გენერლების პრივილეგია არაა, არამედ რიგითების“...*

წმინდა მღვდელმთავარი
**ნიკოლოზ სერბი**
(ველიმიროვიჩი)

* * *

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა ვაშინგტონმა ოფიციალურად გააჟღერა ის, რაზეც ადრე მთელ მსოფლიოში მხოლოდ კულუარებში ჩურჩულებდნენ. დღეს კაცობრიობამ ზუსტად იცის, ვის უნდა უმადლოდეს ლგბტ-ს პროპაგანდირებას და ერთსქესიანთა ლობირებას სახელმწიფოებრივ დონეზე. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ ერთსქესიანთა ქორწინება კანონმდებლობით უნდა იქნას აღიარებული აშშ-ის შტატებში...

გაგეცინებათ და, მამა ბასილს მათ წინააღმდეგ უკვე დაწყებული აქვს ე.წ. „ჭინჭრების რევოლუცია“ და ახლა, მე რომ ამ წერილს ვწერ, ზუსტად ვიცი, ცემენტს ზელს და ეკლესიის გალავანს აშენებს საკუთარი ხელით ამ ხვატ სიცხეში...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „ვაჟა თათარაშვილს ერთი პირადი პრობლემა აქვს – მას პოლიტიკოსობა პოლიტიკანობაში, უფრო ზუსტად, ინტრიგანობაში ერევა...“

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „მცხეთაში კვლავ ჩოჩელი და მისი ბანდა დათარეშობს“, მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მცხეთელები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მცხეთაში ჯერჯერობით ვერ აღიკვეთა ჩოჩელისა და მისი კლანის დანაშაულებრივი საქმიანობა.

მართალია, ვიღაცები დაისაჯნენ, დიდძალი ქონებისა და საბიუჯეტო თანხების მითვისების მუხლით რამდენიმე პირზე სისხლის სამართლის საქმეებიც არის აღძრული, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ზღვაში წვეთია, იმდენად დიდი და ფართომასშტაბიანი იყო ჩოჩელისა და მისი პარტნიორების მიერ ორგანიზე-


ვაჟა თათარაშვილი

ბული კორუფციული ქსელი, რომლის მეშვეობითაც მილიონები ილექებოდა დამნაშავეთა ჯიბეებში.

მცხეთელთა განსაკუთრებულ გულისწყრომას ისიც იწვევს, რომ მცხეთაში კვლავ დიდია „ნაციონალების“ გავლენა, ხოლო ახალი ხელისუფლება სრულად ვერ აკონტროლებს სიტუაციას და ხშირ შემთხვევაში უპრინციპობას და გულგრილობას იჩენს „ნაციონალური“ კადრების მიმართ, რომლებმაც ახალი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთან საერთო ენა გამონახეს და ძველი მდგომარეობა შეინარჩუნეს.

„საერთო გაზეთი“ აუცილებლად მიუბრუნდება მცხეთაში მიმდინარე პროცესებს, მანამდე კი ერთ ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც ტელეფონით ჩავიწერეთ. (სამწუხაროდ, რესპონდენტმა თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა).

„ყურადღებით გავეცანი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ბატონ ვაჟა თათარაშვილთან.

მცხეთელი არ ვარ, მაგრამ დიდი ხანია მცხეთაში ვმუშაობ და ყველაფრის საქმის კურსში ვარ.

ვერ დავუკარგავ, ბატონი ვაჟა ამ ინტერვიუში ბევრ სიმართლეს ამბობს. მართლაც აღმაშფოთებელი და საგანგაშოა ის, რომ მცხეთას, ქართველებისთვის ამ სათაყვანო და წმინდა ქალაქს, „ნაციონალების“ ხელდასმით ჩოჩელები და მისნაირი ტურები შეესივნენ და დღემდე პირიდან ვერ ვაგდებინებთ ამ ქალაქს.

ისიც სიმართლეა, რომ ამაში ახალი ხელისუფლებაც სცოდავს და ზედმეტად ლოიალურად და ლმობიერად ეპყრობა დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს.

**ვფიქრობ, აუცილებელია შეიქმნას დიდი სახელმწიფო კომისია, რომელშიც შევლენ საპატრიარქოს წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, ინტელიგენცია, ავტორიტეტით და წესიერებით გამორჩეული მცხეთელები.**

ამ კომისიამ უნდა დაადგინოს, აღნუსხოს და საჯარო გახადოს ყველაფერი, რაც მცხეთაში ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ხდებოდა.

მცხეთა, უკაცრავად და, მერაბიშვილ-ჩოჩელის მიერ აშენებული რომელიმე გეტო ხომ არ არის – მსოფლიო კულტურისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია და მისი ხელყოფის უფლება არავის არ უნდა მივცეთ.

რაც შეეხება ბატონ თათარაშვილს, კარგია, რომ ის პრინციპულობას იჩენს სხვების მიერ ჩადენილი უმსგავსობების მიმართ, მაგრამ ცუდია, რომ ზოგჯერ პრინციპული არ არის საკუთარი თავის მიმართ.

მახსოვს, 2008 წელს, როცა თათარაშვილი „ეროვნულ ფორუმში“ იყო და გაერთიანებული ოპოზიციის შტაბის უფროსი გახლდათ, მის გარშემო დიდი სკანდალი აგორდა.

როგორც ამბობდნენ, ის გაურიგდა „ნაციონალებს“, რომ ხმების დათვლის პროცესს მოარიდებდა ოპოზიციის დამკვირვებლებს და კომისიის წევრებს, რის სანაცვლოდაც „ნაციონალები“ მას 30 000 ლარს გადაუხდიდნენ.

შუამავალი „ნაცმოძრაობას“ და თათარაშვილს შორის, გავრცელებულ ინფორმაციას თუ ვენდობით, ვახტანგ ყიფშიძის (გამგებლის) ძმა იყო.

თათარაშვილმა თურმე პირნათლად შეასრულა პირობა, მაგრამ „ნაცებმა“ გადააგდეს და შეპირებული ჰონორარი არ გადაუხადეს, რასაც დიდი „რაზბორკები“ და დიდი აყალ-მაყალი მოჰყვა.

დაახლოებით მსგავს შარში გაეხვია თათარაშვილი 2012 წელსაც, როცა ის ამჯერად „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად მოგვევლინა, საიდანაც მალევე დაითხოვეს „ნაციონალებთან“ საეჭვო მოლაპარაკებების მცდელობის გამო.

სულ ტყუილად იშვერს ხელს თათარაშვილი სხვებისკენ – ჩემს მოშორებაში „ნაციონალებმა ვიღაც-ვიღაცებს ფული გადაუხადეს და მე ჩემს გუნდთან ერთად „ქართული ოცნების“ შტაბიდან დამითხოვესო.

ეს განცხადება რომ სრული აბსურდია, იმითაც დასტურდება, რომ მის წინააღმდეგ მოწყობილი „შეთქმულების“ ავტორებად თათარაშვილი კალანდაძე და მჭედლიშვილს აცხადებს, ანუ იმ ადამიანეს, რომლებიც დიდი ხანია ერთმანეთთან არანაირი კონტაქტი არ აქვთ.

ესეც არ იყოს, „ნაციონალები“ თათარაშვილის მოშორებაში ფულს რატომ გადაიხდიდნენ, როცა მათ თათარაშვილი, როგორც ურეიტინგო, საკმაოდ სახელგატეხილი და დისკრედიტებული ოპონენტი, ძალიანაც აძლევდათ ხელს და მისი დამარცხება მათთვის იოლზე იოლი საქმე იყო?

როდის იყო სუსტი მოწინააღმდეგის მოშორებაში ვინმე ფულს იხდიდა?

თათარაშვილის „ქართული ოცნების“ შტაბიდან დათხოვნის მთავარ მიზეზად ფარული აუდიოჩანაწერი სახელდება, სადაც ბატონი ვაჟა „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელს გარკვეულ პირობებს უყენებს.

თათარაშვილი ამტკიცებს, რომ აუდიოჩანაწერი ფალსიფიკაციაა და ამის დასტურად ძალზე უსუსური არგუმენტი მოჰყავს: თუ გუბაზ სანიკიძის ფარული ჩანაწერი დამონტაჟებულია, რატომ არ შეიძლება ჩემ-


ცეზარ ჩოჩელი

თან დაკავშირებული ჩანაწერიც დამონტაჟებული იყოსო?

ჯერ ერთი, სერიოზულად არავის გამოუკვლევია და არავის დაუწყია იმის მტკიცება, რომ გუბაზ სანიკიძის აუდიოჩანაწერი ფაბრიკაციაა და მეორეც, ფაბრიკაციაც რომ იყოს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თათარაშვილის აუდიჩანაწერიც დამონტაჟებულია.

ვფიქრობ, ბატონ ვაჟა თათარაშვილს ერთი პირადი პრობლემა აქვს – ის პოლიტიკოსობას და პოლიტიკანობას, უფრო ზუსტად, ინტრიგანობას, ერთმანეთში ურევს. ამიტომაცაა, რომ ვერც ერთ პარტიაში ფეხი ვერ მოიკიდა.

რამდენადაც ვიცი, ახლა ახალ პარტიაში გასაწევრიანებლად ემზადება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, იქაც იგივე დაემართება, რაც სხვაგან ემართებოდა.

დაბოლოს, დიდი თხოვნა მაქვს – გააგრძელეთ წერილების ბეჭდვა მცხეთაში შექმნილ პრობლემებზე, ჩაატარეთ ჟურნალისტური გამოძიება და და საქმეს ბოლომდე მიჰყევით“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რესპონდენტმა არ ისურვა თავისი ვინაობის გამჟღავნება და ეს იმით ახსნა, რომ თათარაშვილთან პოლემიკის არც სურვილი აქვს და არც ნერვები.

„–მას შეუძლია ისეთი ცილი დაგწამოს და ისეთი რამ დაგაბრალოს, რასაც რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ამიტომაც დიდი ხანია მასთან ნებისმიერ ურთიერთობას ყველა ერიდება. სიმართლე გითხრათ, არც მე მაქვს მასთან კინკლაობის ნერვები და მოდით, აქ დავსვათ წერტილი“, – გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა და ყურმილი დაგვიკიდა.

ჩვენც აქ დავსვათ წერტილი, ოღონდ იმ პირობით, რომ მცხეთის პრობლემებზე საუბარს აუცილებლად გავაგრძელებთ.

**„ს.გ.“**

## ალექსი პეტრიაშვილი ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ხელმძღვანელობას შეხვდა



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი ევროკავშირ–საქართველოს ბიზნეს საბჭოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ემანუელ ჰატონსა და ევროკავშირ–საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალურ მდივანს ზვიად ჭუმბურიძეს შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირებისა და მისი შემადგენელი ნაწილის- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებებზე ისაუბრეს. სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციას და განაცხადა, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ყველა სფეროში რეფორმები გრძელდება. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაციის პროცესი.

თავის მხრივ, ემანუელ ჰატონმა აღნიშნა, რომ ევროკავშირ–საქართველოს ბიზნეს საბჭო დაინტერესებულია ხელი შეუწყოს ქართველ მეწარმეებს ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის განხორციელებაში. მისივე თქმით, საბჭო მეტ ყურადღებას დაუთმობს ახალგაზრდების განათლებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხებს. შეხვედრაზე, ასევე, აღინიშნა, რომ ევროკავშირ–საქართველოს ბიზნეს საბჭო თბილისში ოფისის გახსნას გეგმავს.

## პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოჩანაწერებს 23 ივნისს 15:00 საათზე გაანადგურებენ



პირადი ცხოვრების ამსახველ უკანონო ვიდეოჩანაწერებს კვირას, 23 ივნისს 15:00 საათზე, მედიის თანდასწრებით გაანადგურებენ.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველ შენობაში, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების განადგურების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი.

როგორც ჟურნალისტებს სახალხო დამცველმა უჩნა ნანუაშვილმა განუცხადა, განადგურდება მხოლოდ და მხოლოდ ის ჩანაწერები, რომლებიც პირად ცხოვრებას ასახავს და არის უკანონოდ გადაღებული.

„საუბარია იმაზე, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები განადგურდება. საუბარია სხვა მასალებზეც, რომელთან დაკავშირებითაც კომისია დამატებით მსჯელობს. ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და მომავალ კვირას გადაწყდება ამ საქმეების ბედი,”-აღნიშნა ნანუაშვილმა.

მისი თქმით, იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მათ წარედგინათ, ჩანაწერებში ფიგურირებენ, როგორც პოლიტიკოსები, ასევე მედიის წარმომადგენლები, არიან სასულიერო პირებიც და ძალიან ბევრი საზოგადო მოღვაწე.

„დაახლოებით 12 ათასზე მეტი ფაილი არსებობს, რომელთა შექმნაც ბოლო წლების განმავლობაში მოხდა უკანონოდ, სხვადასხვა სტუქტურების მხრიდან,”-განაცხადა ნანუაშვილმა.

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების განადგურების მიზნით შექმნილ კომისიას შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს. მასში მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, ასევე, სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები - ეკა გიგაური, ლაშა ტუღუში, კახი კახიშვილი და სხვები მონაწილეობდნენ.

**„მედიანიუსი“**

# დღეს ჩვენი ხელისუფლება მთლიანად მარცხნივაა გადახრილი...



გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე:**

**— საზოგადოებას აქვს კითხვები — რატომ ვერ ვვითარდებით, რატომ არ გვაქვს განვითარებული ბიზნესი, სოფლის მეურნეობა?**

— ყველაფერი, სწორი პოლიტიკის არჩევაზეა დამოკიდებული, რომელიც ბიზნესზე ორიენტირებული უნდა იყოს, რაც საბიუჯეტო შემოსავლების წყაროა. შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფული შევა ბიუჯეტში. მთავარია, რამდენად იქნება საბიუჯეტო პოლიტიკა პროგრესზე ორიენტირებული, ანუ ბიუჯეტის შემოსავლები რამდენად მზარდი იქნება.

**— რამ უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის შემოსავლების მზარდობა?**

— ხელისუფლების მხრიდან დეკლარირებულია, რომ ბიზნესი თავისუფალია და მასში არავინ ერევა. მაგრამ ეს მის განსავითარებლად საკმარისი პირობა არაა. არჩევნებამდე, ყველა მცირე ბიზნესის განვითარებაზე ვსაუბრობდით, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კუთხით, არაფერი გაკეთებულა. ეს მესიჯები ყველამ დაივიწყა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ ვერ ჩამოაყალიბა ცალსახა მიდგომები საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებით — არავის უფიქრია, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება გავხადოთ საქართველო, როგორც უცხოური ინვესტორებისთვის, ასევე შიდა ინვესტიცების განხორციელების კუთხით. ანუ, ვიღებთ შემდეგ სურათს — ბიზნესი ერთ დონეზე რჩება, ქვეყანაში მისი განვითარების ხელსაყრელი გარემო არ იქმნება. შესაბამისად, ხელისუფლებიდან წამოსული მესიჯები, მეწარმეებისთვის, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ ბიზნესი პასიურ მდგომარეობაშია გადასული. უცხოელი ინვესტორი ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებისგან თავს იკავებს და საბოლოოდ, სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივა სამომავლოდ იდება. ეს ასევე, განაპირობებს ქვეყანაში ახალი დამატებითი ღირებულებების არ შექმნას, რაც ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის დაბალი მაჩვენებლით აისახება. ანუ ჩვენ ქვეყანაში ვერ ვუზრუნველყოფთ ეკონომიკურ და ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას. უცხოური ინვესტიციები, პრაქტიკულად, არ შემოდის. ანუ ქვეყანაში, კვლავ საინვესტიციო შიმშილია, ახალი დამატებითი ღირებულებები არ იქმნება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. მას შეუძლია დააკმაყოფილოს არამარტო საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება, არამედ პირიქით განავითაროს და 2-3 წელიწადში ქვეყანაში ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის წარმოება ჩამოაყალიბოს. შეგვიძლია, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მომარაგების თვალსაზრისით, რეგიონისთვის მთავარი დომინანტი ქვეყანა გავხდეთ, მაგრამ ამას სათანდო პოლიტიკა სჭირდება და არა სასოფლო სამეურნეო ვაუჩერების დარიგება. ეს სოციალური და არა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაა. ყველაფერს თავის სახელი უნდა დავარქვათ. ინვესტორებს სტიმული უნდა გაუჩინო, რათა სოფელში ფული ჩადონ, თორემ ბარის, თოხის და ურემის დარიგებით სოფლის მეურნეობა წელში ვერ გაიმართება და ის ადამიანები, ვისაც ეს ბარათები დაურიგდათ სოფლის მეურნეობას, შემოდგომაზე ჭარბ პროდუქტს ვერ შეუქმნიან.

**— მაგრამ, დღეს ძირითადად უცხოური პროდუქციის გასაღებაზე ვართ ორიენტირებული. ადგილობრივი მრეწველობის აღორძინებისთვის კი არაფერი კეთდება. რადგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ვართ, მათთვის უარის თქმის უფლება არ გვაქვს. ამ კუთხით, რამდენად მისაღებია ამ ორგანიზაციაში ჩვენი წევრობა?**

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ, საქართველოს შესაძლებლობა მისცა საერთაშორისო ბაზრებზე შესულიყო, რამაც ევროკავშირთან და აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა გააჩინა. მაგრამ ეს შესაძლებლობაა და მეტი არაფერი, რომელსაც საქართველო ამ ეტაპზე ვერ იყენებს. იმიტომ, რომ ხელისუფლების პოლიტიკა სხვა აქცენტებზეა ორიენტირებული. დღევანდელი ხელისუფლებაც, ისე როგორც სააკაშვილის და მანამდე შევარდნაძის, ამომრჩევლის ხმებზე ნადირობს. მათ ურჩევნიათ ადამიანებს ბიუჯეტიდან დაურიგონ ფული და ამით საზოგადოების კეთილგანწყობა მოიპოვონ, ვიდრე ეს ფული ბიზნესის განვითარებისკენ მიმართონ, რაც ქვეყნის განვითარების შესაძლებლობას შექმნიდა. მთლიანად მემარცხენე ორიენტაციის აღება, ლიბერალური, თავისუფალი ბაზრის პრინციპზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე უარის თქმა, არასწორია. დღეს ჩვენი მთავრობა მთლიანად მარცხნივაა გადახრილი, ისინი ამბობენ — ახლა კი გადავიხარეთ მარცხნივ, მაგრამ საბოლოო ჯამში მემარჯვენე იდეოლოგიის და თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებულ საქართველოს ვაშენებთო. ეს სწორი მიდგომა არაა. იმიტომ, რომ თუ გინდა მსხალი მიიღო, იგი უნდა დარგო, გაზარდო და მოგცემს პროდუქტს — მსხალს. თუ დარგავ ვაშლს, ვერასდროს მიიღებ მსხალს. ასეა ეკონომიკაშიც. თუ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების და პროგრესზე ორიენტირებული ძლიერი ეკონომიკური და სოციალური გარანტიების მქონე სახელმწიფო გვინდა, ამისთვის მემარჯვენე და არა მემარცხენე ორიენტაციას უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. პრობლემას სწორედ ამ მიმართულებით ვხედავ — დღეს ქვეყანაში საფუძველი ისეთ ეკონომიკურ მოდელს ეყრება, რომელიც მემარცხენე იდეოლოგიაზეა დაფუძნებული და საფრთხეს, სწორედ 3-5 წლის მერე ვხედავ, როცა თავისუფალ პრინციპებზე დაფუძნებულ ეკონომიკას ვეღარ მივიღებთ.



**— რამდენად სწორია მოსაზრება, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეკონომიკური თავისუფლების ნაცვლად „ვალდებულებების დაგროვების" პროგრამა შემოგვთავაზა.**

— ბუნებრივია ასეა, მარტივად გეტყვი — ადამიანს შეიძლება მისცე თევზი და დააპურო და მეორე — მისცე ანკესი, რათა თვითონ დაიჭიროს თევზი. ხელისუფლება დღეს თევზის პრინციპზეა გადასული. იგი ცდილობს საკუთარი ბიუჯეტი ვალდებულებებით დატვირთოს და ადამიანებს პირში დაღეჭილი ლუკმა ჩაუდოს. ასე ამ ადამიანების კეთილგანწყობას მოიპოვებს, მაგრამ მეორე მხრივ, ხელისუფლებას არ ესმის –დღეს რომ ჩაუდებ ლუკმას, ხვალაც უნდა ჩაუდო. იმიტომ, რომ ხვალ, ზეგ ამ ადამიანებს, ამ ლუკმის მიღმა სხვა სარჩო-საბადებელი არ აქვთ. ნაცვლად იმისა, რომ ბიზნესი განვითარდეს, ადამიანები დასაქმდნენ, აქცენტები კეთდება იმაზე, რომ ხელისუფლებამ ადამიანები ბიუჯეტიდან კვებოს. რამდენი ხანი შეიძლება ვკვებოთ, რამდენი წელი შეიძლება ვარიგოთ სოფლის მეურნეობის ვაუჩერები, რამდენი წელი შეიძლება მთავრობამ მთელი საქართველოს მოსახლეობა აზღვიოს? — ეს ხომ საზოგადოების შეგნებულ გაზარმაცებას და გაფუქსავატებას უწყობს ხელს, რაც დამღუპველი პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკით აშენებდნენ სოციალისტური მთავრობები კომუნიზმს. საბოლოო ჯამში, ეს ჩამოიშალა, იმიტომ, რომ საფუძველი, ჯანსაღი ეკონომიკა არ იყო. თუ ეს საფუძველი არ არის, მაშინ, მერწმუნეთ, პირდაღებული მომხმარებელი ხვალაც, ზეგაც პირდაღებული იქნება და სახელმწიფოს ყოველწლიურად ამ ადამიანების სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვება მოუწევს. სახელმწიფოს, თეორიულადაც კი არ ძალუძს გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარ მხრებზე ასეთი ტვირთი ატაროს.

**— 2015 წელს ვალების გადახდის დრო მოდის. ამ მხრივ რამდენად რთულ ვითარებაში ვართ?**

— ამ მხრივ, საშიშროება არ გვაქვს. საშიშროება მაშინ ჩნდება, როცა ხელისუფლება ახალი ვალდებულებების აღებას იწყებს, ან როცა უკვე აღებული ვალდებულებები ეზრდება. ამ შემთხვევაში, რას აკეთებს ხელისუფლება? — ან გადასახადები უნდა გაზარდოს ან საერთაშორისო ბაზრებზე დამატებითი ვალდებულებები აიღოს. აი, ესაა საშიში — ქვეყანაში გადასახადების გაზრდა არ მოხდეს და მეორე მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე სახელმწიფომ დამატებითი ვალდებულებები არ აიღოს და ამით საკუთარი მოქალაქეების წინაშე ვალდებულებითი ტვირთი კიდევ უფრო არ დაიმძიმოს. ვალს ხომ თითოეული ჩვენგანი ვიხდით. შესაბამისად, ეს ტენდენციაა საშიში. მემარცხენე იდეოლოგიას თან ყოველთვის ბიუჯეტიდან გასაცემი თანხების მოცულობის ზრდა ახლავს. როცა სახელმწიფო ვალდებულებებით იტვირთავს თავს, მას ბიუჯეტიდან გასაცემი თანხების მოცულობა ყოველთვის ეზრდება. ეს საშიშროება დღეს არ დგას, მაგრამ ტენდენცია მაძლევს საფუძველს მეშინოდეს, რომ ხვალ, ზეგ სახელმწიფო ვალების აღებას ისევ დაიწყებს. ეს ის ტვირთი იქნება, რომელიც საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვან ნეგატიურ ასახვას სწორედ ქვეყნის განვითარების მაჩვენებელზე ჰპოვებს.

**— რას იტყვით ფონდებზე, რაშიც 5 მილიარდია ჩადებული. სავალუტო ფონდმა მთავრობას დასაბუთება მოსთხოვა თუ რისთვისაა საჭირო ეს ფონდები.**

— ფონდების იდეა საინტერესოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი წარმატებულიც იქნება. თანაც ვისთვის წარმატებაზეა საუბარი? შეიძლება ეს ფონდი წარმატებული იყოს დამფუძნებლისთვის, მაგრამ არა საზოგადოებისთვის. ფონდებთან დაკავშირებით თავიდანვე ბევრი კითხვის ნიშანი იყო. თუ არ გამოირიცხა რისკ-ფაქტორები, დროთა განმავლობაში, ეს ფონდი შეიძლება მონსტრად ჩამოყალიბდეს, რომელიც ბიზნესგანვითარების ნაცვლად, ხელს შეუწყობს მონოპოლისტური მდგომარეობის შექმნას ამ ფონდთან და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისთვის. როცა ფონდს შეუძლია თანადაფინანსების სახით გარკვეული ბიზნეს-პროექტები დააფინანსოს, ეს რისკის მატარებელია — ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, შესაძლოა სხვა ბიზნესებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობაში აღმოჩნდნენ. სხვა ბიზნესების ჩაჩოჩების ხარჯზე მოხდება ხელისუფლებასთან დაახლოებული ე.წ. ბიზნეს-ელიტის განვითარება. რეალურად ეს ეკონომიკას არ განავითარებს. სააკაშვილის დროსაც ასე იყო — მდიდრდებოდა არა ზოგადად ბიზნესი, არამედ ხელისუფლებასთან უშუალო კავშირში მყოფი პირები. ეს საფრთხე დღესაც არსებობს. ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — საჯარო რეესტრში ფონდთან დაკავშირებით ინფორმაციას თუ მოიძიებთ, ნახავთ, ფონდის დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პირადად ბიძინა ივანიშვილია. შესაბამისად, ხომ არის თეორიული შანსი, რომ ბიძინა ივანიშვილი ან მასთან დაახლოებული ბიზნეს-წრეები ბიზნეს-პროექტების დაფინანსების თვალსაზრისით, უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ?!. რა მნიშვნელობა აქვს კეზერაშვილის მიერ გაკონტროლდება ბიზნესი, თუ იაკობაშვილის? რა მნიშვნელობა აქვს ტენდერებს სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნეს-კომპანიები მოიგებენ, თუ ივანიშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებულები? რა მნიშვნელობა აქვს სააკაშვილის ხელისუფლება დაკრიშავს მასთან დაახლოებულ ბიზნეს-კომპანიებს, თუ ამ ფონდის მიერ მხოლოდ ივანიშვილთან დაახლოებული ბიზნეს-კომპანიები? ამით ხომ შინაარსი არ იცვლება, არამედ მხოლოდ სახელები და ფიგურები. ეს რისკები რომ ავიცილოთ და ფონდმა რეალურად შეასრულოს ის ფუნქცია, რაც გაცხადებული იყო — მოემსახუროს ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო პროექტებს, ამისთვის საჭიროა, კითხვის ნიშნები აღმოიფხვრას და მართვა უფრო საჯარო და ტრანსფარენტული გახდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სხვა მადლი ტრიალებს...

*ეს ჩემი აღმოჩენა იყო.*

*რექტორს, ბატონ* ***სერგო ვარდოსანიძეს****, ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს. იმის გარდა, რომ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი გახლავთ, პატრიარქის ერთ-ერთი ბიოგრაფი და სხვათა შორის, ჩემი სტუდენტობის პერიოდის ისტორიის პედაგოგი.*

**– ბატონო სერგო, მოგვიყევით, როგორ იქმნებოდა უნივერსიტეტი, რა მიზნები გქონდათ, როცა სასწავლებლის დაარსებას იწყებდით? ერთი სიტყვით, მსურს ყველაფერი გავიგო თქვენი უნივერსიტეტის შესახებ.**

– მოგეხსენებათ, 2005 წლიდან აქტიური რეფორმები დაიწყო განათლების სისტემაში და ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული ფილოლოგია, ფიზიკა-მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი... ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ერთი ხელის დაკვრით გამოაძევეს პროფესორ-მასწავლებლები. ღვაწლმოსილი ადამიანები დარჩნენ ქუჩაში, მაგრამ უფრო სავალალო იყო ის, რომ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საერთოდ განათლება და მეცნიერება.



სერგო ვარდოსანიძე

მახსოვს უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ძალიან შეწუხებული იყო ამ პროცესებით. უწმინდესის იდეა იყო, საპატრიარქოსთან შეექმნა საერო უნივერსიტეტი. იმ სპეციალობების და სამეცნიერო დარგების გადასარჩენად, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ. ყოველივე ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ქართველებისთვის. უნდა გადარჩენილიყო საქართველოში ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადად, ქართველოლოგია; ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ფიზიკა-მათემატიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ა.შ.

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ჯგუფი. ვიკრიბებოდით საპატრიარქოს შენობაში, ვმსჯელობდით, და საბოლოოდ გადაწყდა, რომ 2009 წლიდან შევქმნიდით უნივერსიტეტს. შენობა, სადაც დავბინავდით სერიოზულ რესტავრაციას საჭიროებდა. მალე გამოგვიწოდა ხელი მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა გივი სომხიშვილმა და შენობა ისეთ ფორმაში მოიყვანა, რომ უკვე შესაძლებელი იყო მუშაობის დაწყება.

თავდაპირველად ერთი მიმართულება გაიხსნა – ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის კათედრა.



დღეს ჩვენს უნივერსიტეტში განათლებას თანამედროვე სტანდარტებით იღებენ, გვყავს საუკეთესო პროფესურა და ძალიან კარგი სტუდენტები.

ვატარებთ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და გასართობ ღონისძიებებს. ჩვენი ძალებით ჩავატარეთ საერთაშორისო კონფერენცია ქართველოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე; ირანის ალ მუსტაფას სახელობის უნივერსიტეტთან ერთად მოვიწვიეთ ჰუმანიტარული მიმართულების ორი საერთაშორისო კონფერენცია; გარდა ამისა, ჩვენს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციები მიეძღვნა უწმინდესსა და უნეტარესს ამბროსი ხელაიას (დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით), ივანე ჯავახიშვილს, პავლე ინგოროყვას, კორნელი კეკელიძეს; ჩვენთან ჩატარდა ეკოლოგიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაც, რომელშიც მონაწილეობდა 30-მდე ქვეყნის უცხოელი წარმომადგენელი.

ჩვენ გაფორმებული გვაქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ოქსფორდის, კიევის, ვილნიუსის, ხარკოვის წმ. ტიხონის სახელობის მართლმადიდებელ უნივერსიტეტთან და საქართველოში არსებულ ბევრს სხვა უმაღლეს სასწავლებელთან.

ჩვენს უნივერსიტეტში უკვე შედგა სადოქტორო დაცვები ჰუმანიტარულ, ფიზიკა-მათემატიკის და ეკონომიკის სპეციალობებში.

საინტერესო ტრადიცია დავნერგეთ:

ჩვენთან ვიწვევთ საქართველოს ეპარქიის მეთაურებსა და სამღვდელოებას (მაგ., ახლახან შეხვედრა გვქონდა ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის სამღვდელოებასთან, რომელთაც საჩუქრად გადავეცით ბიბლია და სხვა საჭირო ლიტერატურა); ასევე, ჩვენი პროფესურა გასვლით ლექციებს კითხულობს სხვადასხვა ეპარქიაში; განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დასავლეთ ევროპის ეპარქიას, სადაც სისტემატიურად ვატარებთ ლექციებსა იქაური ქართველობისთვის, რომ არ მოსწყდნენ დედა-სამშობლოს.

უწმინდესისა და უნატარესის ლოცვა-კურთხევით პატივს მივაგებთ ყველა იმ ადამიანს, ვისაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სამსახურში. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იყო ხსოვნის საღამოები: ალექსანდრე ყაზბეგის, ირაკლი აბაშიძის, გიზო ნიშნიანიძის, ცნობილი მეცნიერების ილია ვეკუას (რომლის კაბინეტიც გავხსენით), დიმიტრი უზნაძის, შოთა ნადირაშვილის, ლევან ჟიჟიაშვილის, ლაზო ზამბახიძის საღამოები. ვამზადებთ ცნობილი ქართველი მეცენატის დავით სარაჯიშვილის კაბინეტს.

უნივერსიტეტმა სათანადოდ აღნიშნა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაბადებიდან 80, მღვდელმთავრობიდან 50 და კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებიდან 35 წლის საიუბილეო თარიღები. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში 2013 წლის 11 იანვარს ჩატარდა დიდი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მსვლელობის დროს მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებით წარსდგა ყოვლად უწმინდესი ბართოლომეოსი, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი.

თითქმის ყოველ კვირა ვხვდებით გამოჩენილ ადამიანებს, აღვნიშნავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს, მაგალითად, 26 მაის ჩავატარეთ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო. მანამდე, 9 აპრილს მოწვეული გვყავდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომლებმაც ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს; სამწუხაროდ, ეს თითქმის არ ახსოვს საზოგადოებას. ერთი კვირის წინ შევხვდით ლევან ვასაძეს; მოვისმინეთ ბატონი ლევანის ლექსები, რომლებსაც თავად შესანიშნავად კითხულობს; ახლახან ბატონი კახა კავსაძე და მისი ვაჟი, ამერიკაში მოღვაწე მსახიობი ირაკლი კავსაძე, გვყავდა სტუმრად...

**– ბატონო სერგო, თქვენ ზემოთ რეფორმების ნეგატიურ გავლენაზე საუბრობდით. გეთანხმებით, უდიდესი დარტყმა მიაყენა მან განათლების სისტემას, მაგრამ, როგორც ისტორიკოსს, გთხოვთ გაიხსენოთ, საუკუნეების განმავლობაში ქართულ განათლებას ალბათ, არაერთხელ განუცდია „რეფორმა“. ახლა რატომ აღმოჩნდა რეფორმები ასე მტკივნეული?**

– ქართული საგანმანათლებლო სისტემა XVIII საუკუნემდე პასუხობდა ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთი შემოვიდა საქართველოში როგორც დამპყრობელი, ბუნებრივია, შეეცადა თავისი კულტურა დაენერგა ქართულ სივრცეში, გაიხსნა ფაქტობრივად რუსულენოვანი სემინარიები, უმაღლეს განათლებას კი ქართველი ახალგაზრდები რუსეთში იღებდნენ. ცხადია, ყოველ დამპყრობელს სურს, თავისი კულტურა და განათლების სტილი დანერგოს დაპყრობილ ქვეყანაში.

მერე ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის თაოსნობით პირველი ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, ეს იყო უდიდესი მიღწევა, მაგრამ გავიდა ხანი და ივანე ჯავახიშვილი თავისივე დაარსებული უნივერსიტეტიდან გამოაძევეს... ესეც რეფორმა იყო, თუმცა რაც თანამედროვე რეფორმებმა მოიტანა, მსგავსი ადრე არ მომხდარა. სამწუხაროდ, მთლიანად განადგურდა სამეცნიერო დაწესებულებები, განათლების დონე ისე დაეცა საქართველოში, რომ სახიფათო ნიშნულს მიაღწია. ამიტომაც გახდა აუცილებელი ეროვნულ ტრადიციებსა და ძველ გამოცდილებებზე დაყრდნობით შექმნილიყო ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით ქართულ განათლებას მისცემდა ახალგაზრდებს.

დღეს ჩვენთან 800-მდე სტუდენტია. მომავალი სასწავლო წლიდან ვვარაუდობთ, რომ 1500 სტუდენტი გვეყოლება.

* * *

*ბატონმა სერგომ შემომთავაზა, დამეთვალიერებინა ქართული უნივერსიტეტი; პირველი კორპუსის ერთ-ერთ კაბინეტთან შეჩერდა: აქ არის ჩვენი ქართველოლოგიის ცენტრი... ჩემი მომდევნო კითხვის ადრესატი ამ ცენტრის ხელმძღვანელი* ***ტარიელ ფუტკარაძეა:***

**– სასწავლებელი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. ხომ არ ხართ ორიენტირებული მხოლოდ მართლმადიდებელ სტუდენტებზე თუ გყავთ არამართლმადიდებლებიც?**

**ტარიელ ფუტკარაძე:**

"ქართულ უნივერსიტეტში აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტებიც სწავლობენ; ენათმეცნიერებაში ჩვენი სამაგისტრო პროგრამა დაამთავრა თურქეთის მოქალაქემაც... როგორც წესი, საპატრიარქოს ველს, ძირითადად, ირჩევს მორწმუნე ახალგაზრდობა;



ტარიელ ფუტკარაძე

ჩვენთან მაღალი კონკურსია, ამიტომ აქ მაღალი ქულების მქონე აბიტურიენტები ეწყობიან; შესაბამისად, ჩვენი სტუდენტობის დიდი ნაწილი არის განათლებულიც და მორწმუნეც, რაც დიდი ბედნიერებაა არა მხოლოდ ჩვენთვის - მათი მასწავლებლებისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ქართულ უნივერსიტეტში შექმნილია ქართველოლოგიის სა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ქართული ენისა და კულტურის სწავლება; მათი დიდი ნაწილი არ არის ქრისტიანი; მაგალითად, უკვე ერთი წელია, ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელების, ბოდბელი ეპისკოპოსის, მეუფე იაკობისა და ბ-ნ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით ქართულ სალიტერატურო ენასა და საქართველოს ისტორიას ვასწავლით 30-მდე ფერეიდნელ და მაზანდარანელ ქართველს.

სასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ირანისა თუ თურქეთის ხელისუფლებები საქართველოსთან აფართოებენ კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირებს; ეს ყველაფერი კი აპირობებს იმას, რომ თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართველები მალე იქცევიან საქართველო-ირანს, საქართველო-თურქეთს შორის ურყევ ხიდებად.

ქართველოლოგიის ცენტრი სხვა მიმართულებებითაც შრომობს:

ქართველოლოგიის ცენტრის მიერ გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, სადაც იბეჭდება საერთაშორისო ქართველოლოგიური კონფერენციების მასალები; ასევე, ქართველოლოგიის ცენტრის მონაწილეობით გამოიცა სამენოვანი - ქართულ-სპარსულ-ინგლისური სამეცნიერო ჟურნალის: "სამეცნიერო აზრის" პირველი ნომერი; აქ იბეჭდება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი კოლეგების სამეცნიერო ნაშრომები.

ქართველოლოგიის ცენტრის უმთავრესი მიზანია მსოფლიოს მივაწოდოთ ობიექტური ქართველოლოგიური კვლევების შედეგები, რამდენადაც, ვიცით, რომ ბოლო 150 წლის მანძილზე ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესახებ მსოფლიოში ბევრი არაობიექტური და ტენდენციური ინფორმაცია თუ იდეოლოგემა გავრცელდა. დღესაც, მავანთა მიზანია, ერთი მხრივ, მოშალონ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობა, მეორე მხრივ კი საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქართული კულტურის დიდი ნაწილი გამოაცხადონ უცხოტომელთა საკუთრებად... ასე, რომ "სამკალი" ბევრია...

* * *

***შესანიშნავად მოწყობილი აუდიტორიების, კაბინეტების, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკისა და უნივერსიტეტის დერეფნების კედლებიდანაც კი ქართველი მოღვაწეების სურათები, წმინდანების ხატები და თვით უფლის გამოსახულებები გვიმზერენ...***

***ირგვლივ ყველგან იგრძნობა პასუხისმგებლობა და მზრუნველობა უნივერსიტეტისადმი. ეზოში ყვავილების ბაღი. დერეფნებში და აუდიტორიებში ყველგან ყვავილები, უნიკალური ქოთნის მცენარეები.***

„პატრიარქს უყვარს ჩვენთან სტუმრობა. წლეულს უკვე ოთხჯერ იყო, მას უყვარს ყვავილები, გვინდა აქაურობა წალკოტს დავამსგავსოთ, ჩვენს უწმინდესსაც გავახარებთ, ახალგაზრდებსაც შევუქმნით მშვიდ და ლამაზ გარემოს სწავლისთვის, ამით საქვეყნო საქმესაც გავაკეთებთ“, — ამბობს უნივერსიტეტის რექტორი ბატონი სერგო ვარდოსანიძე და აგრძელებს:

— „კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის რეიტინგით პირველ ადგილზე ვართ. აბიტურიენტთა კონცენტრაციას რაც შეეხება, სტუდენტი, ვინც ჩვენ გვირჩევს, თავად არის მოტივირებული და სათანადო საბაზისო ცოდნაც გააჩნია. თუ დააკვირდებით მისაღები გამოცდების შედეგებს, ნახავთ, რომ ბევრია ჩვენთან, ვინც სახელმწიფოსგან იღებს სწავლის დაფინანსებას. საზოგადოებაში ავტორიტეტი და ცნობადობა საკმარისი გვაქვს, უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული სასწავლებელია, სადაც არსებობს სწავლების სამივე საფეხური. იცით, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს სასულიერო სემინარია და სასულიერო აკადემია. ჩვენი უნივერსიტეტი არის საერო ხასიათის, საერთაშორისო სტანდარტებზე გათვლილი უნივერსიტეტი, სადაც ფუნქციონირებს განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებული ათეულობით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები... ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, გამოცდილება და სურვილი, რომ აღვზარდოთ ახალგაზრდები, რომ მათ ჰქონდეთ საუნივერსიტეტო ცოდნა, ზნეობა, და ქვეყნის სიყვარული; ვცდილობთ, რომ შევასრულოთ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა".



* * *

***ბატონმა სერგომ უნივერსიტეტის ახლადაშენებული მეორე კორპუსიც თავად მომატარა:***

***აქ უკვე სწავლობენ ფიზიკა-მათემატიკისა და ინფორმატიკის, ფსიქოლოგია-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები. ამავე კორპუსში არის საუკეთესო სპორტული და სააქტო დარბაზები.***

***ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სხვა მადლი ტრიალებს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ქართულ უნივერსიტეტში, ბოდბელი ეპისკოპოსის მეუფე იაკობის დამსახურებაა.***

***უნივერსიტეტის სამი გამორჩეული პროფესორი: ეთერ ქემერტელიძე, როინ მეტრეველი და სერგო ვარდოსანიძე დაჯილდოებულნი არიან საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.***

***სასწავლო წელი უკვე სრულდება, კიდევ რამდენიმე დღე და გამოცდებიც დამთავრდება. უნივერსიტეტი ახალი სასწავლო წლისათვის უკვე ემზადება...***

***მსურს აქ დავრჩე, მაგრამ არ შემიძლია ჩემს მკითხველებს არ გავუზიარო ნანახის შთაბეჭდილებები და რედაქციისკენ მივდივარ უნიკალური წიგნებით ხელდამშვენებული, რომლებიც ავტორმა, ბატონმა სერგო ვარდოსანიძემ მისახსოვრა...***

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# როგორ დააყაჩაღეს კომპანია „მაგნატი“ ყაჩაღმა კეზერაშვილმა და სხვა ბანდიტებმა




ჯემალ ლეონიძე პატრიარქთან

სააკაშვილის რეჟიმისგან რეპრესირებული ბიზნესმენები წართმეული ქონების დასაბრუნებლად ბრძოლას იწყებენ, თუმცა რამდენად შეძლებენ ამ ყველაფერს, ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული. ხსენებულ ბიზნესმენთა შორისაა ნავთობკომპანია „მაგნატი-2006“-ის დამფუძნებელი ჯემალ ლეონიძეც, რომელსაც ქონების წართმევა არ აკმარეს და გისოსებს მიღმაც გამოამწყვდიეს. მას ბრალი თაღლითობასა და დოკუმენტაციის გაყალბებაში დასდეს და სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ ათი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა. რომ არა 1 ოქტომბრის არჩევნები, ჯემალ ლეონიძეს ალბათ ამ სასჯელის სრულად მოხდა მოუწევდა. იგი პოლიტპატიმრის სტატუსით 2013 წლის 13 იანვარს გათავისუფლდა.

საქმის დეტალებში უკეთ გასარკვევად „საერთო გაზეთი“ ჯემალ ლეონიძეს და მისი ინტერესების დამცველს, ადვოკატ ზურაბ თოდუას გაესაუბრა.

კომპანია „მაგნატი“, რომლის დამფუძნებელი და 75%-იანი წილის მფლობელი ჯემალ ლეონიძე გახლდათ, ბაზარზე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოჩნდა. იგი ნავთობპროდუქტების ბაზარზე მთავარ ხუთეულში (სოკარი“, „ვისოლი“, „რომპეტროლი“, „ლუკოილი“) შედიოდა, როგორც ნავთობიმპორტიორ-რეალიზატორი და ამ ბაზრის 12%-ს ფლობდა (მისი ყოველთვიური ბრუნვა 6 მილიონ ლიტრს შეადგენდა). ეს იყო ჰოლდინგი, რომლის საკუთრებაშიც შედიოდა ბენზინგასამართი სადგურების ქსელი, ნავთობტერმინალები, რესტორნები, მეფრინველეობის ფაბრიკა (კრწანისში) და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ჯემალ ლეონიძის განცხადებით, მას 2009 წლის აგვისტომდე (13 აგვისტოს დააპატიმრეს) პრობლემა არ შექმნია. ნაცხელისუფლება, როდესაც საბოლოოდ მომძლავრდა, მთლიანად აიღო ხელში სახელმწიფოს მართვის სადავეები, კომპანია, რომელიც მის კონტროლქვეშ არ იყო, მიუღებელი გახდა. აქედან გამომდინარე, „მაგნატის“ წინააღმდეგ ყველა მეთოდებით დაიწყეს ბრძოლა, რომ როგორმე იგი ნავთობპროდუქტების ბაზრიდან გაეგდოთ და ბაზარი მთლიანად თვითონ ჩაეგდოთ ხელში. ამას ემსახურებოდა ხსენებული სს-ის საქმეც, როდესაც დაუსაბუთებელი ბრალით ლეონიძე ციხეში გაამწესეს, რასაც „მაგნატის“ ბაზრიდან გაძევება და მისი სასურველი ბიზნესკომპანიით ჩანაცვლება მოჰყვა. სასურველი „ბიზნესმენი“ დავით კეზერაშვილი გახლდათ, რომლის კუთვნილი კომპანია „გალფი“, სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა ქართული ნავთობპროდუქტების ბაზარძე.

ზურაბ თოდუას განცხადებით, კეზერაშვილის კომპანიამ რამდენიმე უკანონო მანიპულაციის წყალობით „მაგნატის“ 30-მილიონ დოლარად ღირებული ქონება, 13 მილიონ დოლარად ჩაიგდო ხელში, ანუ თითქმის მესამედ ფასად გამართული ქსელი, რომელსაც მხოლოდ საწვავის მოწოდება და ბაზრის მართვა სჭირდებოდა. „გალფის“ ხელში აღმოჩნდა წვრილი ნავთობკომპანიები „ეკო ჯორჯია“ და „სენტაც“. ამ უკანასკნელის მეპატრონეც დაუჭერიათ, „ეკო ჯორჯიის“ მფლობელები ციხეს მხოლოდ იმიტომ გადაურჩნენ, რომ უცხოელები (ბერძნები) იყვნენ. როგორც შევიტყვეთ ახლა „ეკო ჯორჯიაც“ იბრძვის ქართულ ბაზარზე დასაბრუნებლად. ერთი სიტყვით, ეს კომპანიები მარტო ხელისუფლების მართვადი ბიზნესით კი არ ჩაანაცვლეს, კეზერაშვილი ყოფილა კარტერული გარიგებების მთავარი მოკარნახე. ზურაბ თოდუას თქმით, მან ჯერ კიდევ ზურაბ ადეიშვილის „ზეობისას“ დაასაბუთა, რომ საქმე გვქონდა სსის კოდექსის 195-ე მუხლით (მონოპოლისტური საქმიანობა, მეწარმე სუბიექტის ბაზრიდან გაძევება) განსაზღვრულ დანაშაულთან. ადვოკატმა 150 გვერდამდე მასალა, მტკიცებულებები, გამოკითხვები, კარტელური გარიგების სქემები წარუდგინა მთავარ პროკურატურას, მაგრამ ადეიშვილმა ეს ყველაფერი იმ პროკურორს გადასცა, რომელიც უშუალოდ უყენებდა ბრალს ჯემალ ლეონიძეს. ბუნებრივია, რომ ამ საქმეს არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა.

**ზურაბ თოდუა**: „მე ახალ ხელისუფლებასაც გადავეცი უფრო გამდიდრებული მასალები, სადაც იკვეთება, რომ ჯემალ ლეონიძე პოლიტიკური ნიშნით იყო დევნილი. პარლამენტმა ამ ნაწილში გაიზიარა ჩემი პოზიცია და მთლიანად დააკმაყოფილა ჩემი შუამდგომლობა. გამოძიება თავდაპირველად ძალზე აქტიურად დაიწყო, ფინანსური პოლიციის რამდენიმე გამომძიებელი სწავლობდა ამ საქმეს, მაგრამ დღეის მდგომარეობით სტაგნაციის პროცესშია, გადაწყვეტილებას არ თუ ვერ ღებულობენ. მიმაჩნია, რომ უფრო ვერ ღებულობენ, რადგან დღევანდელი ხელისუფლება, არ მომერიდება ამის თქმა, პოლიტიკური პოტენციის დაქვეითების სტადიაშია, რასაც ყველაზე მეტად მთავარ პროკურატურას განიცდის. მე მარტო ამ კონკრეტულ საქმეზე კი არ

16 gv.

15 gv.

# როგორ დააყაჩაღეს კომპანია „მაგნატი“ ყაჩაღმა კეზერაშვილმა და სხვა ბანდიტებმა

ვლაპარაკობ, კიდევ ოთხი პოლიტპატიმრის ადვოკატი ვარ. როდესაც ასეთი უტყუარი მტკიცებულებები დევს, ბრალის დაწერის მეტი არაფერია საჭირო. ესენი კი დგანან და რაღაცას ელოდებიან, რაღაცის ეშინიათ და ეს განსაკუთრებით ლეონიძის საქმეზე ეტყობათ. ვფიქრობ, ხელისუფლებას არ უნდა სიტუაციის გამწვავება ბანკებთან, კარტელური გარიგებების უშუალო მონაწილეებთან, ან თვითონ ხომ არ აპირებენ მათ ჩანაცვლებას იმ კარტელურ გარიგებებში, რაც მიშას ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით ერგოთ? ეს კითხვაც მებადება, რადგან არსებობს ყველა მტკიცებულება, რომ მოხდეს მხილება, ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი ქვეყანაში კარტელურ გარიგებებს, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ამიტომაც ვამბობ, რომ აქ ორ რაღაცასთან გვაქვს საქმე. ან პოლიტიკურ იმპოტენციასთან, ან თვითონ აპირებენ ჩანაცვლებას. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, კეზერაშვილი იქნება თუ სხვა ვინმე ჩაენაცვლება. ჩემთვის მთავარია მეწარმე სუბიექტს თავისუფლად შეეძლოს ბაზრისთვის საჭირო ხარისხიანი პროდუქცია შემოიტანოს, მოახდინოს მისი რეალიზაცია და ეს არ ჰქონდეს შესათანხმებელი ვიღაც ჩინოვნიკებთან, როგორც ეს სააკაშვილის დროს ხდებოდა. თუ ახალი ხელისუფლება იგივეს გაგრძელებას აპირებს, ძალიან მალე ცუდად დაამთავრებს“.

- **ვის მიმართ ითხოვდით და ითხოვთ 195-ე მუხლით საქმის აღძვრას?**

- იმ კომპანიის მიმართ, რომლის საჯაროდ დასახელებისგანაც დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, თუმცა საქმეში გამოკვეთილი მყავს ის პირები ვისი უშუალო მოქმედებებითაც განხორციელდა ეს პროცედურა „მაგნატი-2006“-ის მიმართ. მე ფაქტობრივად დასაბუთებული მაქვს მათი ვინაობა, მათ შორის იმ თანამდებობის პირებისაც, რომლებიც ყველანაირად უწყობდნენ ხელს „მაგნატის“ ჩაძირვას, გაკოტრებას და ასე იაფად ხელში ჩაგდებას. გამოძიებამ ჩამოთვლილ პირთა უმეტესობა დაკითხა. მათ დაადასტურეს, რომ ნამდვილად იყო ისეთი პირობები შექმნილი, პროდუქცია რომ შემოეტანათ, ვერ გაყიდდნენ, „ჩაიძირებოდნენ“ და ა.შ. ამიტომ იძულებული იყვნენ ვიღაცასთან შეეთანხმებინათ, ანუ ამ კარტელური გარიგების უშუალო მამხილებელი მასალები დევს, მაგრამ უუნარო პროკურატურა გადაწყვეტილებას არ ღებულობს.

ისიც საინტერესოა, რა მაქინაციებით აღმოჩნა „მაგნატის“ ქონება კეზერაშვილის კუთვნილი კომპანიის ხელში. ჯემალ ლეონიძის განცხადებით, ეს ქონება კეზერაშვილს „თიბისი ბანკმა“ მიყიდა, რომელიც იმ პერიოდში მართავდა მის კუთვნილ კომპანიას. ბანკის მესვეურთა თქმით, ეს გასხვისება ერთადერთი შველა ყოფილა „მაგნატისთვის. თავად ლეონიძე ამ გასხვისების წინააღმდეგი ყოფილა.

**ზურაბ თოდუა**: „ხსენებული ბანკი კარტელური გარიგების შედეგად, შესაძლოა, თავადაც მსხვერპლი გამხდარიყო იმ უბედურების, რაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე ხდებოდა. ამიტომ ბანკი იძულებული გახდა თავიდან მოეცილებინა ის აქტივი, რომელიც სამართავად გადავიდა მის ხელში. რადგან ის მისთვის წამგებიანი გახდა, გაეყიდა რეალურ ფასზე უფრო ნაკლებად. ბენზინგასამართი სადგურები ფაქტობრივად გაჩერებული იყო და მათი შენახვა ძალზე ძვირი ჯდებოდა. ბანკი იძულებული იყო ეს ქონება მიეყიდა იმ ძალისთვის, რომელსაც თავისუფლად შეეძლო შემოეტანა და გაეყიდა ნავთობპროდუქტები, თავად განესაზღვრა პროდუქციის სარეალიზაციო ფასი და ა.შ. ამ ბაზრის სხვა წევრებმა მეხუთე მოთამაშედ არ მიიღეს „მაგნატი“, ის ჩაანაცვლეს „გალფით“, რომელიც შემდგომ მთავარი კანონმდებელი, ფასების განმსაზღვრელი გახდა. დღეს ნებისმიერ ძველ ნავთობიმპორტიორს რომ კითხოთ, შეიძლება საჯაროდ არა, მაგრამ პირად საუბრებში გითხრან, ყოველ დღე თუ არა, კვირაში ორჯერ მაინც რომ ურეკავდნენ და კარნახობდნენ ერთი ლიტრი საწვავი რა ფასად უნდა გაეყიდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ბიზნესი კატასტროფით დასრულდებოდა. კონკრეტულად ვინ ურეკავდა ხელაღებით ვერ დავასახელებ, მაგრამ სავარაუდოდ ეს კეზერაშვილთან შეთანხმებული ფასები იყო. მეტობით ან ნაკლებობით ერთი თეთრი შეიძლებოდა ყოფილიყო ფასთა სხვაობა. „მაგნატი“ ამ ნავთოკომპანიებისთვის უფრო იმტომაც გახდა მიუღებელი, რომ ის 5-6 თეთრის უფრო იაფად ყიდდა საწვავს. ამას ყველა მძღოლი დაგიდასტურებთ. კონკურენტი რომ ყოველთვიურად 6 მილიონ ლიტრს გაცილებით იაფად სთავაზობდა მყიდველს, ამას აპატიებდნენ?

- **ლეონიძეს ბიზნესს ისედაც წაართმევდნენ და ციხეში რატომღა გამოამწყვდიეს?**

- ეს ადეიშვილის „ნოვაცია“ იყო, რომელიც შემდეგ აიტაცეს. ნაცები ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, რამდენიმე ადამიანის პიროვნული მახასიათებლით გამოიხატა მათი სიძლიერე. ამ მხრივ ყველაზე ძლიერი სახელისუფლებო ნიჭის მატარებელი იყო ადეიშვილი. მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო რეესტრთან დაკავშირებით, კანონმდებლობა ძალზე ლიბერალური გახადეს, ბიუჯეტის შესავსებად ყველაფეს აკეთებდნენ. სააკაშვილმა ბრძანება გასცა ყველა დაიჭირეთო, ზოგი შეიძლება მართლაც იყო დასაჭერი, მაგრამ ბევრი ნამდვილად არ იყო. პირველად იმ ადამიანებზე დაიწყეს ნდირობა ვისაც დიდი ფული ჰქონდა და ბიუჯეტის შევსება შეეძლო. მაკომპრომეტირებელი მასალების მოძიება ზოგთან ადვილად შეეძლოთ, ზოგთან ძნელად, ზოგს საერთოდ არ ჰქონდა კომპრომატი, მაგრამ მაინც უნდა დაეჭირათ. სწორედ ამიტომ გახადეს მიწის შეძენა და დაკანონება იოლი. საჯარო რეესტრი აბსოლუტურად არაფერზე აგებდა პასუხს, ყალბი დოკუმენტიც რომ მიგეტანათ, უპრობლემოდ არეგისტრირებდნენ, რასაც იმით ამართლებდნენ, მოსახლეობასთან ურთიერთობა გავამარტივეთო. ვიმეორებ, ეს სპეციალურად გაკეთდა. საჯარო რეესტრი შესანიშნავად აკონტროლებდა თავის მიერ დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს, ყველამ კარგად იცოდა ვინ რა დოკუმენტაციით შეიძინა კონკრეტული მიწის ფართობი. ცხადია, ეს მიწები იმას უნდა შეეძინა ვისაც დიდი ფული ჰქონდა ან მსხვილ ბიზნესში იყო გარეული. ერთ-ერთი ასეთი იყო „მაგნატი“. მის მფლობელსაც შესთავაზეს, უფრო მეტიც, შეუჩნდნენ, ყველაფერს კანონიერად გავაკეთებთ, მიწას სწრაფად და იაფად შეგაძენინებთ და უპრობლემოდ დაგირეგისტრირებთო. ერთ-ერთ ასეთ ფართობზე („300 არაგველთან“ 5500 კვ.მეტრი) ლეონიძეს უთხრეს 170 ათასი დოლარი ახლავე გვინდაო, მეორედ 300 ათასი ლარი გამოართვეს და რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ კიდევ ნახევარი მილიონი ლარი უნდა გადაეხადა. იმ მიწის რეალური ღირებულება მაშინ 1.100.000 ლარი იყო. ლეონიძეს ერთი მილიონი ისედაც გადახდილი ჰქონდა. თუ ამ ადამიანმა იცოდა, რომ ეს მიწის ფართობი საეჭვო იყო, 100 ათასი ლარის გულისთვის ყალბი დოკუმენტის შექმნაზე წავიდოდა? ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს.


ზურაბ თოდუა

მოკლედ, ამ ადამიანს მიწა თვითონვე აყიდინეს, დაურეგისტრირეს და დაიჭირეს. ასე რომ, უკვე ორმაგად ჰყავდათ „მოსაწველი“. ამ ფართობის მიმდებარედ. მას კიდევ სამი მიწის ნაკვეთი ჰქონდა, რომლების დაკანონებაც პრეზიდენტის განკარგულებით, არ იყო პრობლემა, რადგან დიდი ხანი სარგებლობდა, თუმცა ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ლეონიძეს საპროცესო შეთანხმებაში ორი მილიონი მოსთხოვეს, რაც მას არ ჰქონდა, მოგვიანებით ეს თანხა გაუნახევრეს, ბოლოს უთხრეს 200 ათასი მაინც გადაიხადეო, მაგრამ მას არც ეს თანხა ჰქონდა, რადგან ბანკებმა მანამდე ყველაფერი წაართვეს. ზემო ხსენებული მიწის ფართობი ვითიბი ბანკის სესხით იყო ნაყიდი და მან წაიღო. საცხოვრებელი სახლი მცხეთაში, რომელიც მილიონნახევარ დოლარად იყო შეფასებული და ბანკ „რესპუბლიკაში“ იყო იპოთეკით დატვირთული, ვითომ აუქციონით გაუყიდეს და 475 ათას დოლარად იყიდა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა. როგორც შევიტყვე, მყიდველი ბაჩო ახალაიას მოადგილის, ჩხიტუნიძის სიდედრი ყოფილა. ეს ქალბატონი, ნატალია კვანტალიანი დღესაც ამ სახლში ცხოვრობს. ამ ქალბატონისაა რადიო „კომერსანტი“ და გლდანის ციხესთან მდებარე ე.წ. თეთრი ტბა. ლეონიძის ოჯახსაც ჰქონდა მიწა, რომელიც ბანკში იყო იპოთეკით დატვირთული, ერთი თვეც არ აცალეს, იქნებ იხდიდნენ და ისიც წაართვეს. ავტომანქანაც არ შეარჩინეს. მისი „ტოიოტას“ ცენტრიდან ახლად გამოყვანილი, 65 ათას დოლარად შეფასებული „ლენდ კრუიზერი“ იმ გაწამაწიის დროს უკვალოდ გაქრა. ლეონიძე დაჭერილი იყო და შეშინებული ოჯახი ხმას როგორ ამოიღებდა. ბოლოს ეს ავტომანქანა ბაჩო ახალაიას კორტეჟში ვიპოვეთ, თურმე ვიღაც მაკაგოსიანს მიუყიდია 20 ათას დოლარად თავდაცვის სამინისტროსთვის.

როგორც გითხარით, ლეონიძეს ორი ბრალდება ჰქონდა წაყენებული, თაღლითობა და საბუთების გაყალბება. თაღლითობა ამ უკანასკნელის თანმდევ მუხლად აქციეს, რაც ასევე ადეიშვილის გამოგონებაა – ეს მუხლი ცალკე არ არსებობს, ყალბი დოკუმენტის შექმნისა და გამოყენების გარეშეო. ლეონიძეს საბუთების გაყალბებისთვის წელიწადნახევარი მიუსაჯეს, თაღლითობისთვის 9 წელი და ცხადია, სასჯელები შეუკრიბეს. ოთხ ეპიზოდში ჰქონდა ბრალი წაყენებული და ბოლოს მისი ბრალი იქამდე დავიდა, რომ ერთადერთი მოწმის, ვინმე დვალიშვილის ჩვენების საფუძველზე გაასამართლეს. დვალიშვილს სერიოზული ბრალდება ჰქონდა წაყენებული, რომელიც 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მას ათქმევინეს, რომ თითქოს ლეონიძე იყო თაღლითური ჯგუფის ხელმძღვანელი და მისგან ღებულობდა დავალებებს. ამ ჩვენების საფუძველზე დვალიშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და გაათავისუფლეს. დღეს ეს ადამიანი ღიად აცხადებს, რომ მას წამების ტოლფას პირობებში ამყოფებდნენ,




რითაც აიძულეს ხსენებული ჩვენების მიცემა. ამასაც გამოძიება და შეფასება სჭირდება. ლეონიძესთან ერთად ამ საქმეში „მაგნატის“ გენდირექტორი და 5%-იანი წილის მფლობელი მალხაზ ბაბლიძეც იყო ბრალდებული. მან გაქცევა მოახერხა, მას პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭეს ამ სტატუსით იქნა მის მიმართ დევნა შეწყვეტილი.

- **ლეონიძეს რესტორნებიც ჰქონია, დღეს ვინ არის ამ ქონების მფლობელი და საერთოდ თუ არსებობს იმის პერსპექტივა, რომ თუნდაც ამ კონკრეტულმა ბიზნესმენმა თავისი ქონება დაიბრუნოს?**

- მას მართლაც ჰქონდა სამი რესტორანი, რომლებიც გაუყიდეს. ეს ბანკ „რესპუბლიკის“ ნახელავია, რისი წართმევაც შეიძლებოდა ყველაფრის წართმევა მოუნდათ. რესტორანი „მაგნატი გვირილა“ მუშტაიდის ბაღთან და „მწვანე კონცხი“ მცხეთაში თავად ბანკის მიერვე იყო შეფასებული 1.254.000 და 1.200.000 დოლარებად. „მწვანე კონცხი“ რამდენად გაიყიდა, ჯერჯერობით ამის დოკუმენტაცია ვერ მოვიძიეთ, რაც შეეხება „გვირილას“, ის რომელიღაც კომპანიას 600.000 ლარად აქვს შესყიდული. აქ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „გვირილას“ შემსყიდველ შპს-ში 70%-იან წილს ფლობდა ახალციხეში, მცხეთის ქუჩა №58-ში მცხოვრები თამარ მერაბიშვილი. ამ ქალბატონის პასპორტს ვადა 2009 წელს აქვს გასული, თუმცა ამ პასპორტით აქვს 2011 წელს ეს რესტორანი შესყიდული. გარდა ამისა, ახალციხეში საერთოდ არ არსებობს მცხეთის ქუჩა, მესხეთის ქუჩაა, რომლის 58 ნომერში ვანო მერაბიშვილის ოჯახი სახლობს. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ქალბატონი ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია გახლავთ და ეს შესყიდვა მეორე, თანაც ვადაგასული პასპორტით მოახდინა. ქმარს თუ ჰქონდა რამდენიმე პასპორტი, ცოლს ორი რომ ჰქონოდა რა პრობლემაა? სხვათა შორის, გამოძიებისთვის ამ ნაწილშიც მაქვს მასალები მიწოდებული ჯერ კიდევ ადეიშვილის დროს, მაგრამ ხელი არ გაუნძრევიათ. ახლა ფინანსურ პოლიციაში დევს ეს მასალები, მაგრამ რა რეაგირება მოახდინეს, ჩემთვის უცნობია. ამ საქმის ზედამხედველი პროკურორი კოტე სირაძეა, მაგრამ მის დონეზე ნამდვილად არ წყდება საქმე. ნაცხელისუფლების დროს პროკურატურაში ერთი კაცის გარეშე რომ ვერავინ ღებულობდა გადაწყვეტილებას, დღესაც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა. კბილაშვილთან შეთანხმების გარეშე, მითუმეტეს ასეთ საქმეებზე დეპარტამენტის პროკურორიც კი ვერ იღებს გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება ამ საქმის პერსპექტივას, ცოტა ხანს კიდევ დაველოდები, თუ ამათ კიდევ ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, სხვა მეთოდით ვიმოქმედებთ. ხალხი იმ იმედით მივიდა არჩევნებზე და ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, რომ სამართლიანობა აღდგებოდა. გეხსომებათ, პროკურატურასთან რიგები იდგა, ათეულ ათასობით განცხადებაა შესული. ახლა ხალხი მეორე წრეზე წამოვიდა, კიდევ მიმართავს განცხადებით, მაგრამ მესამე წრეზე რიგში აღარ დაგიდგება, შევარდება შიგნით და ვერავინ გააჩერებს. ხალხს სამართლიანობის აღდგენას რომ დაპირდნენ, კეთილი ინებონ და აღადგინონ. თუ ამის უნარი არ აქვთ, მაშინ დასვან პროკურატურაში ის ხალხი ვინც ამას შეძლებს. ახლა შეიძლება ის თქვან, ეს ქონებები რამდენჯერმეა გადაყიდული და პატიოსან მყიდველს როგორ მოვედავოთო (რესტორან „გვირილას“ ორი ახალი მფლობელი ჰყოლია, ამერიკასა და ისრაელში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები – მ.ს.), მაგრამ ყველა ქონება არ არის გადაყიდული. მაგალითად, 47 ავტოგასამართი სადგური ისევ „გალფის“ საკუთრებაა.

ჯემალ ლეონიძის განცხადებით, მეფრინველეობის კომპანია („კოკო“) ეკონომიკის სამინისტროს გადასცეს (თუმცა ვერ გავარკვიეთ დღეს ვინ ფლობს ამ ობიექტს – მ.ს.). „ამ კომპანიას საგადასახადო სამსახურმა თურმე ჯარიმები დაარიცხა და რახან დავალიანება არ გადავიხადე იმიტომ გადასცეს ეკონომიკის სამინისტროს. საგადასახადოს წერილობით მივმართე, მომეცით ის დოკუმენტი, რის გამოც დაეწერა კომპანიას ეს ჯარიმათქო. საფინანსო პოლიციის რაღაც ბრძანების გამოო, თუმცა ამ დოკუმენტს არქივში ვერ პოულობენ“, აცხადებს ჯემალ ლეონიძე.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# გთხოვთ, მომცეთ სიტყვა!

## არ მიგვატოვოთ და არ მოგვატყუოთ, ბატონო ბიძინა, ეს რომ მოხდეს, საქართველო დაიღუპება!

**ბატონო ბიძინა!**

თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ საქართველო ქართულ-ეროვნულ ტრადიციებზე დამკვიდრებული ევროპული სახელმწიფო უნდა იყოს. თქვენივე მოწონებული, გულახდილად გეტყვით, არ ვიცი და არ მაინტერესებს ევროპული ფასეულობა და თუკი ლგბტ უმცირესობას აქვს სახალხოდ თავისი აზრის გამოხატვის უფლება, მე, მათგან განსხვავებული ორიენტაციის წარმომადგენელსაც მაქვს უფლება გითხრათ, არც ამერიკა მომწონს და არც ევროპა, რადგან დემოკრატია ამ ქვეყნებისთვის არის ერთგვარი ფიქცია თუ რიტუალი, რომელსაც მაშინ იყენებენ, როცა სჭირდებათ. სწორედ ე.წ. ცივილიზებულმა სამყარომ დაუჭირა მხარი ძალადობას და დიქტატურას ჩემს სამშობლოში — ეს ფაქტია, ფაქტია ისიც, რომ ჩემს ქვეყანაში დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად იბრძვიან სწორედ ჩვენივე ქვეყნის ხელისუფლების ხელით. ეს პატარა რგოლია პლანეტარული პრინციპის იმ ჯაჭვისა, რომელსაც დედამიწის მოსახლეობის 1 მილიარდამდე დაყვანა ჰქვია. ჯერ კიდევ გამსახურდიამ უწოდა მათ ცივილიზებული კანიბალები და ჰიტლერის ფაშიზმიც ამერიკული კანიბალიზმის შვილობილია.

მე ვიყავი აქტიური მხარდამჭერი „ქართული ოცნების“, რათა ბინძური რეჟიმი პოლიტიკურ სანაგვეზე გაგვესტუმრებინა, თუმცა ღიად გამოვთქვი ეჭვი, რომ რესპუბლიკელთა ანტიქართული და ანტიეროვნული წარმომადგენლობა „ქართულ ოცნებას“ ვერ აუსრულებდა ქართველ ხალხს.

თქვენი კოალიციის წარმომადგენელი, ჟურნალისტად წოდებული ე. ჩაფიძე 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით ღიად აკეთებს განცხადებას სარკესთან დაყენებული მინაზებული მანერით, რომ გმობს ძალადობას და ამ შემთხვევაში ის არის „უმცირესობა“, ეს განცხადება ქართველი საზოგადოების დიდი შეურაცხყოფაა, რომელიც 9 წელია ძალადობას გმობს, ამიტომ სექსუმცირესობად უნდა ვიქცეთ? ქართველებს როდესმე უოცნებიათ ისეთ დეპუტატზე, რომლის ოცნება სექსუალური უმცირესობის ოცნებასთან თანხვედრაშია? რა თქმა უნდა, თავი უნდა მოაწონონ ევროპას და ამერიკას, რომელთა პოლიტიკა საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში უზნეობის დაკანონებას ემსახურება, რადგან ეროვნული ფასეულობისა და სულიერებისგან დაცლილი არსება ადვილი სამართავია. „უმცირესობის“ წარმომადგენლებს, მათ უფლებადამცველებს და სხვა დაფინანსებულ სუბიექტებს ეროვნული, მართლმადიდებლური ფასეულობები და საქართველოც იმ ცისფერ „ფალოსზე“ ჰკიდიათ, რომელსაც წინა ხელისუფლებამ ძეგლი გმირთა მოედანზე დაუდგა. ზედ რომ ქართველ გმირთა გვარსახელები წააწერა — ესეც ნიშანდობლივია.

დ. ზურაბიშვილის მიერ სოც. ქსელში გამოქვეყნებული წერილი იდეურად ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ მიერ დამკვიდრებულ თეზას ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. შეგითანხმდათ თუ არა ამ წერილის შესახებ „განმანათლებელი“ რესპუბლიკელი თუ სიურპრიზი მოგიწყოთ? რომელიმე ოპონენტი მეტყვის, ეს უმრავლესობის აზრი არ არის, მის წევრებს აქვთ უფლება საკუთარი განსხვავებული აზრი იქონიონო. მაშინ გეკითხებით ბ-ნო ბიძინა, ამ ცნობიერებით უნდა აღზარდოს მომავალი თაობა განათლების მინისტრის „განათლებულმა“ მოადგილემ? შეიძლება მას ქართული ეროვნული სახელმწიფოს განათლების სადავეები მივცეთ ხელთ? იქნებ სიტყვა — ეროვნული ბრჭყალებში ჩავსვათ? ეროვნულობას ხომ პიროვნების თუ პოლიტიკური ძალის მიზნები და პრინციპები განსაზღვრავს ეროვნული და სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი?



„განათლებული“ ამერიკის ნიუ-იორკის ერთ-ერთ სკოლაში 11 აპრილს ჩატარდა გაკვეთილი ლესბოსური კოცნის ასათვისებლად, რომელიც „ჯანმრთელობის“ გაკვეთილად მოინათლა. აი, გზა, რისკენაც ზურაბიშვილის მსგავსი ვაიპოლიტიკოსები უბიძგებენ საქართველოს, რადგან თუ ეროვნული და მართლმადიდებლური ფასეულობა სახადია, მისგან თავისუფალი ადამიანი ქართველობას და საქართველოს ვერ შეინარჩუნებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰიტლერმა თავის გარშემო შემოიკრიბა 4000 აქტიური მხარდამჭერი, რომელთა უმრავლესობა მეცნიერები და აკადემიკოსები იყვნენ და მხოლოდ 300 კაცი იყო განათლების გარეშე, მათ შორის ჰიტლერიც. სულიერებას და ზნეობას მოკლებული განათლება ისევე ანგრევს ქვეყანას, როგორც გერმანიის შემთხვევაში მოხდა. ამიტომ, მითი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკელები განათლებულნი არიან და ქვეყანას სიკეთეს მოუტანენ, მხოლოდ ილუზიაა, რადგან სულიერებით და ქართული ტრადიციებით გაჯერებული ცნობიერების მქონე რიგითი ქართველია იმ იდეის ერთგული, რომელმაც აქამდე მოიტანა საქართველო. უანგაროდ მებრძოლმა ქართველებმა შეგვინარჩუნეს — ენა, მამული, სარწმუნოება, ხოლო ურეიტინგო, ობმოდებული პარტიის წევრები სწორედ ამ ფასეულობებს ებრძვიან. ისიც ფაქტია, რომ ხიდაშელმა და ალასანიამ სიტყვა —„ეროვნული“ თქვენგან ისწავლეს, მაგრამ ვერ გააცნობიერეს. ზურაბიშვილის ეს წერილი სათავეს თ. ხიდაშელის იმ მოღვაწეობიდან იღებს, როცა კლინტონს წერილი მისწერა, საქართველოში იეღოველთა უფლებები ირღვევა და გვიშველეთო. აი, ასეთია დღეს რესპუბლიკური პარტია, რომლის წევრთა ცნობიერებაში ცვლილება მხოლოდ მიღებული სარგებლის შესაბამისად ხდება.

ახალი „ეროვნული“ მოძრაობა, რომელიც დააფუძნეს ნაცებმა „ქათამ“ მაზმანიანის ლიდერობით და კოჰაბიტაციის დაუოკებელი სურვილი საპარლამენტო უმრავლესობისა ამჟამად უკვე „ქათმებთან“, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დემოკრატიის გადარჩენა „ქათამთა“ სახის შენარჩუნებით, ხომ არ მიგვანიშნებს რესპუბლიკელთა სექსუალურ დისკომფორტზე, რომ მალე ერთმანეთზე იქორწინებენ? არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში მწყობრი ნაბიჯით ჩაივლიან რუსთაველზე ერთმანეთის უკანალზე ხელებდაწყობილი მაზმანიანი, ბაქრაძე და უსუფაშვილი ტუჩზე კოცნის რეჟიმში!


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


ხმას არასდროს მივცემ „ქართული ოცნების“ იმ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელმაც გააკეთა განცხადება, თითქოს უცხოეთში ქართველი ჯარისკაცები საქართველოსთვის იბრძვიან. ნუთუ ქართველი ერი ისეთი ბნელი და უვიცია, რომ აბდაუბდა დაიჯეროს, განა ოდესმე ქართველებს იმაზე უოცნებიათ, რომ ქართველი საჯიშე ბიჭები უცხოეთში უნდა დაიღუპონ უჯიშოთა სკამების გადასარჩენად? ამერიკა რომ 300 მილიონს ზოგავს წელიწადში თავისი კონტინგენტის შემცირებით, ამას უნდა შეეწირონ ქართველები? მამლუქების ხანა დაბრუნდა საქართველოში?

7 ივნისს თქვენ ბრძანეთ: მიუხედავად ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცის დაღუპვისა, ჩვენ არ შევშინდებით არ შევჩერდებითო... არ შეჩერდებით, რადგან ადვილია სხვისი შვილების „საზარბაზნე ხორცად“ გამოყენება! ავღანელები ტერორისტები არ არიან, ისინი თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობას ეწირებიან, ხოლო ქართველები — საქართველოს ხელისუფლების მონურ ფსიქოლოგიას.

მახსოვს თქვენი განცხადება, რომელსაც აღფრთოვანებით შევხვდი: ჩვენ ვართ საქართველოს მთავრობა და ქვეყნის პოლიტიკას ჩვენ განვსაზღვრავთო, მაგრამ განცხადება მხოლოდ განცხადებად დარჩა — დღეს ბინძური ნაცების და უცხო ქვეყნების ინტერესი უფრო ანგარიშგასაწევია უმრავლეობისთვის, ვიდრე ჩვენი ქართველი საზოგადოების. თქვენი ერთი რეპლიკაც მახსოვს, როცა ბრძანეთ: „აი, გახსოვთ, როგორი ცხოვრება იყო საბჭოთა კავშირის დროს“... და აღარ დაამთავრეთ „ნაცების“ შიშით.

თქვენი განცხადება, რომ ქართველმა ხალხმა დიდი ხანია ევროპული გზა აირჩია, ევროპელთა თუ ნაც.ბანდის საამებლად გაკეთებული განცხადებაა: ჩაატარეთ რეფერენდუმი, ბ-ნო ბიძინა და დარწმუნდებით, რომ ქართველი ხალხი დაიღალა საქართველოსთვის დამანგრეველი ამერიკის ინტერესების გატარების პოლიტიკით, დაიღალა „ქართული ოცნებისა“ და „ნაცების“ დიალოგის რეჟიმში „მოღვაწეობით“, ბილწებთან დაუმთავრებელი თაფლობის თვით, რაც ნებისმიერი ღირსების მქონე ადამიანში ზიზღსა და სიძულვილს იწვევს. მსგავსი განცხადებები ქართველი საზოგადოების იმ ფენებზეა გათვლილი, რომელნიც ინფორმაციულ ვაკუუმში არიან და არ იციან, რომ საბერძნეთი, იტალია, რუმინეთი, უნგრეთი, ესპანეთი და ახლა ინგლისიც ისწრაფვიან თავი დააღწიონ ბრიუსელიდან დიქტატს და მიაჩნიათ, რომ ქვეყნის მთავრობა ეროვნულ ინტერესებს უნდა ატარებდეს ქვეყანაში და ხელოვნური გაერთიანება ძირს უთხრის ეროვნულ სახელმწიფოებს. ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ: ბერძნები წალკაში ბრუნდებიან საბერძნეთიდან!

ჩაატარეთ რიგგარეშე არჩევნები, ბ-ნო ბიძინა, რათა პარლამენტის გარეთ დარჩენილმა ჯანსაღმა ოპოზიციურმა ძალებმა შეძლონ თავიანთი პოტენციალის წარმოჩენა და თითოეულ პარტიას მიეცეს თვითდამკვიდრების საშუალება ქართულ პოლიტიკაში. აი, მაშინ დარწმუნდებით, რაოდენ „რჩეულია“ რესპუბლიკური პარტია!

თუ ნატოზე აპელირება იმიტომ სჭირდება „ქართულ ოცნებას“ რომ რუსეთისგან თავი დაიცვას, განა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების საშუალება ჩვენი დსთ-დან გასვლის შემდგომ არ მიეცა რუსეთს? განა დსთ-ს წევრი ქვეყნები ერთმანეთის საზღვრებსა და ტერიტორიულ მთლიანობას არ სცნობდნენ? განა დღეს თურქეთი არ მიმართავს რუსეთს „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“ გაწევრიანების შესახებ? სსრკ-ს დაშლის შემდეგ შეიქმნა „კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია“, რომელიც მის წევრ ქვეყნებს აგრესიისგან დაიცავს, განა რუსეთთან გონივრული დიპლომატიური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ამ შედეგს მივიღებდით? არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში საქართველოსა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრაც მოხდეს და სხვა ორბიტა ავირჩიოთ. დღეს ჩვენ ამერიკის დამანგრეველი იდეოლოგიისაგან უფრო გვჭირდება დაცვა, ვიდრე რუსეთისგან.

მედიასთან საუბარში თქვენ ბრძანეთ, რომ ძნელია ყველა ხელშეკრულების გაუქმება, რომელიც „ნაცებმა“ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გააფორმეს, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ქართველი საზოგადოების 19 მაისის აქციით გამოხატული ნება, ნაცების 9-წლიანი კრიმინალური რეჟიმი გამოცხადდეს დანაშაულებრივ რეჟიმად და ყველა პროექტი თუ ხელშეკრულება გაუქმდება, საზოგადოება დაწყნარდება. ეს იქნება წინაპირობა იმ კანონის გაუქმებისაც, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო პარლამენტის გვერდის ავლით, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონეს შეუძლია ჩვენი მიწის ყიდვა-გაყიდვა. ასეთი ლიბერალური კანონი მხოლოდ აფრიკის ქვეყნებში მოქმედებს, ჩვენც ნელნელა აფრიკის ქვეყნებს ვემსგავსებით და მიწასთან ერთად ქართველობასაც ვკარგავთ.

ბ-ნო ბიძინა, არ დაუშვათ, რომ ქართული ოცნება ამერიკულ „ცისფერთა“ და საშოვარზე დაგეშილ უზნეოთა ოცნებად იქცეს!

აღადგინეთ სამართლიანობა, არ მინდა ჩემს არჩეულ ხელისუფლებას იმედგაცრუებულმა საზოგადოებამ დანაშაულებრივი ბანდის მიერ ხალხისთვის წართმეული ქონების გადანაწილებაში დასდოს ბრალი!

**იზა თამაზაშვილი**
**ფილოლოგი,**
**აღმოსავლეთმცოდნე,**
**„ქართული ოცნების“ წევრი**

*P.S.* ***პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ქართული ეროვნულ ტრადიციების, მართლმადიდებლური ფასეულობების დამცველ ახალგაზრდებსა და საეკლესიო პირებს პასუხს სთხოვენ.***

# ფარესაშვილო, თუ იმ კადრებში შენ არ ხარ, მორალური ზიანისთვის კომპენსაციას რატომ ითხოვ, სხვისი საჯდომის ხარჯზე გინდა გააკეთო 300 000 ლარი?

გიორგი ფარესაშვილზე ინფორმაციის მისაღებად უპირველესად **Google**-ს მივმართე, ჩავწერე „გიორგი ფარესაშვილი" და იმდენი გვერდი ამომიგდო, გავოცდი. თვალი გადავავლე, საიდან დავიწყო მისი გაცნობა-თქო და თვალი ვკიდე „პერსპექტიული ჟურნალისტი და პოლიტიკოსი გიორგი ფარესაშვილი". (= გიორგი – **File in Best Archive Carant. In arch. pnp? = =** გიორგი) ინფორმაცია მოვითხოვე, ამასობაში ქუდიც გაიხსნა და



ბიჯოს! პერსპექტიულ ჟურნალისტსა და პოლიტიკოსზე ველოდები საუბარს და რას ვხედავ, მოძრავ ფორმატს – გაქანებული სექსია. ახლა იმან ინაღვლოს, ვისაც რუსულისა არაფერი გაეგება „Ï àï à åá¸ò äî ÷ü ï î êà ì àì û í åòó äî ì à! Æåñòü âèäåî ï î òðÿñëî âñåõ!" "áðàò ñ ñåñòðî é åáóòñÿ äî ì à _ ÷àñòí î å âèäåî ! _ áåñï ëàòí î " "Âåðó Áðåæí åâó çàòðàõàëè äâî å í à êî ðï î ðàòèâå!!!" გადავირიე, ალბათ, რაღაც შემეშალა, ეს სად მოვხვდი-მეთქი, უკან დავბრუნდი, ახლიდან შევედი და ახლა სხვა დასათაურების ვიდეოები ამოლაგდა. მოკლედ რომ ვთქვა, გიორგი ფარესაშვილი, პერსპექტიული ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის ნახვას, თუ სექსის სხვადასხვაობების ნახვა არ გინდათ, ამაოდ მიაკითხავთ – „დედა, რა იყო ეს?" რატომღაც კითხვები დამებადა, ნატავ, ვერა ბრეჟნევას სექს-ვნებები ფაბრიკაციაა თუ ნამდვილი და იჩივლა თუ არა-მეთქი? უფრო ზუსტად, ფეხზე დააყენა თუ არა ქვეყანა, ფეხებთან დამიგორეთ 2-3 კაცის თავიო?

ვერა ბრეჟნევა იქით იყოს და ქვეყანა შევძარი, ვინმე ღვთისნიერმა ის კადრები მაინც მაჩვენეთ, სადაც ამ შესანიშნავი სამეულის „სექს-ოხუნჯობაა" გადაღებული, იქნებ გავიგო, რას ჩივის ეს ყმაწვილი, ელემენტარულად, ყველამ თუ ნახა, მე რაღა დავაშავე-თქო.



უკეთესი არ ენახოს ყველა ავისმქმნელს, დავიწვი მოქმედი პირების საცოდაობით – ფაბრიკაციაა თუ ნამდვილი კადრები, სამი გაჭირვებული სახეზეა! ბუნებაში ბევრჯერ მაქვს ნანახი, მინდვის წითელკოპლებიანი ბაღლინჯოები ასე გადაებმებოდნენ, ხშირად სამნი და გაჯიუტებული მდედრი ორივეს დაათრევდა მოკლე წრეზე, აი, ის ტარაკნები გამახსენდნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ კოპლებიანი ბაღლინჯოები ლამაზად იყვნენ შეხამებულები მწვანე ბალახთან და ბუნებრივ აქტს ასრულებდნენ შთამომავლობის მისაღებად, ესენი?

მათ ტანჯვა-ვაებას ბოლომდე რა უყურებდა, მაგრამ პირველი, რაც თვალში მოხვდება მათი ცოდვით კი არა, საქმის ვითარებით რეალურად დაინტერესებულ მაყურებელს ისაა, რომ მონაწილე ქალმა იცის სად დგას კამერა და სექსისთვის კონკრეტულ ადგილს ირჩევს; მეორე – საცოდაობის მეორე მონაწილე ყმაწვილმაც იცის რასაც დათანხმდა და ხელს უღერებს მესამეს ზურგსუკან ქალს: ამას რას მაკეთებინებ, შენი კარგიო; მესამე – ყველა მოძრაობა თანმიმდევრულია და ოდნავი წყვეტა არ აქვს; იმ საცოდაობის ნაწილის ყურების შემდეგ კითხვა დამებადა, რას ამბობს ფარესაშვილი, სხეულის რომელ ნაწილზე იგულისხმება მონტაჟი, თავ-პირი არ არის მისი თუ საჯდომი?

სიმართლე ვთქვა, ვთვლი, რომ მართლა არავის საქმეა, სექსუალური ურთიერთობის როგორი ფორმით ერთობა ესა თუ ის პირი დახურულ სივრცეში, მაგრამ დაიბადა კითხვა, ამ ერთმა ფარესაშვილმა რომ დაიმხო თავზე ქვეყანა, ის ორი მონაწილე რატომ იყო და არის დადუმებული?

კითხვები უამრავია.

ვთქვათ, გელა ხვედელიძე, რომ იტყვიან „ძველი კაგებეშნიკი" (ყოფილი არ არსებობს), როცა უამრავი „ილეთი" იცის, იმდენად სულწაპანა აღმოჩნდა, რომ ამგვარად იძია შური ფარესაშვილზე? – კი, მაგრამ სად დევს შურისძიების ის არსი, რის გამოც ამაზე წავიდა?

ლაშა ნაცვლიშვილი, ასევე „ძველი კაგებეშნიკი" (სხვათაშორის, გამორჩეულად გონებაგახსნილი და ნიჭიერი) და გია ხუხაშვილი, რომელთა თავებსაც გაავებული ითხოვდა ფარესაშვილი, კვლავ აქტიურად განაგრძობენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, ამდენად, მიზეზი, რატომ უნდა აღსრულებულიყო ფარესაშვილის (და მისი ჯგუფის) მოთხოვნა, კვლავ გაუგებარია.

გიორგი ფარესაშვილის ვარაუდი, რომ ვთქვათ, შპს „გიორგის" კუთვნილი თანხის ნაწილი ხვედელიძე-ნაცვლიშვილის ჯიბეში ჩაედინა (2005 წელზეა საუბარი, როცა „ნაცმოძრაობა" ზენიტშია და პიროვნულად ვერ იტანენ ლაშა ნაცვლიშვილს), ან ის, რომ არ დადასტურდა ნათია მოგელაძის, მისი მეუღლის, გიორგი კონდახაშვილისა და გია ხუხაშვილის სამკუთხედი, გია ხუხაშვილის კვერცხების ბიზნესი და ა.შ რაღაც დანაშაულებები, დღეისათვის კვლავ საეჭვოდ ღიადაა დარჩენილი ფარესაშვილის მხრიდან.



მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი ფარესაშვილი ორ სარჩელს ამზადებდა, ერთი, რომ გელა ხვედელიძეს ბრალი უნდა დაუმძიმდეს, რადგან მაღალი თანამდებობის პირი, მეორე სარჩელი კი პროკურატურის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, სადაც საქმე ფარული ჩანაწერების დაუცველობას შეეხებოდა.

გაუგებარია, თუ თვით არ არის იმ ჩანაწერში, რატომ გაიძახოდა, მე არ ვარო? არ ხარ და ნუ ხარ, ისედაც არ ჩანდა სახეები ისე გამოიკვეთილად, რომ ქუჩაში ყოველ მეორე გამვლელს ეცნო და მეორე, კაცი თუ თავის საჯდომს და პირს ვერ იცავს, პროკურატურამ როგორ (ან რატომ) უნდა დაიცვას?

და კიდევ: თუ ამ კადრებში შენ არ ხარ, მორალური ზიანისთვის კომპენსაციას რატომ ითხოვ, სხვისი საჯდომით გინდა გააკეთო 300 000 ლარი?

გიორგი ფარესაშვილი როგორი ჟურნალისტია, ამ შემთხვევაში ჩემი საქმე არ არის; არც ის, როგორი პოლიტიკოსი დადგება, ან რაში ჩანს პერსპექტივა, მაგრამ ამგვარი ამბიციების მქონე ადამიანის კვალობაზე რომ ძალზე მიმნდობი და წინდაუხედავი ყოფილა, ფაქტად დევს. უარესი, ბრიყვიც ყოფილა, რადგან ვერ ხვდება, რომ გარკვეულმა წრემ ის მხოლოდ გამოიყენა და მიაგდო, მათი „დამსახურებით" კი ხალხში მხოლოდ ერთი საჩოთირო სახელი დაიგდო.

როცა „ფეისბუქზე" დაიდო, რომ გიორგი ფარესაშვილი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 300 000 ლარს ითხოვდა, ამას მსწრაფლ მოჰყვა სოციალური ქსელის მომხმარებელთა დამცინავი რეაქცია, ვიღაცამ კომენტარში ჩაწერა „300 000 ლარად „ფლეიბოის" ნაშების რიგი დამიდგება, ამას რა მადა ჰქონიაო," ვიღაცამ – „პედერასტი ბევრია, ფარესა – ერთადერთი", ვიღაცამ გენო გევორქოვის სიმღერიდან „ჩემს საოხრეს რა ჭკუა აქვს,/ ჩათვალეთ, რომ არც მქონია" – გაიხსენა, ვიღაცამ – ბლუ არტურას სიმღერიდან „ძმანო, ყველამ ვაღლერძელოთ,/ კაცს უკნიდან ვინც მაადგა,/ ყველა ბოლოს გამართლდება/ ჩვენს ნათელ გზას ვინც დაადგა"... – აბა, ეს კარგია?

**მაია ჭელიძე**

**593 32 49 71**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მსოფლიო პრესის მიხედვით

# კავკასიის პოლიტიკის „ავღანური ფაქტორი“

**ავღანეთში ტერაქტებითა და დივერსიებით ვერავის გააკვირვებ. ამ ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობა ჩვეულებრივ ამბად აღიქმება. მიუხედავად ამისა, ავღანეთში მოსამსახურე ქართველ სამხედროებზე თავს დამტყდარი ტერაქტები (მცირე დროის განმავლობაში ზედიზედ) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მასში თავს იყრის ბევრი გეოპოლიტიკური სიუჟეტი, რომელიც მხოლოდ საქართველოს და ავღანეთს კი არა, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს ეხება.**

2013 წლის მაის-ივნისში ქართულმა სამხედრო კონტინგენტმა გარდაცვლილების სახით ათი ადამიანი დაკარგა, რაც ავღანეთში ყოფნისას, 2009 წლიდან მოყოლებული, დაღუპულთა მესამედს შეადგენს. ამასთან, დაიჭრა 150 ადამიანი. საქართველოს ავღანეთში ყველაზე მეტი – 1600 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს გაგზავნილი.

გამორიცხული არ იყო, ეს ციფრი ბევრად მეტი ყოფილიყო, შარშან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რომ არ გაემარჯვა. 2012 წლის განმავლობაში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამუდმებით იმის პირობას იძლეოდა, რომ ავღანეთში ქართველ მოსამსახურეთა კონტინგენტს 2000 სამხედრომდე გაზრდიდა. ამას ამბობდა მიუხედავად იმისა, რომ ჩიკაგოს სამიტმა მაინც ვერ განსაზღვრა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ტემპი და ვადა. ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, გამარჯვებული კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი აგრძელებს პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და ეს ხდება იმ დროს, როცა ორივე მათგანი ცდილობს, ოპონენტი პოლიტიკური ბრძოლის ველიდან გააძევოს.

ოფიციალური თბილისის პრიორიტეტებია ევროპული ინტეგრაციაც და ნატოში შესვლაც, სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. თუმცა ივანიშვილი მეტისმეტად მოქნილი და პრაგმატულია – მისი განცხადებით, აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაც და ამ პროცესს უკვე მოჰყვა მოკრძალებული შედეგები: საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი თავისი ქვეყნის მონაწილეობას სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში (სააკაშვილი ერთი წლის წინ ბოიკოტით იმუქრებოდა); საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე „ყაზბეგი-ლარსის“ საკონტროლო-გამშვები პუნქტი მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზეა გადასული; ქართული მინერული წყალი უკვე შევიდა რუსულ ბაზარზე და ამ დღეებში ქართული ღვინოც გაჩნდება რუსეთის დახლებზე.

რასაკვირველია, არსებობს წინააღმდეგობებიც. ახლახან ყურადღებიც ცენტრში მოექცა ამბავი, რომელიც შიდა ქართლის სიღრმეში საქართველოს საზღვრის გადატანას მოჰყვა. ამ ფაქტის გამო საქართველოს საგარეო უწყებამ საპროტესტო ნოტაც გაგზავნა, მაგრამ პრემიერმა ივანიშვილმა თავი აარიდა ურთიერთობის დაძაბვას და ამ პრობლემის განხილვა ივნისის ბოლოს დაგეგმილ ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდისთვის გადადო. არ არის გამორიცხული, მხარეებმა ურთიერთხელსაყრელი გადაწყვეტილება მიიღონ.



ასეთ ვითარებაში ჩნდება ორი შეკითხვა: რა ზეგავლენას მოახდენს ავღანური დანაკარგი თბილისის საგარეო პოლიტიკაზე? ავღანეთში შექმნილი ვითარება შეცვლის თუ არა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე არასტაბილური რეგიონის – კავკასიის გეოპოლიტიკურ დინამიკას?

პრეზიდენტ სააკაშვილისგან განსხვავებით, პრემიერი ივანიშვილი პრაგმატული ადამიანია. მას მშვენივრად ესმის, რომ საქართველსგან ასეულობით კილომეტრით დაშორებული მშფოთვარე ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩართვით არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის და არც ნატო-ში წევრობის პრობლემები არ მოგვარდება.

ბოლო პერიოდში, რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობას განიხილავენ როგორც „ცივი ომის“ მსუბუქ ფორმას. სინამდვილეში, ვითარება შტამპებისგან მკვეთრად განსხვავებულია. მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის წინააღმდეგობა არ არის იდეოლოგიური ხასიათის, ეს სხვადასხვა ინტერესის კონფლიქტია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ინტერესები ერთმანეთს მაინცდამაინც არ ეწინააღმდეგება. უწინარესად, იგულისხმება ავღანეთი. ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის დერეფნის“ გავლით ნატო წელიწადში 4500 რეისს ასრულებს. არც რუსეთი და არც საქართველო არ არის ჩრდილოატლანტური ალიანსის წევრი და ამის ფონზე ეს არც ისე მცირე წვლილია.

ამასთან, მოსკოვი უკიდურესად ნეგატიურად არის განწყობილი ნატოს გაფართოების მიმართ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხარჯზე (ბალტიისპირეთის გარდა). 2008 წელს კრემლმა მკაფიოდ აჩვენა, რომ წითელ ხაზებს არ დათმობს. საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულება ცნობილია, ორი მოუგვარებელი ეთნოკონფლიქტის პრობლემის სირთულეც აშკარაა – ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნატო არ გარისკავს, თავის რიგებში მიიღოს სახელმწიფო, რომელიც ისედაც უამრავ პრობლემას ახალ თავსატეხს შემატებს. ამგვარად, ხვალ თბილისმა ავღანეთში დამატებით 1000 სამხედრო რომც გაგზავნოს, ამით საქართველოს ნატო-ში შესვლა არ გადაწყდება.

ეს მხოლოდ ნაწილია პრობლემებისა. ივანიშვილი პოლიტიკოსია, ხოლო პოლიტიკა – შესაძლებლის ხელოვნება. დღესდღეობით ქართველი საზოგადოებრიობა არ არის მზად, შეეგუოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას. იქაური ლოტოლვილები მნიშვნელოვანი და აქტიური ელექტორატია, მით უმეტეს ახლა, როცა წინ საპრეზიდენტო არჩევნები და სააკაშვილისგან მემკვიდრეობით მიღებული ხელისუფლების ტრანსფორმაციაა განსახორციელებელი. ამ კონტექსტში ნატოს ტყუილუბრალო მხარდაჭერის აღიარება და იმაზე დათანხმება, რომ რუსეთისთვის, რიტორიკის დონეზე მაინც, დასავლეთის სახით რუსეთის საპირწონე არ იქნება, ივანიშვილს არ შეუძლია.

ამ ილუზიას მანამდე უერთგულებს, ვიდრე თვითონ ქართველი საზოგადოება ბოლომდე არ განიხიბლება ავღანური ოპერაციით და ნატო-ში გაწევრიანების იდეით. მით უმეტეს, რომ რუსეთი არ არის მზად, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. თეორიულად მზად რომც იყოს, აფხაზი და ოსი ხალხი ცხვირსახოცები ხომ არ არიან, ერთი ჯიბიდან მეორეში გადაანაცვლონ. შესაბამისად, ქართველ ხალხს წლის ბოლომდე ავღანური უღლის ტარება მაინც მოუწევს. თვითონ ავღანეთში კი რაიმეს პროგნოზირება მეტისმეტად რთულია.

2013 წლის ნოემბერში უნდა განისაზღვროს ამ ქვეყანაში ნატოს ახალი ფორმატის პირობები. ზუსტდება იქ ყოფნის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები ისეთ პირობებში, როცა აშშ თავისი სამხედროების გამოყვანას გეგმავს. წლის განმავლობაში ავღანეთი 30 ათასმა ადამიანმა უნდა დატოვოს. მართალია, კავკასიის ქვეყნებს ავღანეთთან საერთო საზღვარი არ გააჩნიათ, მაგრამ 2014 წლის სამხედრო გადაჯგუფება რეგიონს ბევრ თავსატეხს გაუჩენს.

დღესდღეობით, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ არა ჩეჩენი სეპარატისტები, რომლებსაც დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ, არც ეთნიკური ნაციონალისტები, არამედ რადიკალი ისლამისტები. ეს საფრთხე მეტისმეტად აქტუალურია არა მარტო რუსეთისთვის, არამედ უწინარესად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის. საქართველომ ეს საკუთარ თავზე 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში – პანკისის ხეობაში, ხოლო 2012 წლის აგვისტოში დაღესტნის საზღვართან, ლოპოტის ხეობაში იგრძნო. 2002 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, ვიდრე 2003 წლის დასაწყისამდე, საქართველოს ხელისუფლებამ პანკისში ეგრეთ წოდებული „ანტიკრიმინალური ოპერაცია“ ჩაატარა. ამ ღონისძიების არაეფექტიანობის გამო რუსეთმა კრიტიკა არ დაიშურა, მაგრამ ხეობაში ვითარება მაინც გაუმჯობესდა. 2012 წლის ოპერაციამ კი აშკარად აჩვენა, რომ რადიკალურ ისლამიზმს, ჩრდილოკავკასიური გავლენის გარდა, საქართველოში თავისი ფესვებიც გააჩნია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აგრეთვე მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის აღიარების ფონზე უნდა აღინიშნოს: ორივე მხარეს ჰაერივით სჭირდება სტაბილურობა მშფოთვარე ჩრდილოეთ კავკასიაში. და „პრობლემა-2014“ ის ფაქტორია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთობის მოწესრიგებას.

ავღანეთში უსაფრთხოების კოლაფსს შესაძლოა, სავალალო შედეგები მოჰყვეს და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ესკალაცია გამოიწვიოს. ეს უბრალოდ მოსაზრებები კი არა, რეალობის კონსტატაციაა – გავიხსენოთ 1990-იანი წლები, როცა ავღანელი მოჯაჰედები დაპირისპირებისას აზერბაიჯანის მხარეზე იბრძოდნენ. ახლა სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც თავისი წვლილი შეაქვს ავღანურ ოპერაციაში. 2011 წლის დეკემბერში აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ავღანეთისთვის ტვირთის მიწოდების სისტემაში – ამ სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით მთლიანი ტვირთის მესამედი გადაიზიდება.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ კავკასიის მომავალი უნდა ჩამოყალიბდეს „ავღანური ფაქტორის“ გათვალისწინებით. ეს უნდა იყოს უფრო პრაგმატული და აწონილ-დაწონილი დღის წესრიგი, რომლის მიზანი სტრატეგიული სტაბილურობის მხარდაჭერა იქნება.

**novopol.ru**

# მოსკოვი საქართველოს ნაწილ-ნაწილ აგლეჯს ტერიტორიას

**რუსი მესაზღვრეები სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის საზღვრის დემარკაციით არიან დაკავებული, წერს რეჟი ჟანტე გაზეთში Le Figaro.**

შეტევა მეთოდურად გრძელდება. თებერვლიდან მოყოლებული, რეგულარულად, რუკებითა და გპშ-ის სისტემებით შეიარაღებული რუსი მესაზღვრეები სამხრეთ ოსეთის ამა თუ იმ პუნქტში სასაზღვრო ზღუდეებს აგებენ. მათ ბოძები ადმინისტრაციულ-გამყოფი ხაზის 100-300 მეტრის გასწვრივ დაამონტაჟეს. უკვე შეცვლილია სამხრეთ ოსეთის 350-კილომეტრიანი ადმინისტრაციული საზღვრის 22-25 კმ.

ამგვარად, დამატებით ათეულობით ჰექტარი მიწა რუსეთის კონტროლქვეშ გადავიდა. ჩრდილოელი მეზობლის ჯარს ქართული მიწის 20 პროცენტი მას შემდეგ აქვს ოკუპირებული, რაც სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი თბილისის



იურისდიქციიდან გამოვიდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ცდილობს, მეზობელთან კავშირის გაწყვეტას სააკაშვილის „დამსახურებად“ მიიჩნევს და ამის ფონზე, გაოცებას ვერ მალავს: ვცდილობთ, რუსებთან უკეთესი ურთიერთობა გაგვიჩნდეს და ამის საპასუხოდ ისინი თავს გვესხმიან.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ახლა საზღვრის დემარკაცია მიმდინარეობს. რუსი მესაზღვრეების განცხადებით, ისინი ზემდგომი მეთაურების დავალებებს ასრულებენ. არც ისე დიდი ხნის წინ მედიასაშუალებებში გაჩნდა ცნობილი ევრაზისტის, ალექსანდრ დუგინის განცხადება: თუ საქართველო შეუერთდება ევრაზიურ კავშირს, ერთიან პოლიტიკურ სივრცეში დემარკაციის საკითხი მნიშვნელობას დაკარგავს, ისევე, როგორც ეს ევროპაშია. „გრძელწვერა იდეოლოგმა გაახმოვანა ვლადიმირ პუტინისთვის ძვირფასი იდეა, – წერს გამოცემის მიმომხილველი, – ევრაზიულმა კავშირმა უნდა დაადგინოს რუსეთის გავლენა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მასში საქართველოს შესვლა მოსკოვისთვის გახდება საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ დარტყმა მიაყენოს თბილისისა და ნატო-ევროკავშირის დაახლოებას“.

**Le Figaro**

**მიმოხილვა მოამზადა**
**გიორგი ჭავჭავაძემ.**

# ამოცანა გვეკითხება: ვინ დაიჭირეს, საერთაშორისო დონის ტერორისტები თუ ქართული სპეცსამსახურების ფარული თანამშრომლები?

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადების სტადიაზე იქნა აღკვეთილი ტერორისტული აქტის მცდელობა. გამთენიისას, თბილისში დაკავებულ იქნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიკაილ კადიევი და რიზვან ომაროვი, რომელთა დროებითი საცხოვრისიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა დიდი ოდენობით ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი ნივთიერება და ელექტროდეტონატორები, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია.“ — გვამცნო შსს-ის პრეს-სამსახურმა.

პირველ სასამართლო პროცესზე ტერაქტის მოწყობის მცდელობისთვის დაკავებულ პირებს ნაკლებად მძიმე დანაშაულის გამო წაეყენათ ბრალი, 236-ე მუხლის I ნაწილი — იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, რაც ითვალისწინებს 6 თვიდან 3 წლამდე პატიმრობას ან ჯარიმას. დაკავებულების ადვოკატი ირმა ინასარიძე აცხადებს, რომ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია და სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება. იგი ასევე აცხადებს, რომ ბრალდების მხარემ ვერ დაასაბუთა საიდან ჰქონდათ სამართალდამცავებს დადასტურებული ინფორმაცია, რომ დაკავებულები ტერაქტს ამზადებდნენ.

მინდა ვიკითხო, ადამიანებს რომ ასაფეთქებელი ნივთიერება, დეტონატორები, იარაღი და ადამიანთა მოსაკვდინებელი არაერთი საბრძოლო საშუალება აქვთ, ლახტის სათამაშოდ ემზადებიან? — ძალიან მაინტერესებს, რომ მოვახერხო და ეზოში ქვემეხი დავიყენო, რად ჩამეთვლება? არა, მაინც რაო, რა თქვეს, რატომ გვქონდაო, თუ არავინ ჰკითხა?

შსს-ს ხელმძღვანელობას მინდა ვკითხო: არატერორისტული მიზნებისთვის შეძენილი ტერორისტული დანიშნულების საბრძოლო აღჭურვილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენისთვის თუ აკავებდით ამ ადამიანებს, რომლებიც შესაძლებელია, სააპელაციო სასამართლომ სულაც ჯარიმის გადახდის შემდეგ გამოუშვას, რაღას ატეხეთ ამხელა ამბავი?

ამბავი კი, იცოცხლეთ, ატყდა.

მიკაილ კადიევი ერთხელ უკვე ჰყავდათ დაკავებული ქართველ სამართალდამცავებს და მაშინ ითქვა, რომ იგი ჩეჩნეთის რესპუბლიკის თვითგა-



მოცხადებული პრეზიდენტის დოკუ უმაროვის ორგანიზაციის „კავკასიის იმირატის“ წევრია, მაგრამ 2012 წლის 13 დეკემბერს, როდესაც ბათუმიდან თბილისში გადმოჰყავდათ, გაქრა. (ამა წლის 19 აპრილს ასევე გაქრა მაგომედ მაგომედოვი) მაშინ ეჭვი გაჩნდა, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა ისინი რუსეთის სპეცსამსახურებს გადასცეს. ახლა, ერთის მხრივ ირკვევა, რომ კადიევი კი არ გამქრალა, ქართველ სამართალდამცავებს გაუნთავისუფლებიათ, მეორეს მხრივ, ბიძამისის ნათქვამიდან ირკვევა, რომ კადიევი სამართალდამცველებს კი არ გაუნთავისუფლებიათ, არამედ, გაქცევია, მესამეს მხრივ უკეთესი — დაკავებულებს უბრალოდ, შეუძენიათ ლამის მთელი საბრძოლო არსენალი, ისე, უბრალოდ, შეუძენიათ...

ნუთუ არაფერს ნიშნავს, რომ კადიევი იმ ჯგუფის წევრია, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რუსლან პაპასკირი, იგივე „ზოონი“, რომელსაც „ლაფანყურის საქმეში“ მონაწილე ჩეჩნები თბილისში ჩამოჰყავდა, დაკავებული ჰყავთ თურქეთის სპეცსამსახურებს?

არც ის არაფერს ნიშნავს, რომ კადიევს მკვლელობის ფაქტზე რუსეთის ფედერაციის შსს 2009 წლიდან ეძებს და ამ ადამიანზე მიწოდებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე ფულადი ჯილდო იყო დაწესებული?

**უმარ იდიგოვი** ამბობს, რომ უმაროვად გამოცხადებული დაკავებული რეალურად მაგომედოვია; რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოში 120 ბოევიკი ჩამოიყვანა, მათ შორის ამჟამად დაკავებული ორი პიროვნებაც იყო — ისინი ხასავიურთიდან, დაღესტნიდან არიან.

**მამუკა არეშიძე**: — „მე ვთვლი, რომ ეს ადამიანები კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებენ, ან კონკრეტული ჯგუფის სპეცსამსახურების დავალებას. ესენი იყვნენ საერთაშორისო ავანტიურისტები, რომლებთაც დიდი ანაზღაურების გამო შეეძლოთ შეესრულებინათ ძალიან ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურის ან ჯგუფის დავალება. იარაღი არ მიკვირს, რადგან ეს იარაღი ქართული სპეცსამსახურების თანამშრომლებმა ამ ჯგუფს 2010-2011 წლებში თავად დაურიგეს, თავისი ცნობებით და დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომ ისინი საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლები იყვნენ...“

ამოცანა გვეკითხება: მაინც ვინ დაიჭირეს, საერთაშორისო დონის ტერორისტები, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ დაქირავებული ჩრდილო კავკასიელი ბოევიკები, ქართული სპეცსამსახურების ფარული თანამშრომლები თუ უბრალოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობების „კოლექციონერები“?

დაზუსტებული ინფორმაციაა, რომ კადიევი საქართველოში იმყოფებოდა, თუმცა, პერიოდულად გადიოდა ქვეყნიდან და უკან ბრუნდებოდაო. როგორ, რა გზითო? — იკითხავს ზოგიერთი გულუბრყვილო. ჯერ მხოლოდ ყვარლიდან იმდენი გადასასვლელია დაღესტანში ბლოტიალ-ბლოტიალით, რამდენიც გნებავთ (პირადად გახლავართ ნამყოფი სიმურის ხეობაში ბაინდურის ნაბინავარში ცხვარ-მეცხვარეებთან ერთად ცხენით), აბსოლუტურად უპრობლემოდ სოფელ თივიდან გადახვალ, ხოლო თუშეთიდან, სოფელ დიკლოდან გადადგამ ფეხს — დიდოეთში ხარ, ვედენის რაიონში, რუსეთის ფედერაციაში, გადმოდგამ — საქართველოში, ახმეტის რაიონში.



არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ ერთმა „გენიოსმა“ თქვა, ყველაზე კარგი მოქალაქე ეჭვიანი მოქალაქეაო, ჰოდა, გამოდის, ძალიან კარგი მოქალაქე ვყოფილვარ, რადგან საეჭვოდ მეჩვენება მთელი ეს ჯაჭვი, რომელსაც ზედ ებმის სააკაშვილის პირად მფრინავად დასახელებული, დიდოელი აზბულას ბიჭის, ზაურ ქორთოშიძის კავშირი კადიევთან.

ანდრო ბარნოვმა, ალბათ, სააკაშვილის პირით თქვა, რომ არასდროს უნახავს მიხეილს ზაურ ქორთოშიძე, რომ მისთანა მფრინავი ბევრია. პირველი — ზაურმა დაადასტურა რომ იცნობს სააკაშვილს, მაგრამ როგორც მფრინავს, მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და მეორე — ზაურის დონის მფრინავი ბევრი არ არის, თუ არის, შამილ ქორთოშიძეა მხოლოდ, მისი ძმა.

შამილ ქორთოშიძის ხსენება უპირველესად ეცერში ჩახოცილი აფრასიძეების ცოცხლად გადარჩენილ ოჯახის წევრებს ენიშნებათ საეჭვოდ. ქალბატონ დოდო აფრასიძეს კარგად ახსოვს მისი გვარ-სახელი, რადგან ის იყო გზამკვლევი, პირველი ვერტმფრენი რომელიც ეცერში შეფრინდა...

დაღესტანი, დიდოები, დიკლო, მფრინავი ქორთოშიძეები, 1999 წელს დაარსებული კერძო ავიაკომპანია „თუშეთი“, რომელსაც არანაირად არ შეეხო სააკაშვილის ხარბი ხელისუფლება, პირიქით, შამილ ქორთოშიძისთვის საჯაროდ გადაცემული ჯილდო „ქართული საფრენოსნო სკოლის შექმნისა და მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის ქართულ ავიაციაში,“ ძებნილი დიდოელი კადიევის ახლობლის მამის ზარი ნათესავ აზბულასთან და ზემოთ თქმული თუ ართქმული ბევრი რამ სწორედაც რომ აჩენს ეჭვის საფუძველს — კაცს არ იცნობ და მამაშენს რომ ნათესავმა დაურეკა დაღესტნიდან, ჩემი ახლობლის შვილიაო, იმას, თუ არ იცი რას წარმოადგენს, როგორ იფარებ და თუ იცი, რატომ იფარებ? ნორმალურ ადამიანს ასე არ ესმის, რომ კაცზე ძებნაა გამოცხადებული და არც მისმა მამამ იცის, არც მისი მამის ახლობელმა. ასაკოვან აზბულას, შეიძლება, არ სცოდნოდა, მაგრამ ესეც საეჭვოდ მეჩვენება, რადგან მთის წესი და შემდეგ მუსლიმანური, ერთმანეთის მოტყუებას ამგვარ საქმეში გამორიცხავს, მითუმეტეს, რომ მტრის (რუსის) მიერ ძებნილი მუსლიმანი ვაჟკაცია შესაფარებელი.

**თამარ მჭავია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ევთანდილ მჭედლიშვილი

* * *

უნიჭობა-ყვავის,
მომღერალია — ყვავი...
სუნი აღარ აქვს — ყვავილს,
სმა არის ირგვლივ — ყავის...
„გვპატრონობს" სულ-გულმყრალი...
გვიქმნიან — ახალ ყალიბს...
და ამრავლებენ ღარიბს.
ხმა აღარ ისმის ბლარის!!!
უნიჭობა ყვავის, —
მომღერალია ყვავი.
არ არის გასაკვირი"
როცა ტახტზე ზის ვირი!!!
2009 წ.

## უფალო, შემისრულე

„კაცი", რომელიც პენისის
და კუჭის ჭკუით ილის...
იმისი „პრეზიდენტობა" —
არ გააცილო ილისს!
უმისოდ ჩვენი ქვეყანა —
მალე დაიწყებს ლივლივს...
რომ წარმოვიდგენ, სიამე —
სხეულში უკვე მივლის!
მიშაზე, ჩემი ნათქვამი —
უფალო, შემისრულე.
გვედრი, ნუ დაალუპვინებ
საქართველოს ამ სულელს!!!
2009 წ.

* * *

მიშასგან ჯვარცმული, —
უხმალო და უფარო
ქართველები გვიხსენი —
გვევედრებით, უფალო!
ჩვენც ვართ დიდი სამყაროს —
ტალანტი და მშვენება
შეიძლება, ასეთი
ერის გადაშენება?!
2010 წ.

## მწამს

მწამს, რომ ღმერთი გადმოხედავს —
საქართველოს, მართალს...
ამის შემდეგ ჩვენს მართალ ერს —
სატანა ვერ მართავს!!!
თვით უფალი გაუძღვება —
ერს, მართმადიდებელს.
მოაშორებს ჩვენს ქვეყანას —
ჰიტლერსა და გებელსს!!!
ჩვენი ერი ეტყვის უფალს —
უკვდავ სადიდებელს!!!
2011 წ.

## სააკაშვილის ძლევინჭამიებს

თქვენ, ყველაფერს
შეჭამთ აწი...
შარდსაც დალევთ —
დიდი ყანწით:
ვინც მიშასი —
ჭამა ძღვენი...
ეს ლექსი მათ
მივუძღვენი!!!

## გალექსილი გოდება

ღმერთი გვჩუქნის სიცოცხლეს,
მიხეილი — გვართმევს...
აბა, რა გაამრავლებს —
მის ხანაში ქართველს?!
ომს ახალებს, გენოფონდს —
ხოცავს, როგორც ქათმებს...
კოდორი, ახალგორი...
რა უბრალოდ დათმეს?!
მამულის მეხუთედი —
ჩააბარეს დათვებს!!!
მამისონიც აჩუქეს, —
რუსიც, კარგად დათვრეს!!!
ყველაფერი მათია —
წყალი, გაზი, დენი...
ეს გვაქვს სატირალი და —
ცრემლების სადენი...
ხალხო, მიხეილ გრძელი —
მამულიდან გვდენის!!!
2008 წ.

## აფხაზეთიდან დევნილის გოდება

ოცი წელია ცრემლებს ვღვრი,
გული ვერ გავიხარეო.
სკამ-სავარძელში გაცვლილო —
ჩემო წალკოტო მხარეო!
დღე და ღამ ლუკმის ძებნაში —
რკალივით მოვიხარეო...
წისქვილს აამუშავებდა —
იმდენი ცრემლი ვღვარეო.
არავის არ ვებრალები,
ღმერთო, შენ შემიბრალეო!
აფხაზეთს ენატრობ ძილშიაც,
იქ გამითენე ხვალეო!
ის არის ჩემი სიცოცხლე,
„ჩემი მზე, ჩემი მთვარეო"!
მხოლოდ იქ დმაბრუნე და —
დღეები დამითვალეო!!!
ოცი წელია — ცრემლებს ვღვრი,
გული ვერ გავიხარეო.
სკამ — სავარძელში გაცვლილო —
ულამაზესო მხარეო!!!
2012 წ.

* * *

უჭკუოთა — „ჭკუით",
უნიჭოთა — „ნიჭით", —
გვიჭირს,
ძლიერ გვიჭირს!!!

უსწავლელ-„სწავლულით",
უგულოთა-„გულით"...
ცხოვრება გვაქვს — კრული,
სიცოცხლე გვაქვს — კრული!
ქართველ ერს, მამულში, —
ყველას გვქვია —„ძდმური"!!!
უშრომელთა —„შრომით",
ურქოსანთა — „რქებით", —
ვქრებით ხალხო,
ვქრებით!!!
უჭკუოთა —„ჭკუით"
უნიჭოთა — „ნიჭით",
გვიჭირს,
ძლიერ გვიჭირს!!!
2008 წ.

# საშა ჯოყვაძე

## პერიოდული იგივეობა

ეს წელიც გავიდა,
სიახლეც არ არის,
თოვლში იკარგება
ბნელი იანვარი.

ქარი ნაღვლიანი,
ცივი თებერვალი,
ღამე დომინანტი,
სითბო კი მწველი.

პირველი ღიმილი,
ღიმილი ზანტი,
ქოლგას ეფარება
წვიმაში მარტი.

ეს მზე იისფერი,
ის გაღმა ნაპირი,
ვარსკვლავებს ასხივებს
ამაყად აპრილი.

მზეც როგორ დამთბარა,
ლურჯია დაისი,
მთებს გადაეფარა
პირველი მაისი.

ასფალტის სუნია,
ანათებს თბილისი,
სხივში დაიკლაკნა
ივნისი, ივლისი...

წამი იყინება,
რა ნელა გადის დრო,
ან დრო რამ გაყინა,
აღულდა აგვისტო.

ჰა, ვითომ სიახლე,
სიახლე ბებერი,
ისევ იგივეა
მოდის სექტემბერი.

აქ მიწა ხრაშუნა,
იქ ბერი მშრომელი,
წითლად შეღებილა
ჭრელი ოქტომბერი.

სულ ცოტა ნიავსაც
აღელვებს დროება,
ნოემბრის სიცივეს
წვიმაც გამოება..

თბილი ჩაზუტება
დეკემბრის რეფლექსი
ვერ მათბობს გაყინულს
ვერც ყავა, ვერც ლექსი.

სხვა ან რა შეცვლილა?
იცვლება ციფრები,
ციფრების კედლებთან
იშლება ფიქრები.

ეს წელიც გავიდა.
გაივლო საზღვარი.
კვლავ ვიწყებთ ახლიდან,
სიახლეც არ არი!



## როგორც ყოველთვის

როგორც ყოველთვის როცა ღამდება,
მთვარე მზის შუქით იწყებს ნათებას
და ვარსკვლავები შუქით მოსილი
გვსტუმრობს ვითარცა ღამის ზმანება

როგორც ყოველთვის, შენ მახსენდები,
ვიხსენებ იმ დროს და მგონი, ვხვდები
რომ, როგორც მაშინ, გვიყვარდა ერთად,
დღესაც მიყვარხარ ყველაზე მეტად!

არ ვეკითხები ჩემს თავს თუ რატომ
რატომ არ მტოვებს ეს მთვარე მარტო,
და რატომ ცდილობს ეს ვარსკვლავები
კვლავ გამახსენოს შენი თვალები.

როგორც ყოველთვის, როცა ღამდება,
და სავსე მთვარე მზის შუქზე თბება
მე მახსენდება ის სიყვარული,
რომელიც თურმე არ იყო სრული...

## დღეს ბეთჰოვენი ომზე დაწერს ახალ არიას

ქალაქში იზრდება სუიციდის
მსურველთა რიცხვი,
დამონებული ნარკომანები ქმნიან არმიას,
თავდადებული ახალშობილი
სისხლისთვის იბრძვის,
დღეს ბეთჰოვენი ომზე დაწერს
ახალ არიას.
კვლავ აიზილა ტყვიები სულში,
სისხლით შეღებეს ტაძრები,
სისტემა იბრძვის!
დადუღდა მიწა,
შავი ოთახი — შავი კატების.
დღეს ბეთჰოვენი ომზე დაწერს
ახალ არიას.
სისტემა იბრძვის!
იესო იშვა და ყველა ბავშვი
მისთვის მკვდარია,
ვინ იცის რისთვის?!
ქარტეხილები შეგროვილან და
ხეებს თხრიან,
გადაამტვრიეს მხატვარს თავზე
ბოლო მოლბერტი,
ჰა, მეოცნებე, იოცნებე, არ არის გვიან!
რექვიემს უკრავს თავგამეტებით
ჩუმი ორკესტრი.
ქალაქში იზრდება სუიციდის
მსურველთა რიცხვი,
მაგრად ჩარაზეთ ყველა კარები,
დღეს ბეთჰოვენი ომზე დაწერს
ახალ არიას,
დადუღდა მიწა და გაუჩნდა
კედლებს ბზარები!

# თბილისში სამხრეთ კორეის თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიმართება

19 ივნისს, 18 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ორგანიზებით, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება სამხრეთ კორეის თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი, სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ კლდიაშვილი, სამხრეთ კორეის თანამედროვე გაცვლითი ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ჩა-სუნგ კუ და კორეის თანამედროვე მხატვართა დელეგაცია.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება სამხრეთ კორეელი თანამედროვე მხატვრების სხვადასხვა თემატიკაზე შესრულებული 60-ზე მეტი ნამუშევარი. გამოფენა გაგრძელდება 19 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით.

კულტურის სამინისტროს ცნობით, აღნიშნული ექსპოზიცია დაიგეგმა 2013 წლის 28 თებერვალს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, მინისტრ გურამ ოდიშარიასა და სამხრეთ კორეის თანამედროვე გაცვლითი ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს ჩა-საუნგ კუს და პროფესორ დაე ინგ პარკის შეხვედრაზე;

განხილულ იქნა კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები, ქართველი თანამედროვე მხატვრების სამხრეთ კორეაში გამგზავრება და მათი ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება ახლო მომავალში.

„მედიანიუსი"

# ვინ არის ხრაპუნოვი?
# WHO IS KHRAPUNOV?



დემოკრატიისთვის ყველაზე მავნებლები არიან ადმიანები რომლებმაც კანონს გადააბიჯეს. ამ სამწუხარო ფაქტზე მიგვითითებს მსოფლიოს ქსელის ევროპული ნაწილის ანალიზი. ყველაზე აგრესიული, ინტერნეტ რესურსები, რომლებიც ეყრდნობა ლიბერალურ პრინციპებს, ძირითადად ეკუთვნით პირებს რომლებიც ითვლებიან გაქცეულებად და იძებნებიან სამართალდამცველების მიერ.

მათი შემხედვარე ჩნდება კითხვა, თუ ისინი არიან დემოკრატიის ნამდვილი სახეები მაშინ ღიირს დემოკრატიისთვის ბრძოლა? ნუთუ ბატონი პოლიტიკოსები, ვენასა, ბრიუსელსა თუ აშშ-ში, ვერ ხვდებიან რომ ასეთი ადამიანების პატიებით მნიშვნელობას უკარგავენ შემდეგ გაგებას - ხალხის ძალაუფლება.

დღესდღეისობით ბევრი ლაპარაკობს დემოკრატიის შთანერგვაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მაგალითად გაერო სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს და აქცენტს ახდენს ადამიანურ განზომილებაზე. ეს საჭირო და სასარგებლო ქმედებაა რომელსაც უკვე მოაქვს შედეგი. თუმცა გასაკვირია, იმ ადამიანთა სიაში, ვინც მართლა ცდილობენ რაიმე შეცვალონ, ერევიან თვითმარქვიები და თაღლითები. ამასთან ერთად კი აოცებს ის ფაქტი რომ ისინი დემოკრატიას პროპაგანდირებენ.

ასეთი ახალი თაობის ''დემოკრატებების'' ერთ-ერთი წარმომადგენელია, მილიონერი შვეიცარიიდან, ყაზახეთის ყოფილი თანამდებობის პირი, ვიქტორ ხრაპუნოვი, რომელიც თავის თავს უწოდებს გენიალურ რეფორმატორს და სუფთა სინდისის მქონე პირს, რომელიც საკუთარ ქვეყანაში არ აღიარეს. საქმეში გარკვეული ხრაპუნოვი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს ყაზახეთში გატარებულ ყველა რეფორმას და ყველას ვინც მასში მონაწილეობდა. როგორც ყაზახეთით დაინტერესებულმა, ქვეყნით რომელიც იყო ერთ-ერთი ლიდერი ყოფილ საბჭოთა კავშირში, მე ვკითხე ყაზახ მეგობრებს ამ საინტერესო პიროვნების შესახებ. თუმცა მის შესახებ საკმაოდ ბევრს წერენ www.nomad.su-ზე, საიტზე, რომელზეც გამოქვეყნებული ინფორმაცია, მიგვითითებს რომ იგი სრულიად აპოლიტიკურია.

რომ გითხრათ გაოცებული დავრჩი, მოგატყუებთ. მცოდნე ხალხის თქმით ხრაპუნოვი თავისი პოლიტიკური ალმავლობის დასაწყისში მართლაც კარგი პიროვნება იყო, მანამ სანამ არ შეხვდა ლეილა ბეკეტოვას, რომელიც მისი მეორე ცოლი გახდა. იძახიან რომ ამ ქალმა იგი სრულიად დაიმორჩილა. ლეილა ხრაპუნოვამ ვიქტორი აქცია უხერხემლო არსებად დააკარგინა მას საკუთარი ''მე'' და ეს ყველაფერი მაშინ როდესაც ვიქტორს ეკავა მმართველის თანამდებობა ქვეყნის ერთ-ერთ ქალაქში. ბევრი ვერ გაბედავდა გამოეყენებინა თავისი თანამდებობა მეუღლის გამდიდრებისათვის.

თავის გასამართლებლად ხრაპუნოვი ინტერნეტში წერს რომ შვეიცარიის უმდიდრეს ადამიანთა სიში ის მხოლოდ და მხოლოდ მოხვდა თავისი ცოლის, ცნობილი ბიზნესმენი ქალის, დამსახურებით. ბატონი ხრაპუნოვი მართლაც ღარიბია, რადგან მან მთელი თავისი ქონება გადააფორმა მის მეორე ნახევარზე. სწორედ ქმრის აქტიური მონაწილეობით ლეილა ბეკეტოვამ მოახერხა დაეგროვებინა კაპიტალი რომელიც არც თუ ისე პატარა იყო შვეიცარიის კვალობაზე.

ჩემი ბიზნეს პარტნიორები, კერძოდ, ადამიანები რომლებიც არ არიან შებყრობილნი ძალაუფლების მანიით, იხსენებენ წლებს როდესაც ბატონი ხრაპუნოვი იყო ქალაქ ალმაატას მერი 1997-დან 2004 წლამდე. სამწუხაროდ კარგი არაფერი მითხრეს. დავიწყოთ იმით, რომ ქრთამის გარეშე მასთან შეხვედრაზე მოხვედრა შეუძლებელი იყო. თუ ფული გქონდა კი ბატონო.

ერთხელ ლეილა ბეკეტოვამ შესჩივლა ქმარს რომ მისი კომპანიის «Viled»-ის საქმეები არცთუ ისე კარგად მიდიოდა. ფფირმა რომელიც წარმოადგენდა საიუველირო ნაწარმის მაღაზიათა ქსელს, მისი აზრით საჭიროებდა ადმინისტრაციული რესურსის დამატებას. შედეგად დაიბადა კორუფციული სქემა რომელსაც უწოდეს ''ხელმისაწვდომობა სხეულთან''. მათთვის, ვინც ყიდულობდა პროდუქციას ბეკეტოვას მაღაზიათა ქსელში, მერიაში ყველა საკითხთან დაკავშირებით კარი ღია იყო.

ბოლოს როდესაც ბიზნესმენმა ქალმა თავისი ბიზნესი გაყიდა გაირკვა, რომ არც მუდმივი კლიენტურა და არც პოპულარობა საერთაშორისო ბაზარზე მის მაღაზიათა ქსელს არ ჰქონია. ხოლო ახალი მფლობელები გაკოტრების პირას აღმოჩნდნენ.

არ დავიწყებ ყველა იმ ამბის მოყოლას რაც ამ ოჯახის შესახებ გავიგე, ვიტყვი მხოლოდ ერთს რომ ვიქტორ ხრაპუნოვი ფიგურირებდა კორუფციულ სკანდალში ალმაატაში უკანონო მშენებლობებთან და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. მმის წინააღმდეგ აღიძრა რამოდენიმე სისიხლისსამართებლივი საქმე, მისი, ყაზახეთის აღმოსავლეთ რეგიონის გუბერნატორობის დროს, შავბნელი საქმეების გამო. თუმცა რომ გავაანალიზოთ ყაზახეთში და უცხოეთში დაბეჭდილი პუბლიკაციები, ხრაპუნოვი გახდა, ჯერ პატიმარი, ხოლო შემდგომ დემოკრატი.

არის თუ არა საჭირო აიხსნას კავშირი ამ ორ მოვლენას შორის? თუ ვისაუბრებთ პოლიტიკურად მოტივირებულ დევნაზე მაშინ, ამ შემთხვევას ვხვდებით მას შემდეგ, რაც ადამიანი წავიდა კონფრონტაციაზე მთავრობასთან. ხრაპუნოვი, როგორც დემოკრატი, გახდა ცნობილი ამ ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც ყაზახეთში ერთმანეთის მიყოლებით აღიძრა სისხლისსამართლის საქმე ექს-ჩინოვნიკსა და მის მეუღლეზე.

ევროპელი მკითხველი უფრო გამოცდილი რომ ყოფილიყო ასეთ საქმეებში, ის თავად დაინახავდა ტყუილსა და შეუთავსებლობას ამ ადამიანის ეპისტოლარულ გამონათქვამებში.

ბატონი ხრაპუნოვი, თავისავე საიტზე, საკუთარ ბიოგრაფიაში წერს, რომ ქვეყნის მთავარი ელექტროსადგურის უკანონო პრივატიზაცია დაიწყო მისი ხელმძღვანელობის პერიოდში როდესაც ის სათავეში ედგა ენერგეტიკის სამინისტროსა და ნახშირის სამრეწველოს. და მაშინ სად იყავი შენი პრინციპებით? ან რატომ მიეცი ნება?

თუმცა შემზარავი ფაქტი ისაა, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობისას მადლობაც კი გადაუხადეს. ნუთუ უკანონო პრივატიზაციისთვის?

ერთის მხრივ ხრაპუნოვის გაგება შეიძლება. ის ძალიან საეჭვო მდგომარეობაშია. ერთის მხრივ სიტუაცია პენსიონერისგან მოითხოვდა აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებებს, აიძულებს ჭუჭყში ამოსვაროს ყველაფერი რისი გაკეთებაც ყაზახეთმა დამოუკიდებლობის წლებში შეძლო. მეორეს მხრივ ხრაპუნოვი იმდენად მყარად იყო შეპყრობილი ძალაუფლებით, რომ ჭუჭყში ამოსვრა და საქმიდან მშრალად ამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ამიტომაც იტყუება და თხზავს. მისი ძმისშვილის ტრაგედიასაც კი პოლიტიკური ელფერი შესძინა. ხრაპუნოვის ვერსიით მისი ნათესავი რომელიც ყაზახეთში ცხოვრობს მოკლეს. ალბათ ღირს გახსენებად, რომ ლეილა ბეკეტოვა ალმატაში ყოფნისას ხრაპუნოვის ყველა ნათესავსა და მის შვილებსაც კი, რომლებიც პირველი ქორწინებიდან ყავდა, უკრძალავდა მათთან მისვლას. ამის შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ რამდენად ''ახლო'' ურთიერთობა ჰქონდა ხრაპუნოვს თავის ძმისშვილთან.

ასე რომ ბატონი ექს-ჩინოვნიკი არის მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკე თავი. კითხვა მდგომარეობს შემდეგში, ვინაა მუსიკის შემკვეთი. რადგან ხრაპუნოვი პირველ წლებში თავისთვის უდარდელად იმყოფებოდა ჟენევაში. არსად არ ჩანდა და პოლიტიკური განცხადებებით გამოსვლასაც არ ჩქარობდა. შესაძლოა ამ საქმეში ერიოს მისი ნათესავის მუხტარ აბლიაზოვის ხელი, ცნობილი თაღლითის, რომელიც იძებნება დიდი ბრიტანეთის რუსეთისა და ყაზახეთის მთავრობების მიერ. მათი შვილები იმყოფებიან ქორწინებაში, და ერთი კლანის წარმომადგენლები არიან.

მაგალითად, ერთერთი ინგლისელი მოსამართლე, რომელმაც გამოუტანა მკაცრი განაჩენი აბლიაზოვს, აღმოჩნდა ტონი ბლერის ძმა, და ხრაპუნოვმაც მათი ოჯახი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა.

მის გამონათქვამებში აშკარად ჩანს აბლიაზოვის სტილი. ეს ორი თაღლითი ყველაფერს აკეთებს იმისთვის რომ ყაზახეთის იმიჯი შეილახოს საერთაშორისო არენაზე.

ნათელია რომ ამ ორ ადამიანს დემოკრატიასთან არანაირი კავშირი, არასდროს არ ქონია. ეს სპექტაკლი გათვლილია მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის თვალის ასახვევად, ხოლო სამშობლოში კი მათი ქცევა იწვევს გაღიზიანებასა და დაცინვას. მათ პოლიტიკურ საქმიანობას არანაირი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან, მათი საქციელი ძირს უთხრის დემოკრატიის ფასეულობებს.

ჩემი აზრით ევროპულ პოლიტიკას ჭირდება თვითგაწმენდა.

სხვათაშორის თუ დაფიქრებულხართ, რატომ არის ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებში, ტერმინი დემოკრატია უფრო და უფრო ნეგატიურ ელფერს იძენს? იმიტომ რომ დემოკრატიის უკან გროვდება მათნაირი ხალხი. ამიტომ იძახიან აღმოსავლეთში: ''ადრე დემოკრატიის ნატამალიც არ არსებობდა, ახლა კი თავზესაყრელადაა''.

**ზ.მ.**

The most harmful for the democracy are people who overstep the law. On this sad thought pushes the analysis of the European part of the worldwide web. The most militant web resources that defend the liberal principles generally belong to people of countries going to the East of Vienna, who were forced to leave their countries.

There is question? If it is the true face of democracy, is it worth while to fight for it? Do politicians in Vienna, Brussels, and the U.S. State Department employees realize that this kind of pandering to people, causes devalue of concept - the power of the people? Many people today talk about the introduction of democratic principles in the post-Soviet countries. By the way OSCE works for the region, focusing on the human dimension. This is useful and interesting activity that is already bearing results. However, it is surprising, when the ranks of people who are really trying to change something, get impostors greedy thieves and embezzlers. One of the representatives of the "democrats" of the new generation - a millionaire from Switzerland, the former Kazakh Victor Hrapunov who claims to be a reformer of genius, a man of crystal honesty, unrecognized in his homeland. With knowledge of the case, Mr. Hrapunov talks about the recent appointments in the political hierarchy of the Republic of Kazakhstan, the government points out errors and sharply criticizes everything and everyone. As someone interested in Kazakhstan, one of the leaders of the post Soviet Union, I ask the Kazakh friends about this interesting personality. But there is too much information written about him at the web address www.nomad.su, which, judging by the content information appearing there is difficult to be attributed to pro-government media. To say I was disappointed, no, it will be better to say nothing. People have told that at the beginning of his political career he was a really nice fellow. Until, he met on his way Leila Beketov, who became his second wife. They say the woman trampled him under herself. As they say, Leila Khrapunova broke Victor Khrapunov made ??him spineless, who lost his own "I" and this despite the fact that he served as the head of one of the largest cities of the country, and not everyone would venture to use their position to enrich his couple. Khrapunov in his defense writes in the internet that because his wife famous business women, he was in the list of the richest people in Switzerland, published in the local media. De Jure, Mr. Hrapunov is really as poor as last cobbler. Thanks to the active participation of the husband Leila Beketova managed to cobble amount of money not less than standards of the Swiss state. My business partners and these are people who are not engaged by the authorities, reminiscing about the times of Mr. Khrapunova when he was mayor of the city of Alma-Ata from 1997 to 2004. They told me nothing good about this for example the bribe was the only way to meet with him. Leila Beketova once complained to her husband that thing in her company «Viled»are neither good, nor bad. The company, which includes jewelry chain, demanded the inclusion of administrative resources. As a result gray corruption scheme was born, which is popularly called the "access to the body." For those who was buying products in the jewelry salon of Beketova, like using magic stick all of the doors in the city hall were open and dared to almost every question. Curiously, when business-woman sold her "successful business", it became clear that, neither the regular customers of the company nor popularity in the market simply was not there and the new owners were on the verge of bankruptcy. I will not recount all the delicate details that I had heart about this family. I will mention only that Hrapunov became embroiled in a corruption scandal at the illegal building of Alma-Ata, in laundering money for road repairs. Criminal cases filed against him, upon his intense activity as the Governor of the East Kazakhstan region. Moreover, if we analyze the publications in Kazakhstan and foreign press, first Hrapunov nevertheless became a criminal and then a Democrat.

Do I need to explain the link between these two phenomena? Speaking of politically motivated prosecutions, it usually occurs after a person has embarked on a path of confrontation with the government.

About Khrapunov as a Democrat, was known only in recent years, when Kazakhstan started initiating criminal proceedings against the former officer and his wife. If European readers were more experienced in such matters, they would saw in this man's epistolary splash lies and inconsistency. In his own biography on his own website, Mr. Hrapunov writes that at a time when he headed the Ministry of Energy and Mines, was a wave of illegal privatization of the country's main power stations. And where have you been with your principles? Why did you make it possible?

But the worst things contains next phrase that he was thanked for the work on this important post. For illegal privatization?

We can understand Hrapunov. He has a very precarious position. On the one hand, the situation requires from the retiree active politics acts, makes mix with dirt all of the good things that were made during the Kazakhstan's independence. On the other Hrapunov was so tightly integrated into the system of government that it was impossible to shed mud and save reputation.

That is bustling, lying and composes. Recently he dragged his nephew's tragedy into the politic. According to Khrapunov his relative living in Kazakhstan was killed. And maybe it is worth recalling that Leila Beketova while still in Alma-Ata, ordered guards not to let in her house all the relatives and even the daughters of Mr. Khrapunov from his first marriage. Under these conditions, we can assume that Khrapunov had "close" relationship with his nephew.

So Mr. ex-official is like a talking head. The question is just who orders the music? Cause in recent years Khrapunov was in Geneva and did not participate in political acts. Maybe it was the work of his relative Mukhtar Ablyazov known wheeler-dealer who is wanted by the British Russian and Kazakhstan authorities? Quite possible. Their children are married, this is one clan. Hrapunov is fugitive criminal who started information war with Kazakhstan. And it should be noted, under the banner of democracy. For example, one of the English judges, who bore heavy sentence to Ablyazov, was the brother of the notorious Tony Blair, so Hrapunov criticized the Venerable English family in his interview.

In his remarks clearly is slipping the style of Ablyazov. These two conmen trying to incite ethnic hatred in Kazakhstan, playing with marked cards, doing their best to undermine the image of the republic in the international arena, using any contrived reason for criticism.

And obviously, these people have never had any relationship with democracy. This shocking spectacle is designed only for the untrained western citizen. And at home all their liberal attempts cause only confusion, irritation, and sometimes ridicule. But, in fact, the current political activity of Ablyazov and Khrapunov is the undermining of basic democratic values ??- the belief in the rule of law and the principle of inevitability of punishment.

In my view, the European policy requires self-cleaning, it's time to clear the keel of the democracy ship undermining the foundations of their views of democracy.

By the way, have you ever thought? Why in the new independent states of the former Soviet Union the term democracy is becoming more and more negative connotation? because under its banner are gathering such kind of people. So it's said at East:" there was not even the smell of democracy in the past, but now we have to much democracy that you can caulk your nose with it"

**Z.M.**

# გურიის გული

გვიანფეოდალური ხანის პირმშო, გურიის დედაქალაქი, კეკლუცი ქალივით რომ მალავს ნამდვილ ასაკს და მე-16 საუკუნის „მეტრიკას" გვიჩვენებს, სინამდვილეში კაი „ბებერი" შეიძლება აღმოჩნდეს.

გასულ წელს ოზურგეთში, ცენტრალურ მოედანზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას უძველესი აბანოს ნაშთებს მიაკვლიეს, გასული საუკუნის 50-



იან წლებში ამ მიწისქვეშა საიდუმლოს შესახებ წერდა არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი, ეს გათხრები და ძველთაძველი აბანოს ნაშთების აღმოჩენა, ალბათ, ქალაქის ისტორიას დააძველებს.

ისტორიული წყაროებით, ოზურგეთი ოდითგანვე იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი (მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა ნიორაძემ და მისმა მოსწავლეებმა სკოლა ინტერნატის საცდელ ნაკვეთზე 270 ვერცხლის მონეტა იპოვეს) —„ოზურგეთის განძი" — ეს მოსაზრება გამყარდა. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული მდიდარი კოლექციები — კერამიკა, სამაროვნებიდან ამოღებული სამკაულები და სხვა ძვირფასი ნივთები იმის სურათს იძლევა, რომ საუკუნეების წინ აქ ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოებდა.

სამწუხაროდ, დღევანდელ ოზურგეთში ისტორიული ნაგებობები თითქმის აღარაა, თუ არ ჩავთვლით 1873 წელს აშენებულ გურიელის სასახლეს, სადაც ახლა ამჟამინდელი ეპისკოპოსის რეზიდენციაა. აღარ არსებობს გურიის მთავრის ბაღიც ნაირგვარი ენდემური და ეგზოტიკური ჯიშის ხეებით სავსე, რომელსაც გურიელის დავალებით, ასე რუდუნებით აშენებდა დიდი ნიკო მარის მამა — იაკობი, გადმოცემით იმ პარკში ჭადრის ხეები ისე იყო განლაგებული, რომ იკითხებოდა სახელი „მამია" (მამია V გურიელის პატივსაცემად).



ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში 6 ათასი ექსპონატია — მათ შორის არის პალეოლითის ხანის ძეგლები, ანტიკური ხანის ვერცხლის და ოქროს ნივთები, კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის წიდები და სხვა.

ოზურგეთს ახსოვს მარქსისტული იდეებით შთაგონებული „გურული რობინ ჰუდები", მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ნასაკირალის ტყეს შეფარებული ფირალები, ახსოვს მათ მიერ ჩადენილი სისასტიკეც და სიკეთეც. „ფირალის ეპოსმა" დღემდე შემოინახა გურული სიმღერები ფირალებზე: „სიმონა დოლიძე" და „სისონა დარჩია". „სისონაი დარჩიაი ნაქებია ბიჭობაში, წევიდა და ძმა იტირა, არ შეშინდა იმდონ ჯარში". „ყოველ მხრიდან დაჩაგრული, მე ვარ სიმონა დოლიძე, ექვსი წელი შემისრულდა, არ მიძინია ლოგინზე".

ისტორიამ შემოინახა 1905-ში როგორ აუჯანყდა გურულები რუსეთის თვითმპყრობელობას, საკუთარი წესები შემოიღეს და ქალაქი ოზურგეთი გამოაცხადეს „გურიის მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკის" ცენტრად. ეს მოხდა 1905 წლის ნოემბერში და იგი გაგრძელდა 1906 წლის 10 იანვრამდე — ამ დღეს კი რუსებმა უმოწყალოდ ჩაახშვეს თავისუფლების მოწადინე გურულების ჯანყი.



დრო-ჟამმა ისტორიული ნაგებობები გაუჩანაგა გურიის გულს — ოზურგეთს, მაგრამ ვერაფერი ვერ დააკლო მის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას, ფოლკლორულ ტრადიციებს. თაობიდან თაობას გადმოეცემა უნიკალური გურული საგალობლები და სიმღერები, იქმნება ახალი მრავალხმიანი სიმღერები. დიდი ფოლკლორული საგანძური გურული ყოფის განუყოფელი ნაწილია. ის ცისფერი ფუტიც (კვამლი) კრიმინაჭულივით დაგრეხილი რომ ამოდის კოპწია ორსართულიანი სახლების საკვამურიდან, თითქოს მასპინძელთა ერთად მღერის „ხასანბეგურას" და „ალიფაშას", „ჩვენ მშვიდობას", „ელესას" და ოთხხმიან „ნადურს", „შავ-შაშვს" და „ვახტანგურს".

„ალეგრობა" დიდი სახალხო-საქველმოქმედო დღესასწაული იყო გურიაში. ამ დღესასწაულის დამკვიდრება გურიელის უკანასკნელი მთავრის მამია მე-5 გურიელის დროიდან მოდის, მამია მე-5 გურულის სასახლე იმ დროის ევროპული კულტურული სალონი იყო. მაშინდელ ოზურგეთში იტალიელი მისიონერებიც უნახავთ და გერმანელი მოხეტიალე მსახიობ-კომედიანტთა დასიც — გურიელმა თავის კარზე რომ დაიტოვა სანახაობათა მოსაწყობად. აქედან წამოვიდა სიტყვა „ალეგრო" — იტალიური შინაარსისაა და ეწოდება მხიარულ-მასობრივ დღესასწაულს. იმ დღეს ორგანიზატორებს ოჯახები სურსათ-სანოვაგით შეეწეოდა ხოლმე. „ალეგრობა" დღესასწაულებზე ხდებოდა ქალ-ვაჟთა „გადანახულება", მუშაობდა „სიყვარულის ფოსტა". ასე შეერთებულან ცნობილი მსახიობი გიგოლა თალაკვაძე და მისი მშვენიერი მეუღლე ეთერ სვანიძე (ლადო ასათიანის მუზა). ახლახან ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თაოსნობით ქალაქმა კვლავ აღადგინა ეს მივიწყებული ტრადიცია „ალეგრობა".

ოზურგეთში უყვართ ძველი ამბების გახსენება. მართლაც და ვინ დაივიწყებს ოცდაათწლიან ცეცხლის დამგიზგიზებელ ივანე მახარაძეს და სხვა ჩაუქ გურულ მხედრებს, მთელი ამერიკა რომ „გადარიეს" ვირტუოზული ჯირითით და უინძორების სასახლეში საგანგებოდ მიწვეულებმა, თვით მისი უდიდებულესობა, დედოფალი ვიქტორიაც კი აღაფრთოვანეს. ოზურგეთელები ამაყობენ ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ გუგუნავას, ვიქტორ და სიკო დოლიძეების, აკაკის ბაქრაძისა და სხვათა სახელებით. გურულები კოლორიტულ კილოკავზე ყვებიან ანეგდოტებს და იქაურ ამბებს და სტუმარიც იცინის და იცინის... გურული იუმორი წინასწარ შემზადებას არ ითხოვს. აბა, როგორია, შორიდან ჩამოსულ სტუმარს გახარებული მასპინძელი რომ გადაეხვევა და ჰკითხავს: „ჩამოი? როის მიხვალ"? როცა ხნიერ კაცს ჰკითხავ, როგორ ხარო, იმას კი არ შემოგჩივლებს — ვბერდებიო, მოხდენილად მოგიგებს: „რაფერ ვიქნები ძამა, მივიწევ ნელ-ნელა ზალისკენო"!

მხოლოდ გურულს შეუძლია მასპინძელს, რომელიც შინ არ დახვდება, ასეთი შინაარსის წერილი დაუტოვოს: „ვიყაი, არ იყაი, სა იყაი?"

გურიის ცენტრს ჯერ კიდევ აქვს შენარჩუნებული მშობლიური პეწი და ტრადიციები, ორსართულიან სახლებში ჯერ კიდევ მამაპაპური მოწადინებით ემზადებიან „კალანდისათვის" (ახალი წლის პირველი დღე გურიაში). მწვანე სუროს უფენენ თეთრწვერიან, თავზე ჯვარდასმულ ჩიჩილაკს და აღდგომას აცხობენ ღვეზელებს.

ხაპით ამოღებული ღვინით კაცები ტრადიციულად მშვიდობას ლოცავენ. ეს ხომ გურულების უპირველესი სადღეგრძელოა. ოზურგეთელი იყო (სოფ. შრომიდან) ის სულგანათლებული კაცი — მიხაკო ორაგველიძე, წლების წინ ამერიკის პრეზიდენტს რონალდ რეიგანს რომ ჩვენებური ყანწი „გაუგზავნა" თეთრ სახლში — „ამით, ძამა, მშვიდობის სადღეგრძელო დამილიეო!"...

**რუსუდან პატარაია**

## `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-რას ნიშნავს მინდობით აღზრდა?**

-მინდობით აღზრდა გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღები ოჯახის მიერ, ბავშვის მოვლასა და აღზრდას. მინდობით აღზრდის შემთხვევაში, ბავშვი მოვლისა და აღზრდისათვის გადაეცემა დედობილის (მამობილს).

თუ თქვენ გადაწყვიტეთ, გახდეთ დედობილი და აღსაზრდელად აიყვანოთ ბავშვი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თქვენთან დადებს ხელშეკრულებას ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით, მინდობით აღსაზრდელის სრულწლოვანების მიღწევამდე.

მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება. როგორც დედობილს, ისე მამობილს ბავშვის მინდობით აღზრდა შრომით სტაჟში ეთვლება.

* * *

**-რა არის სავალდებულო წილი?**

-ანდერძის არსებობის შემთხვევაში ქონებას იღებენ უშუალოდ ის პირები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ანდერძში და მემკვიდრეთა კანონით დადგენილი რიგითობა მხედველობაში არ მიიღება. თუმცა აქ არის ერთი გამონაკლისი. თუნდაც არსებობდეს ანდერძი და თუნდაც მის თანახმად მამკვიდრებლის ქონება მთლიანად გარეშე პირზე ან პირებზე იყოს განაწილებული, პირველი რიგის მემკვიდრეები, ანუ მამკვიდრებლის მეუღლე, შვილი და მშობლები, მაინც იღებენ გარკვეულ წილს ქონებიდან, რასაც სავალდებულო წილი ეწოდება. სავალდებულო წილის ოდენობაა იმ წილის ნახევარი, რასაც მემკვიდრე მიიღებდა, ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

სავალდებულო წილის მოთხოვნა წარმოიშობა პირის გარდაცვალებისთანავე ან გარდაცვლილად გამოცხადების მომენტიდან და ეს უფლება გადადის მემკვიდრეობით, ან თუკი პირი გარდაიცვალა მანამ, სანამ მიიღებდა მის კუთვნილ წილს, მაშინ მისი მემკვიდრეები გახდებიან ამ წილის მიმღებები.

თქვენ გაქვთ უფლება, უარი თქვათ სავალდებულო წილის მიღებაზე. ასეთ შემთხვევში თქვენი წილი გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილის მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში.

* * *

**-არის თუ არა მამის მემკვიდრე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი?**

-საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ქორწინებაში და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების სამემკვიდრეო უფლებებს. ეს გულისხმობს იმას, რომ თქვენი შვილი, რომელიც ქორწინების გარეშე შეგეძინათ, ჩვეულებრივ მიიღებს ისევე მამამისის მემკვიდრეობას, როგორც ქორწინებაში შობილი ბავშვი.

თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: იმისათვის, რომ ბავშვი მამის სრულუფლებიანი მემკვიდრე იყოს, ბავშვის მამობა აუცილებლად კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს აღიარებული / იგულისხმება როგორც მამის მიერ ბავშვის თავის შვილად ნებაყოფლობით აღიარება, ისე მამობის აღიარება სასამართლო წესით/. სხვა შემთხვევაში ბავშვი ვერ მიიღებს მამის მემკვიდრეობას.

* * *

**-ვმუშაობ ქ. რუსთავის მერიის ტერიტორიის გამწვანების სამსახურში მუშად. ვარ პენსიონერი, მაგრამ შემიწყვიტეს პენსიის გაცემა. რამდენად კანონიერია ეს?**

-მერიას აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. შესაბამისად, თქვენ ხელფასს გიხდიდათ სახემწიფო ბიუჯეტი, რის გამოც ითვლებით საჯარო მოსამსახურესტან გატანაბრებულ პირად. თქვენი პენსიის გაცემაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში პენსიის გაცემა წყდება. ამიტომ მოხდა თქვენი პენსიის შეწყვეტა. საჯარო საქმიანობის შეწყვეტისას პენსიის გაცემა განახლდება. ე.ი. როდესაც თქვენ შეწყვეტთ საქმიანობას მერიის სამსახურში, პენსიას კვლავ მიიღებთ.



* * *

**-რა ვადით შეიძლება შრომითი ხელშეკრულების დადება?**

-საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. კონკრეტულ ვადას ადგენს დამსაქმებელი.

# marTla Sexvdnen Tu ara erTmaneTs hitleri da beria 1953 wels?

1944 წლის აგვისტოში გესტაპოს ხელმძღვანელობა საიდუმლოდ შეიკრიბა სტრასბურგში სასტუმრო „მეზონრუჟში“. შეკრებას ხელმძღვანელობდა ობერგრუპენფიურერი ერნსტ კალტენბრიუნერი. ორი დღის განმავლობაში მიდიოდა მსჯელობა, როგორ უნდა მოეხერხებინათ გესტაპოს მაღალჩინოსნების გაქცევა ევროპიდან. მთავარ გასაქცევ ადგილად სამხრეთ ამერიკა დასახელდა.



გაქცევის ოპერაციამ გაამართლა. ამ გაქცევით ბევრმა ნაცისტმა მაღალჩინოსანმა გადაირჩინა თავი.

1951 წელს ნაცისტებმა ჩამოაყალიბეს საიდუმლო კავშირი „შავი ინტერნაციონალის“ სახელით.

აშშ-ს ცენტრალურმა დაზვერვამ ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე იცოდა ნაცისტების ჩანაფიქრების შესახებ.

დღითიდღე მათთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა გესტაპოს შეფის – მიულერის და რეიხსმარშალი გიმლერის ხელმოწერილი ყალბი დოკუმენტები. გიმლერი სერჟანტი ჰენრიხ ჰინცინგერის სახელით, სამხედრო დაზვერვის შეფის კალტენბრუნერი არტურ შეიდლერის სახელით.

ამერიკელი დაზვერვის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა, რომ ადოლფ ეიხმანი ადოლფ ბარტის სახელით სარგებლობდა.

ნაცისტები წლითი წლობით ამზადებდნენ პლაცდარმს თავდასხმისთვის. 1948 წელს ამერიკულმა დაზვერვამ მიაკვლია მდიდარი კომერსანტის პერეს დე გუსმანის კვალს. როგორც ჩანს, ეს იყო დიტრიხ ნიბური, რომელიც თავის დროზე ჰიტლერული გერმანიის დიპლომატი გახლდათ. შემდეგ იგი წყალქვეშა გემის კაპიტანი გახდა. სწორედ ის იყო, არგენტინაში მარტინ ბორმანი რომ გადაიყვანა ებრაელი საულ ჰოლშტეინის სახელით. შემდეგ ბორმანი, როგორც ჰოლშტეინი, დიდხანს ცხოვრობდა ბრაზილიაში. ბორმანმა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და 1973 წლის ზამთრამდე ბრაზილიაში წყნარად ცხოვრობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი სსრ-კსა და აშშ-ს აგენტი იყო. არც აშშ-ს და არც სსრკ-ს, მიუხედავად იმისა, რომ ბორმანის ახალი სამუშაოს შესახებ კარგად იცოდნენ, არ სურდათ მისი დაჭერა, რადგან იგი ინარჩუნებდა გავლენებს ნაცისტური გერმანიის ფინანსურ წრეებში. ნაცისტი №2 ბორმანისგან და დივერსიის შესანიშნავი სპეციალისტის №1 – ოტო სკორცენისგან დაზვერვის სამსახური ცდილობდა თვით ადოლფ ჰიტლერზე გასულიყვნენ.

ჰიტლერმა თავი მოიწამლა და შემდეგ ტყვიაც დაიხალა. ასეა ცნობილი ოფიციალურად, ისტორიაში და მსოფლიო ელიტაში ადოლფ ჰიტლერისა და მისი მეუღლის ევა ბრაუნის მიწისქვეშა ბუნკერში აღსრულების ამბავი.

იოსებ სტალინი 1948 წელსაც კი სკეპტიკურად უყურებდა ნკვდ-ს მონაცემებს ჰიტლერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მას დაზვერვის ინფორმაციების უფრო სჯეროდა. დაზვერვა კი იტყობინებოდა, 1945 წლის 1 მაისს 25-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები ტანკებით მთელი სისწრაფით ბერლინიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ მიეშურებოდნენო. მწკრივში შეიმჩნეოდა რამდენიმე დიდი ზომის სამოქალაქო ავტომობილიც, რომლებმაც მალე დატოვეს კოლონა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ. ამ ავტომობილში იმყოფებოდა ჰიტლერი და მისი გარემოცვა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ეს იყო კორიდორი, რომელიც სპეციალურად ამ მანქანებისთვის გახლდათ მოწყობილი.

ჯერ კიდევ მანამდე სტალინისთვის ცნობილი გახდა, რომ ჰიტლერი ცოცხალი იყო და ახალ შვაბელენდში იმალებოდა ნაცისტების საიდუმლო ბაზაზე ანტარქტიდაში.

ცნობილია, რომ 1938 წელს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი რეგულარულად ახორციელებდა ექსპედიციებს ანტარქტიდაზე.

გერმანელ მეცნიერთა ვარაუდით, რომელსაც ნაცისტური ხელმძღვანელობა მეთაურობდა ირწმუნებოდნენ, რომ ანტარქტიდაზე არის გასასვლელი გიგანტურ მიწისქვეშა გამოქვაბულებში, სადაც თბილი ჰაერი და სასიცოცხლო პირობებია. აღმომჩენად დღესაც ითვლება ცნობილი წყალქვეშა მცურავი ადმირალი დენისი. გერმანელები ამ მიწისქვეშა ტერიტორიებს ახასიათებდნენ, როგორც სამოთხისებრ ადგილებს.

1940 წელს დაიწყო კიდევაც იქ ჰიტლერის პირდაპირი ბრძანებით ორი სამხედრო მიწისქვეშა ბაზის მშენებლობა.

მერე მიწისქვეშა ბაზების მშენებლობა რუსეთშიც დაიწყო. კერძოდ, კუიბიშევში, სამარასთან ახლოს. დღეს კი თავშესაფარები გასაიდუმლოებულია.

ასეთ ობიექტებს აშენებდნენ და აშენებენ ამერიკელებიც.

მიუხედვად იმისა, რომ ამერიკელებმა იცოდნენ ნაცისტების თავშესაფრის შესახებ ანტარქტიდაში, დასაწყისში გადაწყვიტეს ხელი არ ეხლოთ მათთვის. მაგრამ შემდეგ ის საშიშროება შეამჩნიეს, რაც შეიძლებოდა წამოსულიყო ნაცისტების მიერ შექმნილი მაღალტექნოლოგიური იარაღებისგან ნეონაცისტების შურისძიების შედეგად და გადაწყვიტეს ფიურერის საიდუმლო თავშესაფარი გაენადგურებინათ. 1947 წელს მათ გაგზავნეს მთელი ესკადრილია ავიაციის თანხლებით კონტრ-ადმირალი ბერდის ხელმძღვანელობით ანტარქტიდის რაიონში. ყინულქვეშ სასტიკი ბრძოლა გაიმართა. შვაბელენდი კი მაინც მტკიცედ იდგა. 1949 წელს კიდევ ერთი შეტევა განახორციელეს, მაგრამ მალე ბრძოლას თავი დაანებეს.

ნაცისტების მტკიცებით, ჰიტლერი ანტარქტიდაზე 1971 წელს გარდაიცვალა. სხვა ცნობებით, ის 1982 წლამდე ცოცხალი იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ იმოგზაურა „დედამიწაზე“, ის კაიროს ახლოს ქალაქ ჰელიოპოლისში იმყოფებოდა. 1953 წელს ჰიტლერი მარტინ ბორმანსა და საკუთარ პილოტს ჰანს ბაურს შეხვდა, რომლებიც სპეციალურად ამ შეხვედრისთვის საბჭოთა ციხიდან გაათავისუფლეს. ჰიტლერს სურდა ოფიციალური გზავნილი გადაეცათ ლავრენტი ბერიასთვის. ბერიამაც შეატყობინა ჰიტლერს თავისი გეგმების შესახებ ორი გერმანიის გაერთიანების თაობაზე. ბერიას სურდა მხარდაჭერა ჰიტლერისგან და ნაცისტური ორგანიზაციებისგან თავისი შორსმიმავალი გეგმებისთვის. ჰიტლერმა მიიღო შემოთავაზება, მაგრამ მაშინ ბერიამ პოლიტბიუროსგან ვერ მიაღწია თანხმობას. პირველი, ვინც ბერიას შეეწინააღმდეგა გრუ იყო. შემდეგი ცნობებით, ნაცისტები ნელ-ნელა დაიხოცნენ შვაბელენდში, შთამომავლებმა კი იქ ცხოვრება არ ისურვეს.



**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**



# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ბოლო წლებში ქიმიური მედიკამენტებით მკურნალობით თავმობეზრებულმა ბევრმა ადამიანმა აღიარა სახალხო მედიცინა. ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირების და საფენებით. ავადმყოფობის სირთულის მიხედვით მკურნალობის კურსი ათიდან და ოც დღემდე გრძელდება. რაც მთავარია, ეს წამალი აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას და დადებითად მოქმედებს როგორც დაბალი, ისე მაღალი არტერიული წნევის მქონე ადამიანებზე.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი, მიჭირდა მოძრაობა, დამიქვეითდა შრომისუნარიანობა. ექიმის გამოწერილმა წამლებმა ტკივილი დროებით გამიყუჩა. ამიტომ გადავწყვიტე მცენარეული წამალი მეცადა.

სახალხო მკურნალ ირმა სიხარულიძესთან მიმასწავლეს. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან შევხვდი უამრავ ადამიანს, რომლებიც განიკურნენ, მათ შორის იყვნენ ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ ძალოსნობაში. რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე, რომელიც თავის დროზე ახალგაზრდობის წყალობითა და ქირურგიული ჩარევით დავძლიე. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად აუტანელი ტკივილი დამეწყო. მძლეოსან ადამიანს მსუბუქი ნივთის აწევაც არ შემეძლო. ძველი ტრავმა გამირთულდა, ამას მძიმე ოსტეოართროზის დიაგნოზი დაემატა. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. მე-4 მე-5 სეანსზე შვება ვიგრძენი, მაგრამ მაინც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. 3 წლის განმავლობაში ვმკურნალობდი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. მდგომარეობა უფრო მირთულდებოდა. მიჭირდა სიარული, ვერც ვჯდებოდი, ტკივილები ყრუ და გაუსაძლისი იყო. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**


## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.


**კურო** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.


**ტყუპები** – პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.


**კირჩხიბი** – ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.


**ლომი** – ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.


**ქალწული** – გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.


**სასწორი** – თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა – იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.


**მორიელი** – ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.


**მშვილდოსანი** – წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.


**თხის რქა** – ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.


**მერწყული** – წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.


**თევზები** – ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001